მაყვლოვანი

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის პერიოდული გამოცემა.
ჟურნალი გამოდის სამ თვეში ერთხელ. 2011 წლის 10 ოქტომბერი.

№6

„მიყუარან მაყუალნი ებე შენნი
და მუნ მნებავს ბონებითა“

წმიდა მეფე მირიანი

„როცა ვფიქრობთ იმაზე, თუ რა არის ქართული იდეა, მივდივართ დასკვნამდე, რომ ქართველი ერის დანიშნულებაა – იქადაგოს ჭეშმარიტი სარწმუნოება. ხომ არსებობს წინასწარმეტყველება, რომ საქართველო, ქართველი ერი უკანასკნელ ჟამს გაბრწყინდება. ვიცით სახარებიდან, რომ უკანასკნელ ჟამს ყველგან დაეცემა რწმენა, ზნეობა, საქართველო კი ღვთის მადლითა და წყალობით გაბრწყინდება და ჯილდოდ ამისა, როგორც დიდი მამა და მოღვაწე ამბობს, მეორედ მოსვლის ჟამს მთელი ქვეყნიერება განიკითხება „ქართულითა ენითა“. ეს იქნება კიდევ ერთი მადლი, რომელსაც მოგვანიჭებს უფალი. მადლობას ვწირავთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელ დედას, რომელმაც ინება, რომ იყოს პატრონი საქართველოსი... “

სრულიად საქართველოს კათოლიკოს
პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი
ილია II

სსსამეგრდ
ჟურნალ-გაზეთების
სარეცენზიო სამსახური
ძირითადი
რეგისტრაციის № .....
მიმდინარე
რეგისტრაციის
№ 6
01.10.11
თარიღი
დასახელება: ...
რეცენზენტი: ...

შინაარსი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-
პატრიარქი ილია II
ლოცვა ღვთისმშობელისადმი.....5

ვაჟა კიკნაძე
მიტროპოლიტი ტიმოთე გაბაშვილი – სამთავროში
სათქმელი ლოცვა ღვთისმშობელისადმი.....7

სერგო ვარდოსანიძე
წმიდა მრავალვნებული ანტონ II.....13

მღვდელმთავრისა დამწყსობა
პირველისა იღუმენიისა (დედებისათვის)
II ნაწილი.....15

არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)
საკვირაო ქადაგება.....21

მარინე ცინცაბაძე
თეიმურაზ I და პოემა „წამება ქეთევან დედ-
ოფლისა“.....23

ეთერ ეროტაძე
„ხელნი ჩემნი მმსახურებდეს მე“.....29

თამარ ხვედელიანი
„საზეპეროი ენა ქართული“.....32

„ხატწერა ჩემთვის ლოცვაა“ – ინტერვიუ
მხატვარ ამირან გოგლიძესთან.....37

წმიდა იოანე (მაქსიმოვიჩი)
ქრისტეს ეკლესია არ დაკნინდება.....42

საღმრთო შურისგებისათვის.....44

პეტროს მკაწვრელისათვის, ალაჯორის მარხ-
ვისა და სუბსარქისისათვის.....48

დამანა მელიქიშვილი
წმიდა მღვდელმოწამე სიმონი (მჭედლიძე)...53

წმიდა მღვდელმოწამე სიმონი (მჭედლიძე)
ღია წერილი საქართველოს სამღვდელოებას.....57

რედაქტორი: მარიამ (მარინე) ნიაური
სარედაქციო კოლეგია:
არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)
იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი),
მონოზონი სოსანა (კუპრეიშვილი).
პასუხისმგებელი მდივანი:
მორჩილი მარიამი (იაკობაძე).

მისამართი: მცხეთის სამთავროს
წმიდა ნინოს დედათა მონასტერი.
მირიან მეფის ქუჩა N 03
ტელ: 893 76 31 87; 893 30 07 07
ელ.ფოსტა: samTavrosmonasteri@yahoo.com
ანგარიშის ნომერი: GE65BG0000000158107700

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი,
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი
ილია II

ჰოი, ღვთივკურთხეულო საქართველოვ, წინასწარმეტყველი დავითის მსგავსად, რჩეულთა შორის ამაღლებულო; ღვთისმშობლის საფარველით დაცულო ივერთ სამკვიდროვ, ანდრია მოციქულისა და წმიდა ნინოს მიერ ქრისტეს ნათლით გაბრწყინვებულო და ათთა ბევრთა და სხვა მრავალთა მოწამეთა სისხლით მორწყულო; დროშავ სვიანო, უძლეველო, გორგასლიანო, დავითიან-თამარიანო; საიდუმლოთა დიდთა დამტევნელო, ენავ ქართულო, ლაზარეს მსგავსად, მკვდრეთით აღმდგარო, ღვთაებრივი სიყვარულის თანაზიარო, სულო ქართულო, უტკბილესო ჩანგო, მრავალხმიანო.

შეურყეველი იდექ მტკიცედ, უფალი შენთანა!

გწამდეს, გიყვარდეს, თესე სიკეთე და დატკბი ხელთა შენთა შრომის ნაყოფით, რათა იყო ერთიანი და მთლიანი და იხარო ორთავ სოფელსა შინა. ამინ.

SRULIAD SAQARTVELOS KATOLIKOS-PATRIARQIS, MCXETA-TBILISIS MTAVAREPISKOPOSIS, BIWVINTISA DA CXUM-AFXAZETIS MITROPOLITIS

UWMIDESISA DA UNETARESIS ILIA II-IS

LOCVA RVTISMSOBLISADMI

დედაო ღვთისა, გარდამოიხილე ჩვენზე და გვაცხოვნე ჩვენ!

ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო, პატრონო ივერიისაო, ბრწყინვალე ვარსკვლავო ცისკრისაო, მზეო ქვეყანისაო, აღმატებულო ანგელოზთაო, შემწეო ყოველთა დავრდომილთა და შეჭირვებულთაო, მამისაგან უფლის დედად გამორჩეულო და მფარველო ორთავ სოფლისაო, მოწყალე თვალით გარდამოიხილე შენს წილხვედრ მამულს – საქართველოს და ურიცხვთა ცოდვათა ჩვენთა შენდობაჲ შესთხოვე ყოვლადწმიდასა სამებასა – მამასა, ძესა და სულსა წმიდასა. წყალობითა შენითა კვლავ აღგვადგინე, მშიერნი დააპურე, შიშველნი შემოსე, საპყრობილესა შინა მყოფნი განათავისუფლე და სიმართლის გზაზე დააყენე; უძლურნი განკურნენ, მტირალთ ნუგეში ეც, ჭაბუკთა და ყრმათა სიმხნე მიეც და სულიერად აღამაღლე, ასაკოვანნი სიბრძნით აღავსე და მათი შთამომავალნი კეთილდღეობით გაახარე.

დედაო მოწყალეო, მოგვეც სიმტკიცე რწმენისა, სასოება, შიში ღვთისა და შეუორგულებელი სიყვარული, ეკლესიისა და მოყვასისა, ერთგულება მამულისა და ქართული ენისა, მოგვმადლე გული წმიდა და სული წრფელი, გონება მახვილი და ღრმა, სხეული ჯანსაღი და უვნებელი. განამტკიცე ოჯახები ქართველთა და აკურთხე იგინი შვილთა სიმრავლითა. აღავსნე ბედენი ჩვენი პურითა და ვენახები ჩვენი – ყურძნითა, განამრავლე მოსავალი მიწისა და მონაგები პირუტყვთა.

ღვთისმშობელო დედაო, შეცთომილნი ძენი და ასულნი ივერიისანი ჭეშმარიტების გზაზე დააყენე, უცხოეთში მყოფნი ქართველნი სამშობლოში მშვიდობით დააბრუნე; მტრად მოსულნი უცხო ტომნი ჩვენს უვნებლად თვისავ ქვეყანასა შინა განაწესე, ხოლო ჩვენ მკვიდრთა საქართველოჲსთა, მოგვეც ძალი ურთიერთთანადგომისა, რათა მწუხარეთა თანა ვტიროდეთ და შევევწეოდეთ მათ, ხოლო მხიარულთა თანა ვიხაროდეთ.

დედაო მარიამ, ერი ქართველთა, მთავრობა, მხედრობა და ეკლესიაჲ ჩვენი სულიერად შეჰკარ და აღდგენილსა მამულსა შინა ჩვენსა ერთ განუყოფელ სამწყსოდ ღვთისა დაადგინე. ტაძრად შენდა ჰყავ საქართველო და ხილულ და უხილავ მტერთაგან კეთილსურნელ იათა მახვილითვე მარად დაიცევ.

მერმეცა გევედრები, რათა შეეწიო მართლმადიდებლობით აღსრულებულთა ჩვენთა ახლობელთა და წინაპართა და სულნი მათნი შენის მეოხებით სავანესა მართალთასა დააწესე.

ათონი – ივერონი.

განუზომელია წყალობა შენი ჩვენ ზედა, ღვთისმშობელო დედაო, დიდებასა და მადლობასა გწირავთ შენ, მეოხო ჩვენო, შენს ფერხთა ქვეშ განვაფენთ გულთა ჩვენთა და კანდლად აღგინთებთ ლოცვასა ჩვენსა; ზეცისა სასუფეველიდან ვიდრე საქართველომდე, ვითარცა ფიანდაზსა დაგიფენთ სიყვარულსა ჩვენსა და მთელის ქვეყანის ყვავილებით განვამშვენებთ მას.

მუხლმოდრეკით შეგთხოვ, არ განგვშორდე არცა ჟამსა მას მეორედ მოსვლისა ძისა შენისასა და სრულიად საქართველო უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მარჯვენით დაადგინე, რათა შენთანა ვიხარებდეთ და ვადიდებდეთ დამბადებელსა ჩვენსა, ყოველთა შემწყნარებელსა და სიყვარულსა დაუსრულებელსა – მამასა, ძესა და წმიდასა სულსა აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.



გელათის ოთხთავი. მინიატურა (XII ს.).

ხსენება ღვთივბრწყინვალისა კვართისა საუფლოჲსა და სვეტისა ცხოველისა

განიყუეს სამოსელი ჩემი და კუართსა ზედა ჩემსა განიგდეს წილი, რომელი მიქსოვა ქალწულმან დედამან ჩემმან, ვითარცა ჰსთქუეს პირველად წინასწარმეტყველთა, და აწ მოვმადლე ქართუელთა მადიდებელად ძალსა ჩემსა... („სადღესასწაულო“)

* * *

ხოლო რაჟამს იგი დამსჭუალვიდეს უფალსა ჯუარსა მას ზედა და ჰასანიგმან კუერითა მით რკინისათა სცა სამჰსჭუალთა მათ ზედა უფლისათა იერუსალიმს, მაშინ ესმა ხმა იგი სამჰსჭუალთა მათგან გამოსრული დედასა ელიოზისასა მყოფსა მცხეთასა შინა და მეყუსეულად იკრჩხიალნა და თქუა: „მშვიდობით მეფობაო ურიათაო, რამეთუ მოჰკალით თავისა თქუენისა მაცხოვარი და მხსნელი და იქმნენით ამიერითგან მტერ და მკულელ შემოქმედისა, ვაი თავსა ჩემსა, რომელ არა მეუფლა მე უწინარეს ამისსა სიკუდილი, რათამცა არღარა სმენილ იყო ყურთა ჩემთა და არცაღა შემდგომად ამისსა ღირს ვიქმნე მე ხილვად ნათლისა წარმართთა ზედა და მშვიდობა ისრაილისა“. და მყის შეისვენა მან, სრულჰყო რა სიტყუა ესე.

მიხეილ საბინინი –
„საქართველოს სამოთხე“

`DRESASWAULISATVIS UFROSAD KURTXEULISA DA DIDEBULISA DEDOFLISA CVENISA RMRTISMSOBELISA...~

მიტროპოლიტი ტიმოთე გაბაშვილი,XVIII ს-ის ცნობილი მწერალი,მოგზაური და ფილოსოფოსი, ქართლის არქიეპისკოპოსობის ჟამს, სამთავროში, მცხეთის სამთავარეპისკოპოსო რეზიდენციაში (დღევანდელ სამთავროს დედათა მონასტერში) მოღვაწეობდა (ვრცლად ამის შესახებ იხ. ჟურნალი „მაყვლოვანი“ №5, 2011). **მის თხზულებათა შორის გვხვდება „გულმხურვალე ლოცვა ღვთისმშობლისადმი“** (მართალია, ტიმოთე ლოცვას ღვთისმშობელს უძღვნის, მაგრამ იგი ტექსტში უფრო მაცხოვარს მიმართავს.) **ლოცვა საქართველოს გადასარჩენად აღვლენილ ვრცელ ვედრება-გალობას წარმოადგენს. ტიმოთეს ამ სავედრებლისთვის მარჯვენა აშიაზე მიუწერია: „...(ოდეს) სამთავროსა, მწუხარებისთვის პარაკლისი იხდებოდეს, ბოლოს ეს ლოცვა მიაბან“**.

წარმოვადგენთ ამ ლოცვის სრულ ტექსტს. ის საკმაოდ ვრცელია, ლოცვა მე-18 ს-ის ძნელად გასაგები (ანტონ I-ის სტილის) ენითაა დაწერილი. არ არის ნახმარი სასვენი ნიშნებიც. ბევრია დაქარაგმებული სიტყვა. ამასთან, ავტორი ზოგჯერ წინადადებას პირველ პირში იწყებს და მესამე პირში ამთავრებს, რაც კიდევ უფრო ართულებს მის აღქმას. ჩვენ შევეცადეთ, მაქსიმალურად გაგვემართა ტექსტი. გავხსენით ქარაგმები და სათანადო ადგილას დავუსვით სასვენი ნიშნები. აღსანიშნავია, რომ ლოცვის ტექსტი ასეთი სახით არასდროს გამოქვეყნებულა. მოგვყავს ლოცვა:

„მაღალო ღ(მერ)თო და უუსაკვირველესო! განზრახვასა შინა კაცთასა თაყუანისცემა და ათასისა მადლობითისა,პირმიწაშესწორებულის იატაკთა, კვარცხლბეკთა ფერხთა შენთასა შეწირვა [თანაგუაცს],[1] შენისა დიდად უუსაკვირველესისა დამბადებლობისა(დ)მი; რომელმან არა არსებისაგან, არსად მომიყვანენ და არა კმა-<უ>ყავ მხოლოდ არსებად მოყვანება, ა(რამე)დ ხატად უმსგავსოებისა, შენისა ძალისაებრ ხატად შექმნა სათნო-იყავ მისი. და კვალად, არა უღირს-იჩინე მ(ი)ს გავსება<ა>დცა. გამოსახე საარებულობა[2] ჩვენი და ვ(ითარც)ა მამამან, ტკბილსაშვებელსა საკვირველსა მას წიაღთა შეგვიფარენ დამბადებელმან და სასუფეველისა და ზეცისა მხედრობათა სოფლისა და ზღვათა მაარსებელმან, შემოქმედმან საუკუნეთამან, არა უღირსიჩინე კაცთმოყვარედ სახელისდება, დაუბადებელმან ღ(მერ)თ(მა)ნ, დაბადებულთაზე ისახელნართაულე[3] კაცთმოყვარება. უ(ფალ)ო, რაჲ არს კაცი რ(ამეთუ) ეცნობე მას ანუ ძე კაცისა რ(ამეთუ) შერაცხე იგი, ანუ ვითარიმე მადლობა შეიწიროს მიწიერთაგან შენ, საკურველისა ღ(ვ)თისათვის; სამოთხესა მას უკვდავებისა საშვებელითა ცხოვრებული და ნათლითა დაუჭნობელითა აღვსილი, ფ(რია)დისა უგულისხმოებისა მომცემელი ბუნება ჩვენი, ურჩქმნილი შენ, კაცთმოყვარისა [მიმართ] და დასჯილი თვისითა წინააღრჩევითა, ექსორიობისა ხსნად, და არა უღირს-იჩინე შემოსა სიგლახაკისა კაცთა, მხოლოდ-შობილისა ძისა შენისა და მოგვიყიდენ პატიოსნითა სისხლითა მისითა, ტყვე ქმნილი ესე . ა(რამე)დ ძენივე ადამისნი, მრავალფერითა უგუნურებითა და უმადლოებითა ურჩნი, შენისა უუმრავლესთა მოწყალებათასა ფ(რიად)სა მცირედ მორწმუნოებასა შეუპყრიეს და უმადლოებასა მოუცავს, მორწმუნენი შენნი, ჟამსა ამას და უფროსად გარდაგვრევია სიბოროტე ჩვენ, საქართველოთა კაცრიგლობათასა[4]. რ(აოდენი) ჭირი და მწუხარება გვახს და გვეშინის თხოვად წყალობისა და უღირსისა ხელისა, კადნიერად აპყრობისა. რ(ამეთუ) არა მოგვიგიეს საქმე ღირსი კადნიერად თხო-

1. <> – ფრჩხილი აღნიშნავს ზედმეტობის ნიშანს. () – ფრჩხილებში გახსნილია დაქარაგმებული სიტყვები. [] – კვადრატულ ფრჩხილებში კი მოცემულია აზრობრივი აღდგენა.
2. საარებულობა – ურვა, ტანჯვა, გვემა.
3. ისახელნართაულე – დაანათლე.
4. კაცრიგლობა – საქართველოს მცხოვრებთა.

ვისა. და გვეშინის სიტყვისა მისგან, მამისა სულიერისა, რაჟამს იგი გვეტყოდა წიგნთა შინა თვისთა: „ვ(ითარმე)დ უგუნურსა და ცოდვილსა, რაჟამს მოადგის ჭირი ანუ იწროება, მაშინ აღიპყრობს ხელთა თვისთა ღ(მრ)თისა მიმართ სასოებით; ესევითარსა მას უხმს შესვლად განსაცდელსა, რათა ესრეთ განისწავლოს; რ(ამეთუ) არა მოუგიეს საქმე ღირსი, სასოებისა ღ(მრ)თისა და საქმისა მისთა ბოროტთათვის ღირს არს იგი წვრთასა, განსაცდელთა მიერ; ა(რამე)დ ნურმცა აცთუნებს თავსა თვისსა და იტყვის ესევითარი და დაივიწყებს მოქალაქობასა თვისსა და იტყვის: ვესავ ღ(მერთ)სა და განმიხსნას. რ(ამეთუ) განწვრთნად არს იგი. რაჟამს უგუნურებით შთააგდებდა თავსა თვისსა მღვიმეთა შინა ბოროტთა, მაშინ-ღა ყოვლადვე არა მოიღო ღ(მერ)თი გონებასა თვისსა; ხ(ოლო) აწ, დაცემისა შ(ემდგომა)დ იტყვის: მწამს ღ(მრ)თისა და მან მიხსნეს მე. ნუ სცთები, ჰოი, უგუნურო! წინამძღვარ სასოებისა ღ(მრ)თისა არს საქმენი კეთილნი; უკეთუ გწამს ღ(მრ)თისა, კეთილად იქმ. გარნა სარწმუნოებასა მისთანავე, საქმენიცა უხმან კეთილნი; ვ(ითარც)ა თქმულ არს, ვ(ითარმე)დ; ხ(ოლო) ცოდვილსა მას ჰ[რ]ქვა ღ(მერ)თ(მა)ნ: რასათვის შენ აღიღებ აღთქმასა ჩემსა, პირითა შენითა?!“

ამისთვის, ხელნი, ცოდვილთა შებღალულნი, კადნიერად ვერა აღგვიპყრიეს ვედრებად, რ(ამეთუ) არა ღირსი რაჲმე მოგვიგიეს სარწმუნოებით თხოვისა; ნუ უკვე რისხვა და სასჯელი მოიწიოს ჩვენზედა, რა ვყოთ არა უწყით, რ(ამეთუ) აჰა ესერა უსჯულოებათა და მრავალთა უკეთურებათა ჩვენთათვის კნინდა-და უმკვიდრო ყოფად არიან ქვეყანა ჩვენი[5]. და წარმართნი მოგვსრვენ ჩვენ სიტყვისაებრ მართლმსაჯულობისა შენისა: „ვ(ითარმე)დ, უკეთუ არა ისმინოთ ჩემი, მახვილმან შეგჭამეს თქვენ.“ რ(ამეთუ) ესერა ცოდვათა ჩვენთათვის მივეცენით წარმართთ და კვლად და წარსატაცებლად. რ(ამეთუ) მტერნი დიდად შვენიერისა სახელისა შენისანი, განაძლიერნა ცოდვამან ჩვენმან და აღლესა სისრად უღირსთა ამათ მონათა ზ(ედ)ა. და განიზრახეს ბოროტი ერთა შენთა ზ(ედ)ა – მოვიდეს და აღაოხრეს ქვეყანა ჩვენი და შეაგინეს ტაძარნი დიდებისა შენისანი. მოსრნეს მორწმუნენი და დასხეს მძორები მონათა შენთა, საჭმელად მფრინველთა ცისათა. და ხორცნი მოსავთა შენთანი მხე<ლ>ცთა ქვეყანისათა; ვცოდეთ და უსჯულო ვიქმენით და ურიცხვნი სიცრუვენი ვყვენი<ი>თ წინაშე შენსა; ყ(ოვლა)დ სახიერო მეუფეო! <და> სამღვდელონი აღთქმანი საიდუმლოთა შენთანი დავივიწყეთ და სისხლი იგი აღთქმისა და მადლი სულისა წ(მიდ)ისა შევაგინეთ, ყოველი წერილთა მოძღვრება და საღ(მრ)თო სჯული დავივიწყეთ. პირი ჩვენი, სამღვდელოთა სიტყვათა წილ, ორღანო იქმნა ყოვლისავე ზრახვისა სიბილწისა, ცრუ ფიცისა, ტყუილისა, განკითხვისა და სისულელისა სიცილისა; თვალთამხედვარობა და საგრძნობელთა გრძნობა ჩვენი თითო სახითა სიღოდითა[6] და უძღებებითა აღივსო. და გონებანი ჩვენნი რომელი მიწად კეთილად საორნატედ შეგმზადა შემწყნარებლად თესლისა საღ(მრ)თოსა, ვყავთ აგარაკად მტერისა სათესავად თესლთა უკეთურებისათა, და გვამნი ჩვენნი განვხრწენით ყოვლითა ქვებურებრივისა არაწმიდებითა. და მრავალფერნი ურჩებისა სახენი ქვესკნელად შთამხდელნი მწარედ ვიმოქმედეთ და მარადის ცოდვანი ჩვენნი წინაშე თვალთა ჩვენთა არიან; ამპარტავანებამან ჩვენმან აღისწრაფა უმაღლეს მთათა და აღვიდა ზე ღრუბელთადმე და მზისა უბრწყინვალესი მოხედვა შენმიერი დაგვიბნელა, პატიოსნად ხსენებით საგონებელთა ჩვენთა და სიწმიდისა დამცველთა ვერცხლისმოყვარებითა და მამონათა აღნადგინებისათა წიაღნი მათნი საფასითა აღივსენ, რომელნი სძულან წმიდასა სულსა შენსა; და მღვდელთა საიდუმლოსათა შეიყვარეს შური და ვერაგობა და ამპარტავნება თავნი ესე ცოდვანი და ფარისეველებრ ეკიცხვიდენ მპარავთა და მემრუშეთა, განიკითხვიდენ მეზვერისებრ და იტყოდენ ზ(იარება)სა ზ(ედ)ა, გმადლობ შენ უ(საკვირველესო) უ(ფალო): რ(ამეთუ) ვხედავთ ჩვენ ვ(ითარმე)დ არა შეწირულ არიან ლოცვანი მათნი. რ(ამეთუ) აჰა ესე რა უმეტესი მახვილი მოგვსრავს ჩვენ ყოველთავე მივაქციეთ და ერთბამად უხმარ ვიქმნენით; ფრთენი

5. ეს წინადადება ისე უნდა გავიგოთ, რომ საქართველოს მოსახლეობა ძლიერ შეთხელებული იყო.

6. სიღოდა – სიმთვრალის აურზაური.

სამთავროს ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის
მირონმდინარე ხატი.

ლოცვისა ჩვენისანი უძლურ არიან კაცთ-
მოყვარეო და ვედრება ჩვენი უნდო არს.
ა(რამე)დ მოცემა შენი ფ(რია)დ არს და
მიგება შენი უსაზომო. უკეთუმცა აღ-
სწონნე თხოვანი ჩვენნი და შეატყვენ ვე-
დრებათა ჩვენთა მსგავსებითა, ნუ უკვემცა
ნაცვლად წყალობისა, ცეცხლი აწვიმე
ჩვენდა; რ(ამეთუ) ვედრება ჩვენი ბოროტ
არს მით, რომელ არა შევინანეთ, მსგავსად
ცოდვათა ჩვენთა, არცა დაუტევენით სახ-
ენი იგი, რომლითა განგარისხეთ რ(ამეთუ)
უსამართლოებანი ჩვენნი, დაადგრა თვის-
სავე ზ(ედ)ა ბოროტსა და მტაცებელი არა
განძდა და მემრუშე ნათესავსა ამას
უბადრუკსა არა განეყო. ნაყროვანება და
სიძვანი და უძღებება ჩვენი არა მოიქცა,
არცა დაუტევეთ ჩვეულება ჩვენი, მსაჯულ-
თა განხსნეს ნასკვი იგი უსამართლოები-
სა და სანოვაგეთა მსყიდელთა განა-
ძლენნეს ფასი და შეიწრდა ობოლნი და
ქვრივნი, გლახაკნი და დავრ-
დომილნი. რ(ამეთუ) უკეთუმცა
მოგვაგებდი ბოროტთა ჩვენ-
თაებრ, უბრძანე სამემცა ქვეყა-
ნასა დანთქმა ჩვენი მსგავსად
დათან და აბირონისი-უკეთუმ-
ცა არა გარდამატებით სახ-
იერი ყავ, განრისხენმცა აწისა
ამისა ვედრებისა ჩვენისათვის.
რ(ამეთუ) ნაცვლად შენისა
მოწყალებისა, განვამწარეთ
ნაწლევ ნი შენისა კაცთ-მოყ-
ვარებისანი; და რაბამად შენი-
სა ქველის-მოქმედისა მიერნი
მცნებანი უარვყვენით, ბორო-
ტად ცხოვრებითა და გონები-
თა შეგინებულითა. და არა თუ
მხოლოდ სიყუარულსა შენსა
განვეყენენით ა(რამე)დ
ს(რულია)დ მოძულე ვიქმენით
დიდად შვენიერისა სახელისა
შენისა; რ(ამეთუ) უკეთუ ოზიას
და გიეზის და ელლის ძეთა
მათ ნაცოდვებთა ზ(ედ)ა,ეგრეთ
განრისხდა ღ(მრ)თა-ება შენი.
ჩვენ რაჲმე ვყოთ რომელთა
უმრავალწილეს და უძლიერეს
გარდაგვერია უკეთურება:
რ(ამეთუ) საქმენი სოდომელთ-
ანი გვიმონებენ ჩვენ და
დაქცევასა გომორელთასა გა-
რემოუცავს სავსება ჩვენი. ვინაჲ მოქცევა
ნინეველთა, შორს არიან ჩვენგან. უღირსნი
ესე ვედრებისა შენისანი, შენ, შემოქმედსა
და ყ(ოვლ)ისა მპყრობელსა შეგივრდებით
და მოწყალესა ხელსა შენსა შევვედრებთ
უღირსთა თავთა ჩვენთა. რ(ამეთუ)
მსწრაფლ იპოების მოწყალებისა შენისა
თანა, ქვეშე-შევრდომილთა წყალობა. ვერ
მკადრე ვართ ჩვენ უმადლონი თხოვად წყ-
ალობისა, ა(რამე)დ წერილთა აღმომკითხ-
ველნი, არა წარვიკვეთთ სასოებასა, არცა
განვიპყრობთ ხელთა ჩვენთა ღ(მერ)თთა
მიმართ უცხოთა; ა(რამე)დ წერილ არს რა
ვ(ითარმე)დ; რომელმან ხადოს სახელსა
უ(ფლი)სასა, ცხოვნდეს. ნუ წარგვწყმედ
უ(ფალო) ცოდვათა ჩვენთა თანა, და ნუ
გარე მიიქცევ პირსა შენსა ჩვენგან, ნუმცა
მიიქცევ რისხვით მონისა შენისაგან,
ვ(ითარცა) იგი ცოდვათათვის, ერისათა

მოისროდა რა ერი და უბრძანე მოსეს აღ-
მართება ძელი და გველი რვალისა, რათა
მიმხედველნი მისნი, განიკურნებოდეს;
ეგრეთვე ჭ(ეშმარი)ტისა მის ძელისა ჯვა-
რისა მიხედვითა, რომელსა ზ(ედ)ა განიმ-
სჭვალე. და სისხლი და ხორცი განმაღ(მ)
რთობელი წინადაგვიგე ტაბლა იგი ცხ-
ოვრებისა. მისითა მიხედვითა და თაყ-
ვანის-ცემითა, კბენილნი ესე და მოსრილნი,
გვაცხოვნენ ჩვენ, ძეო ღმ(რ)თისაო, წარ-
მართთაგან იავარქმნილთათვის ლხინება-
ყავ სიკვდილ-შემოსილისა ამის ერისა
შენისათვის; ვ(ითარც)ა იგი ცოდეს რა
ერთა ისრაელისათა და განრისხდა გუ-
ლისწყრომა შენი მას ზ(ედ)ა, ა(რამე)დ ფი-
ნეზ მოსვრითა მათითა ლხინება ყო;
ეგრეთვე ახალსა ამას ისრაელსა[7], ერსა
შენსა მცოდველსა დიდად წინაშე შენსა,
ესოდენი მოსრვა კმა-იყავ, სახიერო, და
წარტყვენე წარტაცებითა და სისხლისა
შეღებითა ველთა ამათთა, აჰა, ეგრეთვე
დააცხრვე გულისწყრომა შენი ჩვენზედან
და ლხინება მოგვანიჭე, რ(ამეთუ) ქმნულ-
ნი ხელთა შენთანი ვართ; დიდად უსახ-
იერესო და კაცთმოყვარეო, ნუ ცოდვათა
ჩვენთათვის, ერსა უმეცარსა და უბრალო-
სა ერთბამად განსწირავ, რათა არა
ს(რულა)დ წარვსწყმდეთ, და საკიცხელ
წარმართთა ვიქმნეთ, სამკვიდრებელი შენი.
რ(ამეთუ) შენ ხარ მამა ობოლთა ამათ, და
მსაჯული ქვრივთა ამათ, მოგვხედენ
ჩჩვილთა და ბრგვინილთა ენითა მტირალ-
თა, ბერთა ღაღადება, ობოლთა წუხილი,
ქვრივთა გოდება და ძუძუთა განხმობა,
გლახაკთა ვაება, და ყოველთავე ხმაღ-
მატებული ძახილი შეისმინე, კაცთმოყუ-
არეო: დააყენენ ჩვენ ზ(ედ)ა მომავალი
მახვილი და ნუ უგულებელს-ჰყოფ ვე-
დრებასა ჩვენსა, ნუცა საზომისაებრ
მოგვაგებ ჩვენ უღირსთა: რ(ამეთუ) უკეთუ
უსჯულოებათაებრ ჩვენთა მოგვაგებდე,
უ(საკვირველესო) უ(ფალო), ვინმე დაგით-
მოს, რ(ამეთუ) შენ მიერ არს ლხინება; უმ-
ეტესად სახიერო, მყუდროვო ნავთსაყუდე-
ლო, კადნიერ მყვენ ჩვენ, ღაღადებად და
თხოვად შენგან წყალობისა, და განგვწ-
მიდენ ჩვენ ცოდვისაგან დიდისა და იყვნენ
შენდა სათნო სიტყვანი პირისა ჩვენისანი;
საჯენ უ(ფალო) მტერნი ჩვენნი. და აღიღე
ჭური და ფარი და მოვედ შეწევნად ჩვენ-
და; დააყენე თანა-წარუვალი ესე მახვილი,
ჩვენზედან მომავალი, რ(ომელმა)ნ სთქუ:
მხადე მე დღესა ჭირისა შენისასა და მე
გიხსნა შენ; სძლიენ სჯასა შენსა და ნუ
შეხვალ სასჯელსა მონათა შენთასა,
რ(ომელმა)ნ პირველითაგანვე მოიძიე
სიგლახაკე ჩვენი და წარავლინინენ რა მო-
ციქულნი ყოველსა სოფელსა, ვ(ითარც)ა
მეფემან მხედარნი და ვ(ითარც)ა დედოფა-
ლმან მხევალი ნინო მოგვივლინა მისთა
წილხდომილთა ამათ და მოგვაქცივნა
წარმართობისაგან, და საფარველსა ცხ-
ადსა და უტყუარსა ღ(მრ)თისმშობლისასა
ქვეშე არს ურჩთა ამათ ქვეყანა; რ(ომელ-
მა)ნ ღვაწლით შემოსილი წმიდა მოწამე
გიორგი მოგვანიჭე ზ(ედ)ამდგომელად და
ნაწილთა და სასწაულითა მისითა აღვ-
სილ არს ქვეყანა ჩვენი, მისითა მეოხებითა
განგვიახლენ ჩვენ წყალობანი შენნი;
რ(ომელმა)ნ მცველად და ცხებად წყაროდ
ცხოვრებისად მომადლე აქა კვართი შენი
საუფლო და უხრწნელისა ქალწულისა
სამოსელი და სარტყელი საუნჯედ წარუ-
პარველად [მოეც] ქვეყანასა ჩვენსა, დაგვი-
ფარენ მის მიერითა საფარველითა;
რ(ომელმა)ნ სამშჯვალნი იგი წმიდისა
ხორცისა შენისანი უუნჯენ მონათა შენთა,
გამოავლინე ხელი მოწყალებისა განრო-
მად ურწმუნოთაგან; და ნუ გულისწყრო-
მითა შენითა გვამხილებ ჩვენ და ნუმცა
რისხვითა შენითა მსწავლი ჩვენ, ნუ მოიხ-
სენებ უსჯულოებათა ჩვენთა, რ(ამეთუ)
დავგლახაკენით ჩვენ ფ(რია)დ, შემეწიენ
ჩვენ ღ(მერთ)ო, მაცხოვარო ჩვენო, დიდები-
სათვის სახელისა შენისა; ნუ დაგვაგდებ
ჩვენ უ(ნუგეშო)დ და ნუ უგულებელს-
გვყოფ მოკლებასა ძალისა ჩვენისასა;
მიხედენ, სახიერო, წ(მიდა)თა მოწამეთა,
საქართველოსათა და მამათა ღირსთა
წამებულთა მრავალთა ღვაწლთათა
სახელისა შენისათვის წ(ამებულ)ისა და
შეიწირენ მხვერპლად სათნოდ, ნათესაო-
ბისა მიერ, და ადგილობითისა ჩვენისა[8],
მიითვალენ ჩვენთვის მსხვერპლი იგი,
ძღვნად შესაწირავად და გარდმოავლინე
ჩვენზედა მეოხებითა ამათითა ხსნა ჩვენი

7. საყურადღებოა, რომ ტიმოთე, ქართველ ერს „ახალ ისრაელს“ უწოდებს.

8. ტიმოთე აქ გულისხმობს, რომ უფალმა ქართველი წმიდანების მიერ გაღებული მსხვერპლი მიიღოს, როგორც „მათი ნათესაობის“ (ეროვნების) და („ადგილობითი“) ანუ საქართველოს ზვარაკი.

მცხეთის სამთავროს მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარი.

ხილულთა და უხილავთა მტერთაგან: წმიდათა მოწამეთა ჩვენთა დავით და კონსტანტინესითა, წ(მიდ)ისა მოწამისა რაჟდენისათა: წ(მიდ)ისა მოწამისა ქეთეონ[9] დედოფლისათა, აბიბოს ნეკრესელისა, საჰაკ და იოსებისა, ნ(ი)კ(ოლო)ზ კლარჯეთისა და ლუკა ჯვარის მამის იერუსალემელთათა, წ(მიდ)ისა კონსტანტი მცხეთელისა, გობრონ, აბო ტფილისელისა, მესუქეველთა და სუქის, არჩილ და ლუარსაბისა, დავით და ტარიჭანისა, ევსტატი მცხეთელისა, შუშანიკ, ბიძინა და შალვასითა, უღირსნი ესე ნათესაობისა მათისანი, გევედრებით გარდამოავლინე მადლი სისხლისა მის წამებისა შეწირული შენდა და გვაპკურენ ჩვენ და განგვკურნენ; ნუსადა თქვან უსჯულოთა: ვინ არს შემწე და მეოხ მათდა; და კ(უალა)დ მსგავსთა მოწამეთასა, რომელი მოისრნეს წარმართთაგან ქვეყანასა ჩვენსა, სისხლისა მისთვის მონათა შენთასა, რომელი შენთვის დაითხია, შეეწიე შვილთა მოკლულთასა და ლხინება ყავ ცოდვათა ჩვენთა, მეოხებითა წმიდათა მამათა ჩვენთა ქართველთა: ათორმეტთა მამათა და იოანე ზედაძნელისა, გრიგოლი ხანძ<ა>თელისა, ილარიონისა, პროხორე ჯვარის მამისა იერუსალიმელისა, ეფთვიმი, იოანე, გიორგი, გაბრიელ, იაკობ მთაწმიდელთათა და დავით გარეშჯას მოსრვილთა და დოდოსითა, კ(უალა)დ ღირსად მოხსენებულთა მამათა ჩვენთა: პეტრესი, იოანე ბოლნელისა, მაქსიმე კ(ათალიკო)ზისა, დავით მეფისა აღმაშენებელისათა, და რომელი ჩვენ არა უწყით; და კ(უალა)დ რომელი ცოდვამან ჩვენმან მოსრნა და ტყვეყო. სპარსთა, თურქთა და ამალეკთაგან, და დაითხია სისხლი შურისათვის წ(მიდ)ისა სახელისა შენისა. შენ, კაცთმოყვარეო მეუფეო ჩვენისა ნათესაობისა, მათ ნუ უღირს-იჩინებ, რომელნიცა სახელისა შენისათვის სოფელი უარყვეს, შეიწირე სახელთა მათთა მოხსენება ჩვენ მიერ, რომელმან შეიწირენ ქვეყანისა ჩვენისაგან ღვაწლნი მათნი, ვითა ძღვენი აბელისი, მსხვერპლი ნოესი. მეოხებითა მათითა, გარდამოიხილე და იხილე შერყეულობა ჩვენი, რომელიცა მარჯვენემან შენმან დაასხა. რ(ამეთუ) ერნი და მღვდელნი მახვილითა დავეცენით და ქვრივნი მათნი ვინმცა იტირნეს; განცხადებულ

9. იგულისხმება წმიდა დიდმოწამე ქეთევან დედოფალი.

იყვნენ წინაშე თვალთა ჩვენთა, შურისგება სისხლისა მის მონათა შენთასა, რომელ დაითხია, იტყვიან მოძულენი შენნი: ღ(მერ)თ(მა)ნ დააგდო იგინი, ვდევნეთ და ვეწივნეთ მათ, რ(ამეთუ) არავინ არს მხსნელ მათდა; ნუ დაგვაგდებ უ(ფალო) ღ(მერთ)ო ჩვენო, და ნუცა განგვეშორები ჩვენგან, დასცენ მტერნი ჩვენნი მართლუკუნ და საყუედრელად საუკუნოდ მისცენ იგინი; უკეთუ ვინმე იპოებოდეს ნათესავსა შინა ჩვენ უმადლოთასა, მოშიშნი სახელისა შენისა და იმარხვიდეს მცნებათა შენთა, შენ ისმინე მისი,ვედრებად ჩვენდა! რ(ამეთუ) გვარით ჩინებულთა ამათ შორის, მცირედ არიან რჩეულ; შენ კაცთმოყვარეო მეუფეო, მოხედენ პირსა ცხებულისა შენისასა და ნუ მოიხსენებ ცოდვათა მათთა, მიუტევენ მათ ბრალნი მათნი და აღხოცე ხელითწერილი[10] ცოდვათა მათთა, შეეწიე მტერთა ძლევასა ზ(ედ)ა ჟამსა ბრძოლისასა, და მოეც კეთილი, მორწმუნესა მეფესა ჩვენსა თეიმურაზს და ძესა მათსა, მეფეს ირაკლის ზეგარდმო მშვიდობა, განაძლიერენ მკლავნი ამათნი, გარდამოავლინე მცველი ანგელოზი მფარველად ამათად და აღსჭურენ და განაძლიერენ, ვითა დავით გოლიათისა მიმართ, და მიეც ჭური და ფარი და ჰოროლი[11] ვითა ისუ ნავეს წარმართთა ზ(ედ)ა, ვ(ითარც)ა სამფსონს, უცხო თესლთა ზ(ედ)ა და სამღვდელონი ამათნი, ლოცვანი აღთქმისანი, ცოდვათათვის შეიწირენ, მეუფეო; რ(ამეთუ) არა მშვილდსა მათსა ესვენ, და ვერცა მახვილმან მათმან აცხოვნოს, ა(რამე)დ, შენ მაცხოვნენ ჩვენ, მაჭირვებელთა ჩვენთაგან, რ(ამეთუ) არა მოქადულ არს გოდოლთა შეურყევლობათაგან და სიმდიდრითა, არცა მკვირცხლთა და მეომართაგან ა(რამე)დ შენ გესავს და შენითა სასოებითა იქადის; რ(ამეთუ) სიქადული ძალისა მათისა, შენ ხარ და ნებითა შენითა ამაღლდეს რქა[12] მათი უკეთუ დავივიწყნეთ სახელი ღ(მრ)თისა ჩვენისა, და განვიპყრნეთ ხელნი ჩვენნი ღ(მრ)თისა მიმართ უცხოსა, დამცაივიწყების სახელი ჩვენი, მერმეთა მათ ყოფადთ საუკუნეთა. რ(ამეთუ) შენ უწყი საიდუმლო გულთა, რ(აოდენნი) სახელისა შენისათვის მოვისრვით ჩვენ მარად[დ]ღე, და შევირაცხენით ჩვენ ვითარცა ცხოვარნი კვლადნი; აღდეგ და ნუ განგვაგდებ ჩვენ, ანუ არა ცხოვარნი სამწყსოსა შენისანი ვართ? რად გარე მიიქცევ პირსა შენსა ჩვენგან და დაივიწყებ გლახაკობასა ჩვენსა და ჭირსა ჩვენსა? უ(ფალო), აცხოვნე და განაძლიერე მეფე ჩვენი და ისმინე ჩვენი, და აღამაღლე რქა ცხებულისა მისისა; მოწყალეო და კაცთმოყვარეო, ბრალნი და ნაკლულევანება მათი აღავსე სისავსითა მით მოწყალებისა შენისათა და მეოხებითა ქეთეონ მოწამისა, ნათესავისა მათისათა, დაუმორჩილენ ერნი ურწმუნოთანი ქვეშე ფერხთა მათა; ნუცა ცოდვათათვის ერისათა, დააყენებ უხვსა მოწყალებასა შენსა მათზე და შეჰკრიბენ მხედარნი მათნი და რომელნი სხენან ჰუნებსა სპარაზენნი[13] მისნი, სამეფოსა მისისანი, ერთად და განაშორე მათ ჰრული სიკვდილისა, რათა არა დაიძინონ სიკვდიდ და მიეც ძლიერება შენი ძლევად მტერთა; რამეთუ სახელი შენი წოდებულ არს მათ ზედა, რამეთუ შენ, უფალი ტკბილ და სულგრძელ და დიდად მოწყალე ხარ. და ნუ კადნიერად თხოვისა ამისთვის დაგვსჯი ჩვენ; რათა წყალობისა წილ, პატიჟი მოვიღოთ, რ(ამეთუ) მართმსაჯულობისა შენისა წინააღმდგომ არს მოწყალება შენი, რ(ამეთუ) მართმსაჯულობისა შენისა სჯა, სისწორესა სიმართლისასა აღვლენ, რომელთა განგვიხსნენ ჩვენ მეუფეო და ნუ შეხვალ სასჯელად მონათა შენთა, და სძლიე სჯასა შენსა, რამეთუ შვენის შენდა თაყვანისცემა. მგულვებელმან ჩვენდა მომართ კეთილთამან, მოგვმადლენინ ჩვენ ზეგარდმო შეწევნა და შვება სამოთხისა და ფუფუნება სასუფეველსა, რამეთუ მისი არს მოწყალება და კაცთმოყვარება მამისა და ძისა და სულისა წმიდისა! ამინ.“[14]

ისტ. მეცნ. დოქტორი

ვაჟა კიკნაძე

10. ხელითწერილი – საუბარია აღნუსხულ ცოდვებზე.

11.ჰოროლი – ლახვარი, შუბი.

12. რქა – აქ დიდება, მემკვიდრეობა, მოდგმა

13. სპარაზენი – მხედართმთავარი.

14. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Q – 93. თ. ჟორდანია, ქრონიკები... ტ III, თბ. – 1987. გვ. 238-242.

WMIDA MRAVALVNEBULI ANTON II

(21 დეკემბერი – ახლით 3 იანვარი)

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ანტონ II, ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის შვილი იყო. ბავშვობიდანვე მან საფუძვლიანი განათლება მიიღო ერეკლე II-ის კარზე. ჭაბუკ თეიმურაზს არ იზიდავდა საერო ცხოვრება; მშობლების თანხმობით, იგი 17-18 წლის ასაკში აღიკვეცა ბერად და სახელად ეწოდა ანტონი. 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოსაწერად გაგზავნილ ქართულ დელეგაციაში, რომელსაც გარსევან ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა, ახალგაზრდა ბერ-დიაკონი ანტონიც იყო.

1784 წელს ერეკლე II-ის თხოვნით, რუსეთის სინოდის მღვდელმთავართა მიერ „ცარსკოე სელოს“ ეკლესიაში ანტონს ხელი დაასხეს ნინოწმინდელ ეპისკოპოსად; იმავე წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის მიერ აღყვანილ იქნა ალავერდელი მიტროპოლიტის ხარისხში. უწმიდესი ანტონ I-ის გარდაცვალების შემდეგ, 1788 წლის 29 ოქტომბერს, მიტროპოლიტი ანტონი აირჩიეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. რთული, წინააღმდეგობრივი პოლიტიკური ვითარება, რომელიც XVIII ს-ის 80-90-იან წწ-ში შეიქმნა, გავლენას ახდენდა საეკლესიო ცხოვრებაზე. იმედი იმისა, რომ ერთმორწმუნე რუსეთი პირნათლად შეასრულებდა გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებს, თანდათან ფერმკრთალდებოდა. 1795 წელს აღა-მაჰმად ხანმა ისარგებლა მფარველი რუსეთის გულგრილობით და სასტიკად ააოხრა თბილისი. 1798 წელს გარდაიცვალა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II. სახელმწიფო საქმეები კიდევ უფრო გართულდა გიორგი XII-ის დროს. შექმნილი ვითარება კარგად გამოიყენა რუსეთმა, რომლის გეოსტრატეგიულ ინტერესებში შედიოდა კავკასიის სრული დაპყრობა, ასეთ ვითარებაში ქართული სამეფო-სამთავროები,როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები, მისთვის მიუღებელი იყო. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით, რუსეთის იმპერატორმა გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო. ამის შემდეგ დაიწყო ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრთა რუსეთში გასახლება. უწმინდესი და უნეტარესი ანტონ II, რომლის გარშემო იკრიბებოდა ქართლ-კახეთის უკმაყოფილო მოსახლეობა, რუსეთისათვის მიუღებელი პიროვნება იყო. რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებისათვის ახლადდაპყრობილ ტერიტორიაზე დამოუკიდებელი ეკლესია, კათოლიკოს-პატრიარქის მმართველობა დროებითი მოვლენა იყო. ხელისუფლება გენერალ კ. კნორინგის მეშვეობით შეუდგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შევიწროებას. მათ მოსთხოვეს უწმიდესს და უნეტარესს, ანტონ II-ს, რუსეთის იმპერატორის მიერ დანიშნული მთავარმართებლის ნებართვის გარეშე არაფერი გაეკეთებინა. 1803 წელს, როდესაც პატრიარქმა წილკნის ეპარქია ჩააბარა არქიმანდრიტ დოსითეოსს დასნეულებული მღვდელმთავრის ნაცვლად, განრისხებულმა პავლე ციციანოვმა უხეშად გააფრთხილა მისი უწმიდესობა, რომ ასეთი ნაბიჯი სხვა დროს არ გადაედგა, თორემ ყველაფერს იმპერატორს მოვახსენებო. იმპერატორ ალექსანდრე I-ს დავალებული ჰქონდა ციციანოვისთვის ქართლ-კახეთში ეპარქიების შემცირება ფრთხილად და უმტკივნეულოდ. 1804 წლის 29 მაისს პავლე ციციანოვი იმპერატორისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა: „ხანდაზმულ ეპისკოპოსთა გადადგომის შემდეგ, მათი ეპარქიების შეერთება სხვა ეპარქიებთან, ეპარქიათა რიცხვის შემცირების საუკეთესო საშუალებაა, საქართველოში ჩემი ყოფნის პერიოდში, ამ წესის დაცვით მოხერხდა ქართლში სამი ეპარქიის გაუქმება და დარჩა კიდევ 3, თუმცა ვფიქრობ ქართლისთვის ერთი ეპარქიაც საკმარისია“. ერთი ეპარქია უნდა დარჩენილიყო კახეთშიც. რუსეთის ხელისუფლების მიზნები სრულიად ნათელი იყო. მას სურდა გაეუქმებინა საქართველოს ეკლესიის საკათალიკოსო მმართველობა და მიეერთებინა იგი რუსეთის სინოდისათვის. უწმიდესი და უნეტარესი ანტონ II ვერ ეგუებოდა რუსი მოხელეების საქართველოს ეკლესიის საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევას და ცდილობდა დამოუკიდებელი ყოფილიყო საეკლესიო საქმეების გადაწყვეტის დროს. ხელისუფლებამ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ძალაუფლების დასასუსტებლად საეკლესიო სფეროში დაპირისპირების პროვოცირებაც წამოიწყო. ამ მიზნისათვის მან გამოიყენა ქართლის მეფის, იესეს, უკანონო შვილის – არჩილის (აბდულაბეგის) ძე არსენი, თბილელ-ბოლნელი მიტროპოლიტი, რომელიც თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ისადმი ოპოზიციურად განწყობილი ოჯახიდან იყო. მას არც უწ-

წმიდა მრავალვნებული საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ანტონ II**

მიდესი და უნეტარესი ანტონ II მოსწონდა. როგორც დავით ბატონიშვილი გადმოგვცემს, იგი იყო „თავხედი, ამპარტავანი, გულფიცხი“. რუსეთის ხელისუფლებამ დააჯილდოვა პირველი კლასის ორდენით, თეთრი ბარტყულით, რომელიც შემკული იყო ბრილიანტის ჯვრით. ამით გათამამებული, არ ემორჩილებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის იურისდიქციას და უშუალოდ რუსეთის ეკლესიის უწმიდეს სინოდს მიმართავდა, რითაც ხელი შეუწყო საქართველოს საეკლესიო საქმეში რუსეთის საერო მთავრობის ჩარევას. რუსეთის მთავრობამ უწმიდესსა და უნეტარესს, ანტონ II-ს მოადგილედ დაუნიშნა რუსული ორიენტაციის მღვდელმთავარი, მიტროპოლიტი ვარლაამი (ერისთავი), რომელმაც იმპერიის სურვილისამებრ შეადგინა სასულიერო მმართველობის დიკასტერიის პროექტი და რომლის მიხედვითაც უქმდებოდა თბილელ-ბოლნელის კათედრა. მიტროპოლიტმა არსენმა მოსვენება დაკარგა, იგი საჩივრებს იმპერატორის სახელზე აგზავნიდა და მოითხოვდა, მთავრობას საგანგებოდ გამოეძიებინა უწმიდესისა და უნეტარესის, ანტონ II-ის მმართველობაში დაშვებული უკანონობანი. 1809 წლის ნოემბერში უწმიდეს ანტონ II-ს გამოუცხადეს, რომ იგი მიწვეული იყო პეტერბურგში იმპერატორის მიერ, საქართველოს საეკლესიო საქმეების უწმიდეს სინოდში განსახილველად. პატრიარქი შესანიშნავად ხვდებოდა, თუ რა მიზნები იმალებოდა რუსეთში მისი მიწვევის უკან; ამიტომ ცდილობდა, დიპლომატიურად ეთქვა უარი ამ მიწვევაზე. მან საგანგებო წერილში დიდი მადლობა მოახსენა იმპერატორს მიწვევაზე, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შეუძლებლად მიაჩნდა რუსეთში გამგზავრება; სამაგიეროდ, კათოლიკოს-პატრიარქის რწმუნებით, ორ სასულიერო პირს – მიტროპოლიტ ვარლაამს და არქიმანდრიტ დოსითეოსს გაგზავნიდა, რომელნიც მონაწილეობას მიიღებდნენ საქართველოს ეკლესიის საკითხის განხილვაში.

საიმპერატორო კარი აღაშფოთა უწმიდესი ანტონ II-ის პასუხმა, მაგრამ ამჯობინა შესაფერის დროს დალოდებოდა. 1810 წლის ზაფხულში მთავარმართებელმა, გენერალმა ტორმასოვმა უწმიდეს ანტონ II-ს ხელმეორედ გადასცა იმპერატორ ალექსანდრე II-ის მიწვევა და ურჩია, თავისი ნებით დაეჩქარებინა პეტერბურგში გამგზავრებაა. 10 აგვისტოს პატრიარქი იძულებული გახდა, გამგზავრებულიყო რუსეთში – დატოვა თბილისი, შეიარა მცხეთაში, ილოცა სვეტიცხოველში და დაადგა რუსეთის გზას; მაგრამ დუშეთში მისულმა, უეცრად მიიღო გადაწყვეტილება, უკან გაბრუნებულიყო. რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა მას მოახსენეს – თუ ნებით არ წავიდოდა, მაშინ ძალით წაიყვანდნენ. 1810 წლის 3 ნოემბერს სვეტიცხოველში წირვისა და პარაკლისის გადახდის შემდეგ ცრემლმორეული პატრიარქი სამუდამოდ გამოეთხოვა მშობელ ქვეყანას და რუსეთში გაემგზავრა.

რუსეთის ხელისუფლებამ 1811 წელს გამოაქვეყნა იმპერატორის ბრძანებულება, რომლის თანახმადაც უქმდებოდა საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის საპატრიარქო თვითმმართველობა და მის ნაცვლად იქმნებოდა რუსეთის სინოდს დაქვემდებარებული საქართველოს საეგზარქოსო, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს მიტროპოლიტი ვარლაამ ერისთავი. რუსეთის იმპერატორმა უწმიდესსა და უნეტარესს ანტონ II-ს უბოძა მწვანე ხავერდის მანტია, ანდრიას ორდენი, ყოველწლიური პენსია, მას ემსახურებოდა ექვსცხენიანი ოქროში ცურვებული სარკმლიანი კარეტა. საპატიო პენსიაზე გასული პატრიარქი საცხოვრებლად ნიჟნი-ნოვგოროდში გადასახლდა და დარჩენილი სიცოცხლე ლოცვასა და სამშობლოს ნატვრაში გაატარა. იგი გარდაიცვალა 1827 წლის 21 დეკემბერს, დიდი პატივით დაიკრძალა იქვე, მონასტერში.

ისტ. მეცნ. დოქტორი
სერგო ვარდოსანიძე
„დიდნი საქმენი“

MRVDELMTAVRISA DAMWYSOBA

MICEMISA JAMSA KVERTXISASA, PIRVELISA IRUMENIASA SAMTAVROS MONASTRISA WMIDISA NINASA~

„იღუმენია დარიას ტიპიკონის“ სახელით ცნობილი სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის XIX საუკუნის წეს-განგება, რომლის ხელნაწერიც, მონასტრის აწინდელი იღუმენია ქეთევანის ლოცვა-კურთხევით მოიძიეს ხელნაწერთა ინსტიტუტში. ვაქვეყნებთ ტიპიკონის II ნაწილს (I ნაწილი იხ. „მაყვლოვანის“ №4).

ხოლო თქვენ, დანო პატიოსანნო, თანაგაცთ იღუმენიასა დარიასა პატივსა ღირსსასა მიცემად და მორჩილებად უფლისა მიერ; ვითარცა შვილთა დედისა მიმართ, ვითარცა მოწაფეთა მოძღვრისა მიმართ, ვითარცა ცხოვართა მწყემსისა მიმართ, თვინიერ ყოვლისავე ურჩებისა და უჯერობისა, მცნებისაებრ საღუთოსა მოციქულისა პავლესა, რომელსა იტყვის: ძმანო დაემორჩილენით წინამძღვართა თქვენთა და ერჩდით მათ,რამეთუ იგინი იღვიძებენ სულთა თქვენთათვის და ესეცა უწყოდით, რამეთუ ყოველნივე ხელმწიფებანი ღვთისაგან განწესებულ არიან, და რომელნი წინააღუდგებიან, ხელმწიფებასა ღვთისა ბრძანებასა წინააღუდგებიან და წინააღმდგომნი იგი ცოდვასა თავისა თვისისათვის შეიწყნარებენ, ხოლო ცოდვა იგი შობს სიკვდილსა სულიერსა, ამისთვისცა, რათა არა მოჰკვდეთ, იყვენით მორჩილნი და სიყვარული – თქვენ შორის და ამისთვისცა ღმერთი იყოფებოდეს თქვენ შორის, და თქვენ ყოველთა დაგმწყსობთ, რათა გულსმოდგინებით ვედრებასა აღავლენდეთ ყოვლადმოწყალისა ღვთისა მიმართ მშვიდობისათვის ყოვლისა სოფლისა და კეთილად დგომისათვის წმინდათა ღვთისა ეკლესიათა – მრავალჟამიერ სიმრთელით ყოფისათვის უკეთილმსახურესისა და უთვითმპყრობელესისა დიდისა ხელმწიფისა ჩვენისა იმპერატორის ნიკოლოზ პავლეს ძისა და მეუღლისა მისისა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულისა და მემკვიდრისა მისისა კეთილმორწმუნისა ხელმწიფისა ცესარევიჩისა დიდისა მთავრისა ალექსანდრე ნიკოლოზის ძისა და ყოვლისა საიმპერატორო მისისა გვარისათვის. უწმინდესისა უმმართებელესისა სრულიად როსსიის სინოდისა, კეთილმორწმუნეთა, უმმართებელესისა სინკლიტიკოსისა მხედართ-მთავართა და ქალაქმთავართა და ყოველთა ქრისტეს მოყვარეთა მხედრობათათვის და ყოველთა მართლმადიდებელთა ქრისტიანეთათვის. და გევედრები მამობრივითა ვედრებითა, რათა ჩვენიცა ესე სიმდაბლე დაუდუმებელთა მათ ვედრებათა შინა დაუვიწყებელჰყოთ, რათა ულოცვიდეთ რა ურთიერთარს, საუკუნოსა ცხოვრებისა დამკვიდრება მოვიღოთ ყოველთავე ქრისტეს უფლისა მიერ, რომლისაცა მარჯვენითა მით საღუთოთა იყვნეთ დაფარულ და კურთხეულ აწ და უკუნისამდე ამინ.

ტიბიკონი

სამთავროს დედათ საზოგადო-საცხოვრებელ მონასტრისა წმინდის ნინასა.

რომელნი წესსა ამას ზედა ეგნენ მშვიდობა მათ ზედა და წყალობა ისრაელსა ზედა ღუთისასა. [გალატ:] ვ. ივ.

1. საზოგადო ცხოვრება ესე მდგომარებს უპირველესსა მთავრობასა ქვეშე ეპარხიის მღუდელთმთავრისასა.

2. იგი მდგომარეობს ათთა პირთაგან დედათა სქესისათა, და შესაძლო არს განმრავლებად ამა რიცხვისა მიღებითა, გარდაწყვეტილებითა მთავრობისათა, ქვრივთა და ქალწულთა, მცხოვრებთა ეკლესიათა თანა სხვა და სხვათა ადგილთა შინა საქართველოში, კანონთა ზედა მონოზონებისათა.

3. მმართველობა საზოგადო საცხოვრებელისა მიენდობის მთავარსა, აღმორჩეულსა დათაგან მისთა კეთილზნეობიანსა და კეთილსაიმედოვანსა, მათისა საზოგადო თანახმობითა, და დამტკიცებულსა ეპარხიის მღვდელთმთავრისა მიერ.

4. მეორე, შემდეგ წინამძღვრისა, არს მისი თანაშემწე, მესამე – კაზნაჩეი. ამათ თანამდებობათა შინა აღმოარჩევს მთავარი, თანახმობითა უხუცესთა დათა, და შესვლასა ზედა აღმორჩეულთა თანამდებობასა შინა, მოითხოვს კურთხევასა ეპარხიის მღუდელთმთავრისაგან. უხუცეს დებად მიიღებიან იგინი, რომელნიცა საკმაო მყოფობითა საზოგადო ცხოვრებასა შინა, კეთილითა ცხ-

ოვრებითა და სულიერითა განმსჯელობითა აღმოიჩინებიან შემძლედ შეწევნად უფროსისადმი ხელთმძღვანებლობისათვის სხვათა.

5. მსურველი შესვლად საზოგადო ცხოვრებასა შინა გამოსცხადდების მთავრისათანა ჰსჯულიერითა წერილებრივითა თავისა თვისისათვის სახითა.

6. მიღება დათა იქმნების პირველად რიგსა შინა ახალდაწყებილთა, გამოცდილებისათვის ერთს წელიწადს ანუ უმეტეს,მიხედ-

მცხეთა-სამთავრო

ვითა თვისებათა ზედა შემომსვლელისათა, შემდგომ საკმაო გამოცდილებისა, აღმოჩენილი კეთილსაიმედოთ, მიიღების გარდაწყვეტილად რიცხვსა შინა დათა საზოგადო ცხოვრებისასა და ამისთვის ეცნობების ეპარხიის მღვდელთმთავარსა ანუ, მიხედვითა გარემოებათათა, მოითხოვების მისი გარდაწყვეტილება.

7. და შემდგომადცა გარდაწყვეტით მიღებისა რიცხვსა შინა დათასა, უკეთუ რომელიმე იქმნების დამარღვეველ კანონთა ამის საზოგადო-ცხოვრებისა და მოაქცევს თავსა თვისსა არა თანახმად სულისა მისისა, და არა აჩვენებს მეცადინეობასა წარმართვისადმი, უხუცეს მთავარსა, თანახმობითა უფროსთა დათათა, აქუს ნება, განაშოროს იგი მონასტრისაგან საზოგადო ცხოვრებისა, მომთხოვნელი მას ზედა გარდაწყვეტილებისა ეპარხიის მღუდელთმთავრისა.

8. უხუცესმთავარი და ყოველნი დანი თანამდებ არიან ყოველთა ოთხთა მარხვათა შინა მომზადებად ზიარებისათვის წმინდათა საიდუმლოთა, ხოლო მეერთგულეთა და მცხოვრებთა ყურადღებასა შინა თავისა თვისისადმი შეუძლიანთ ხშირადცა კურთხევითა სულიერისა მამისათა და წინამძღვრისათა.

9. ეკლესიის ღვთისმსახურება და მლოცველობისა მონოზონებისა კანონი აღსრულდებიან ტიბიკონისაებრ ეკლესიისა.

10. შემდეგ აღდგომისა ძილისაგან წინათ ცისკრისა არა დაწყობილ იქმნებოდეს არა ვითარიმე საქმე, თითქმის არა რა ითქვას, გარდა საჭიროისა სიტყვისა და იმყოფებოდნენ ცისკრის ღვთისმსახურებასა ზედა.

11. ეკლესიასა შინა შეიკრიბებიან ყოველნი დაუყოვნებელად, და დასდგეს თვითოეული თვისსა ადგილსა ზედა კეთილწესიერებით,მდუმარედ,ცდილობდეს ილოცოს გულითა და სიმშვიდითა, მოაზრე გულითადისა ლოცვისა ცოდვილისა დედაკაცისა ფერხთა თანა მაცხოვრისათა, და მდაბლისა მეზვერისა.

12. მხსოვნელნი დარიგებისა ვასილი დიდისა,პირველსა თავსა შინა მოღვაწებითთა მისთა ტიბიკონთათა, რომელ თანამდებ არს ლოცვა წარჩინებულიყოს ყოველსა ზედა, ამისთვის ვითარცა წინამძღვარი, ეგრეთვე დანი თანამდებ არიან, ცდილობდნენ, არა დაუტეონ არა ვითარიმე ეკლესიის ღვთისმსახურება და არცა რომელიმე საკრებულო ანუ სასენაკო კანონი, გარდა პატივსადებელისა მიზეზისა, ესე იგი საკუთარისა მორჩილებისა დადებულისა წინამძღვრისაგან, ანუ სნეულებისა, რომელიცა ჯერარს უწყოდეს წინამძღვარმა. საკრებულო ანუ სასენაკო კითხვა სამღთოთა და სასულიეროთა წიგნთა, ეგრეთვე ჯერარს იყოს უწარჩინებულეს საქმედ ღვთისადმი შეწირულისა ცხოვრებისათვის.

13. შემდგომ მწუხრის ტრაპეზისა ყოველნი დანი საზოგადო ცხოვრებისანი,არა წავლენ თვის თვისად, არამედ თანამდებ არიან მოისმინონ ლოცვა ძილად მისვლისა; შემდგომ მწუხრის ლოცვათა, რათა დაცულიყვნენ ყოველნი ყოველთაგან ლაპარაკთა, გარდა საჭიროთა სიტყვათა, არამედ, მხოლოდ საზოგადოითა მუხლისმოყრითა მოითხოვონ ერთმან მეორისაგან მოტევება, თვითოეული მზრუნველი: იქმნება ჩემდა აწ ცხედარი ჩემი იყოს საფლავად ჩემდა, და ესრედ განშორდებოდნენ ყოველდღე მშვიდობისა სულითა ყოველთადმი თქმულისაებრ: „მზე არა შთავიდეს რისხვასა შინა თქვენსა“.

14. რისხვისა ანუ ჯავრისა მქონებელთა არა მიეცემოდეს არცა სასმელი, არცა საჭ-

მელი მასდრომდე, ვიდრემდინ არა მორიგდებიან მშვიდობითა, და უკეთუ ესე განგრძელდების მრთელი დღე, მაშინ მიეცეს მხოლოდ მცირე პური და წყალი მწუხრზედ; და რომელიცა სამს დღეზედაც არა ისურვებს მორიგებასა, მაშინ ესე განშორებულ იქმნას სხვათაგან, და უკანასკნელგზის დარიგებულიქმნას, რომელ დამშვიდდეს და ურჩებისათვის მრისხანებასა შინა და ცდუნებისათვის, აღასრულოს შესაფერი საკანონო. უკეთუ შემდეგ ამისაცა არა დამშვიდდების, მაშინ კანონისაებრ ვასილი დიდისა, ვითარც უკურნალო უბადრუკი უთოოთ დათაგან გაგდებულ იქმნას და მონასტრიდგან განტევებულ იქმნას.

15. საიჭოთა შემთხვევათა შინა საზოგადო ცხოვრებასა ჯერ არს მოთხოვნად გარდაწყვეტილებისა ეპარხიის მღვდელთმთავრისაგან.

16. რადგანაც ახლად დაწყებულთა გამოცდილებისათვის თვისთა ქცევათა ჰყავსთ თვისნი უხუცესნი დანი, ხოლო ამათ წინამძღვარი, და რადგანაც დასამტკიცებელად ჭეშმარიტისა მშვიდობისა და სიყვარულისა საზოგადო ცხოვრებასა შინა, საჭირო არს, რომელ მას შინა დამკვიდრებულ იყოს შორის ყოველთა სრულებითი უმწვერვალესობა და განცხადებულება, დაცვითა წესისა მორჩილებისათა, ამისთვის, წინამძღვარი ნებას რთავს და თითქმის მოითხოვს, რომელ თვითოეული უხუცესი და გამოუცხადებდეს მას მარტოდ გულისთქმათა თვისთა; არამედ მასთან, ვითარცა ქვეშე მთავრობისა მყოფი, თანამდებ არს უბნობად სიმდაბლითა და სიმზადითა გამოცხადებად შეცოდებისა თვისთა გულისთქმათა და მოთხოვნად მოტევებათა და ლოცვათა შეწევნად თვისისა წარმართვისადმი. (იხილე ვრცელნი კანონნი ვასილი დიდისა თავი კზ.)

17. ყოველნი დანი თანამდებ არიან იყვნენ ესრეთსა განწყობილებასა შინა, რომელ ისმინონ რა წინამძღვრისაგან დანიშვნაი ვითარისამე მორჩილებისა ანუ წინადადებული ჰრჩევა, დაუყოვნებელად და უარის უყოფლად სინამდვილით აღასრულონ, თუმცაღა იგი იჩვენებოდეს ძნელად ანუ უსიამოვნოდ (იხილე დასასრულსა შინა სიტყვისა ვასილი დიდისა მოღვაწებათათვის მონაზონებისათა და მოკლეთა კანონთა შინა მისთა თავსა რკა და მოღვაწებითთა მისთა ტიბიკონთასა თავი კგ.).

18. ქმნად ხელსაქმისა არა თანამდებ არიან დანი თვისისა აღრჩევითა, არამედ რასაცა ვის დაუნიშნავს წინამძღვარი და მისცენ იგი მისსა განკარგულებასა შინა. (იხილე ვრცელნი კანონნი ვასილი დიდისა თავი მა.)

19. საეროთა კაცთაგან წინათდადებულნი ხელსაქმობანი მიღებულ იქმნებოდეს მხოლოდ ნივთნი, რომელნიცა იმსახურებიან საეკლესიო ანუ საშინაო სასარგებლო და საჭირო სახმარებელად; ხოლო ხელსაქმენი სოფლიურნი და განცხრომისადმი შესახებელნი არასგზით არა მიიღებოდნენ; და განსალტოლველად მრავალთა შეხვედრათა ერისკაცთადმი, ხელსაქმობის გაკეთებასა უნდა მიიღებდეს მხოლოდ კაზნაჩეა ანუ სხვა დაჲ დანიშვნისაებრ წინამძღვრისა.

20. თვითოეული და თანამდებ არს დაიცავდეს სრულებითსა შეუძინებლობასა, ესე იგი, არა ქონებად არა რაჲსა საკუთრებისა, თითქმის მისაცა, რაიცა აცვია, და რაიცა აქვს თვისთანა უსაჭიროესი, არა მიიღებდეს თვისად, და მარადის მზაყოფად მიცემად სხვისა დისადმი, უკეთუ წინამძღვრისაგან ბრძანებულ იქმნება, და არცა ერთსა არა ჯერარს აქვნდეს თვისთანა რაიმე, თვინიერ წინამძღვრის კურთხევისა, და მიცემული გარეშეთაგან მიიღოს მისისა ნებართვითა, და დასდვას საზოგადოდ, რაითამცა ყოველი ყოველთათვის ირიცხებოდეს საზოგადოდ; არამედ, ერთმან მეორისაგან არასგზით არა ჯერარს წაიღოს, თვინიერ ცნობისა მისა, ვისგანაცა იღებს, და თვინიერ წინამძღვრის ნებისა, ანუ თვისისა უხუცესისა დისა (იხილე სიტყვა ვასილი დიდისა – მოღვაწებათათვის მონაზონებისათა და მოკლეთა მისთა კანონთა შინა თავნი პე. პვ. პზ. და მოღვაწებითთა მისთა ტიბიკონთა შინა თავი. ლდ.)

21. შინაგან სენაკისა არა ვითარი მომატებული და მდიდრული განწყობილება არა მიშვებულ იქმნას; არამედ, ყოველსა შინა გამოჩინებულ იყოს მარტიობა და სიმდაბლე.

22. ტანსაცმელი იხმარონ შავი, შესაფერი მშვიდისა საუდაბნო ცხოვრებისა; და ამისთვის, წმინდა პერანგი და ყოველი მოძებნილი საერო ჩვეულებითა შემკულება ანუ განსპეტაკება აღიკრძალების; არამედ, მხოლოდ ვითარცა ტანსაცმელთა, ეგრეთვე სენაკთა შინა დაცულ იქმნებოდეს სისუფთავე და სიწმინდე.

23. შესულთა რიცხვსა შორის დათა და დამდებელთა წადილისა შეწევნითა ღვთისათა ყოფად აღსასრულადმდე ცხოვრებისა მონასტერსა შინა, შეუძლიანთ მიიღონ კურთხევა, ხმარებად განსხვავებულისა თავსაბურავისა.

24. წინამძღვარი ერთითა ანუ ორითა დებითა უხუცესებითა თანამდებ არს უეცრად და არახშირად განიხილავდეს ყოველთა სენაკთა და ქონებასა თვითოეულისა დისასა. ამისთვის ესე საჭირო არს,

რომელ რომელიმე არა გამბედველი და სინიდისიანი, მისთვისაცა, რასაცა შინა აქვს საჭიროება, არა იტყვის; ხოლო რომელსამე სისუსტისა გამო ცხოვრებისა და არა ყურადღებისა შეეპარების რაიმე მომატებულიცა. განხილვითა, რომელსაცა ესაჭიროება, მიეცეს დაუყოვნებელად სახმარი საზოგადოს ქონებისაგან, ხოლო რომლისა შორის პოვნილ იქმნების არა ნებართული მომატებული, მაშინ მოხმარებულ იქმნას ცდილობა, შთაეგონოს სინიდისითა მას, რომელ მან სურვილით მისცეს მომეტებული საზოგადოობასა შინა, რათამცა არა იყოს დამარღვეველი ტიბიკონისა და შემაცდუნებელი საზოგადოებისა. არამედ, უკეთუ რომელსა შორის აღმოსჩნდება რაიმე, თუმცა არა საჭირო, არამედ არა შემაცდუნებელი, ანუ მცირედ საჩინო, შესაძლო არს განჰსჯითა წინამძღვრისათა ექმნას პატიობა, მხოლოდ არა ჯერარს დატევებად ფულისა არა ვისდამი.

25. ახლადმოსული თანამდებ არს, რათა მისცეს ყოველი თვისი ქონება დაცვასა ქვეშე მონასტრისასა, და მიეცემის მას ერთი წელიწადი დროი, რომლისა გასვლისა შემდეგ თანამდებ არს გამოაცხადოს თვისი გარდაწყვეტილი სურვილი, და უკეთუ არა სურს ცხოვრება მუნ, მაშინ დაუბრუნდების მას ყოველი ქონება; ხოლო უკეთუ დაშთების, მაშინ შეირიცხების იგი გარდაწყვეტილებითა მღვდელთმთავრისათა რიცხვსა შინა დათასა, და ქონება მისი შევალს საკუთრებასა შინა საზოგადო ცხოვრებისასა, რომლისა შემდგომ, უკეთუ ისურვებს გასვლასა მონასტრიდგან, მაშინ არღარა შეუძლიან მოითხოვოს უკანვე მიმზგავსებითა კანონთადმი კანონის წიგნისა მეორე ნაწილისა.

26. უკეთუ რომელიმე შემდგომად გამოცდილებისაცა არა თანახმა იქმნების მისცეს ყოველი თვისი ქონება, არამედ გულითა სურს ცხოვრება მონასტერსა შინა საცხოვნებელად სულისა თვისისა, მაშინ არა მიღებულ იქმნას იგი სრულებით რიცხვსა შინა დათასა, ვიდრემდინ არა დაემორჩილოს ამას კანონსა; არამედ, შესაძლო არს დაეტეოს იგი რიგსა შინა ახლადდამწყებელთა, უკეთუ იგი არა იქმნების შემაცთუნებელად და სიმძიმედ ყოვლისა საზოგადოობისა.

27. მიღებასა შინა დათა უმეტეს ყოვლისა იქმნას მიხედულ წადილსა ზედა განწმენდისადმი გულისა და სურვილსა ზედა ცხოვნებისა კეთილმორჩილებისა მოკვეთითა თვისისა ნებისა, და ყოვლის გზით მორიდებულ იქმნას, რომელ არა მქონებელნი ამის განწყობილებისა არა მიღებულ იქმნენ არა ვითარისამე გარეგნისა სახითა, ხოლო მქონებელთა მისთა არა უარყოფილ იქმნენ მათისა სიგლახაკისა ანუ სხვათა არა სულიერთა მიზეზთა გამო.

28. ცხოვრებად მარტოდ ახალდამწყებისა არა ჯერარს მიშვებად დრომდინ; და ეგრეთვე ახალგაზრდათა ორთა ანუ მეტთა ერთად ცხოვრებად თვინიერ უფროსისა, აღკრძალავს ვასილი დიდი, არამედ წინამძღვარი თანამდებ არს მიანდოს იგინი უფროსთა სენაკის დამრიგებელთა თვისისა მიხედვითა, ამისთვის რომელ, უკეთუ დაწყებასა შინა ახლადშესული არა მოჰკვეთს დასრულებადმდე ნებასა თვისსა, მაშინ თვით თავისა თვისისათვის და სხვათათვის იქმნება სიმძიმედ, და არა არს იმედი, რომელ აღასრულოს ცხოვრება თვისი მონასტერსა შინა.

29. საფუძველსა ზედა კანონთა წმიდათა მამათა (რომელიცა იხილე ვრცელნი კანონნი ვასილი დიდისანი თავნი: ი. კვ. მვ. შემოკლებულნი მისნი კანონნი თავნი: რი. რია. და სათნოების მოყვარებასა შინა კალისტისა და ეგნატისა თავნი: იდ. იე. და სიმეონ ახლისა ღვთისმეტყველისა სათნოების მოყვარებასა შინა თავნი: მა. რკთ. და იოანე კლემაქსისა მეოთხესა ხარისხსა შინა) ყოველნი დანი მონასტრისანი ჯერარიან იყვნენ ყოვლისა სიმწვერვალესითა გამაცხადებელნი ყოველსა შინა თვისისა წინამძღვრისა, რათამცა იგი უწყოდეს მათთა თვისებათა, გრძნობათა, აზრთა და სურვილთა, და ყოველთა მოქმედებათა და ქცევათა მრთელისა ცხოვრებისა მათისა სიყრმითგან, და ხედავდეს სინდისსა თვითოეულისასა, შეეძლოს შეუცთომელად მმართველობა მათი და დაცვა მათი ყოვლისაგან სულის სავნებელისა. ვინაჲთგან არა მცოდნესა მიდრეკილებათა და განსაცდელთა დათა, წინამძღვარსა უცოდინლობითა შეუძლიან მიანდოს მათ ესრეთნი საქმენი, რომელნიცა იქმნება განამრავლებენ მათთა განსაცდელთა: მაგალითებრ: ანგაარების მოყვარე იქმნება აღარჩიოს კაზნაჩეად, მიდრეკილი გაბნეულთა აზრთა და ამაო უბნობათადმი მოიხმაროს მორჩილებასა შინა სტუმრის მიღებისასა, არა დამკრძალველი საჭმელსა შინა ანუ მიდრეკილი ნაყროვანებისადმი დაადგინოს განმგედ ტრაპეზისა ანუ შემნახველად გასაღებისა; არა მშვიდი და სუსტი პირისპირ მაცთუნებათა წარგზავნოს მორჩილებათა ზედა მისთვის საშიშართა; ამპარტავანი და მაღალმოაზრე თვისისა სიწმინდისა დაუტევოს ცხოვრებად მდუმარეობასა შინა და განძლიერებულსა მარხულებასა შინა; ამაოდ მედიდურსა მიანდოს უმაღლესი თანამდებობა, ანუ მიანდოს

მას მოწაფენი, ბრმანი ბრმათა მატარებელთა, რომლისა მიერ ნაცვლად ცხოვნებისა წარმოსდგების ვნება და სრული აღრეულობა დათა შორის, რომლისათვის წინამძღვარი თანამდებ იქმნება პასუხისგებად ღვთისა; ამისთვის უკეთუ რომელიმე ახლად დამწყებელთაგანი არა იქმს იყოს გამაცხადებელი ყოვლისა წინამძღვრისადმი, ესე ვითარსა დრომდინ ექმნას მოთმინება, ვიდრემდის თვით იხილავს და ჰსცნობს, ვითარი დიდი სარგებლობა და სიმსუბუქე სინდისისა და ნუგეშინისცემა სულისა (ვითარცა იტყვის სიმეონ ახალი ღვთისმეტყველი) წარმოსდგების წმინდისა განცხადებითა, და მას დროდმდე არა მიღებულ იქმნას იგი რიცხვსა შორის დათასა.



„წმიდა ნინოს ცხოვრება“
ხელნაწერი 1847 წლისა.
გადაწერილია სამთავროს წმიდა ნინოს
დედათა მონასტრის იღუმენია დარია ფაღავას
კურთხევით, მონოზონ მინადორა ფურცელაძის მიერ.

30. თვითოეული დაჲ გამოუცხადებს რა ერთგზის ყოველსა თავისა თვისისასა წინამძღვარსა, თანამდებ არს შემდგომ ამისა ყოველს მწუხრს უბნობად განცხადებულად თვისისა დამრიგებელისადმი, რომლისადმი იგი არს მინდობილ წინამძღვრისაგან, ყოველდღიურთა თვისთა შეცოდებათათვის და მოსთხოვოს მას მოტევება და ლოცვანი და შემწეობა წარმართვისადმი (იხილე სიმეონ ახალი ღვთისმეტყველისა თავი რკბ.)

31. ხოლო სენაკის დამრიგებელი ჯერარს ეტყოდეს წინამძღვარსა, და ნებითა და რჩევითა მისითა განაგებდეს მინდობილთა მისდა. უკეთუ რაიმე მოხდება ჩინებული, რომელსაცა ახალდაწყობილი არა შეიძლებს თქმასა თვისისა უფროსისადმი, მაშა დაუყოვნებელად გამოუცხადოს თვით წინამძღვარსა. ხოლო უკეთუ შეწევნითა ღვთისათა არა არს რა ჩინებული, მაინც ვითარცა უფროსნი, ეგრეთვე მოწაფენიცა მათნი თანამდებ არიან ერთგზის თვეში იყვნენ წინამძღვართან სულიერისა განცხადებულისა უბნობისათვის ანუ მარტოდ ანუ ერთად სხვათა თანა, ვითარსაცა როგორ ესაჭიროება გრძნობათა და გარემოებათაებრ; ვინაჲთგან ამისაგან უმეტესად განძლიერდების სიყვარული და ჰრწმუნება დათა შორის წინამძღვრისადმი, და წინამძღვრისა დათადმი, ხოლო კაცი თვინიერ სინიდისისა არს თვით თავისა თვისისათვის მბრძოლი (იგავთა თავი ბ. მუხლი იდ.)

32. განშორებისა დროსა წინამძღვრისასა მის მობრუნებადმდე ახლადმოსულისაგან არავინ არავითარი საიდუმლონი არა გამოიკითხონ, არამედ შთაეგონოს მას, რომელ თვინიერ კურთხევისა წინამძღვრისა არა იყოს გამომცხადებელი არავისთან (იხილე მოკლე კანონნი ვასილი დიდისა თავი სკთ. და სიტყვა განსჯისათვის კასსიანე რომაელისა ძმათმოყვარებასა შინა მეოთხესა ნაწილსა შინა.).

33. მყოფთა ჯერეთ გამოცდილებასა შინა, ვიდრემდინ შეეჩვევიან, თუმცა შესაძლო არს რომელთამე შემთხვევათა შინა ექმნას ნებართული მიტევება, არამედ მასთანავე ჯერარს შთაგონებად მათდა, რომელ ცდილობდნენ თვით დაწყებიდგან აღსრულებასა ყოველთა კანონთა შიშითა, რომელ შემდგომ გამოცდის დროსა მათ და საძნელო იქმნება, ვინაჲთგან ჩვეულებრივ პირველ შესვლაზედ უმეტეს იქმნების სიმხურვალე და ხალისი ყოველთა ზედა შრომათა და მოღვაწეებათა და უმეტეს ახალგაზთადმი, ხოლო უკეთუ ესრეთნი არა თვითნებობით, არამედ კურთხევითა შეუდგებიან თვისთა პირველთა გულითადთა მოძრაობათა, მაშინ მივლენ კეთილსა დაჩვევასა შინა, ხოლო უკეთუ დასაწყისში არა აღმოაჩენენ ბაძვასა; მაშინ საშიშარ არს, რომელ დროთი უმეტეს დასუსტდებიან.

34. რათა ყოველნი საზოგადოდ ცდილობდნენ განატარონ ცხოვრება წყნარი, განდგომილი, მოძრაობითი, მდუმარეობითი, ხოლო უმეტეს წმიდასა ორმეოცსა შინა, მკაცრად დაცულ იყოს მდუმარეობა ესრეთ, რომელ სენაკსა შინაცა ერთი მეორისადმი, გარდა შაფათისა და კვირიაკისა არა მივიდოდეს და განევლტოდნენ ყოველთა უბნობათა თითქმის სასარგებლოთაცა, ვინაითგან მდუმარეობა და მყუდროება მოსცემს დიდსა სარგებლობასა (გრიგოლი სინელისაებრ თავსა შინა რდ: სათნოებისმოყვარეებისათვის) დღენი მარხვისანი არიან დღენი ტირილისანი, სინანულისა და განწმენდისანი, ამას დროსა შინა წარჩინებით ჯერარს

ვნებად ვნებათადმი მაცხოვრისათა, რომელმანცა დასთხია უწმინდესი სისხლი თვისი ცოდვათათვის ჩვენთა. ამას სამღუთოსა დროსა შინა მიეცემის უმეტესი თავისუფლება სულიერთა საქმობათა ზედა საქმეთაგან მონასტრისათა.

35. არამედ გარდა დაწესებულისა, მარხულება, ანუ ლოცვა ანუ ვითარიმე მოღვაწეობითი საქმე ქმნად არა ჯერარს არა რომელიმე და თვით და დაფარულად წინამძღვრისაგან; არამედ თანამდებ არსა აიღოს ამას ზედა თვითოეულმა კურთხევა წინამძღვრისაგან, ანუ თვისისა სენაკის უხუცესისაგან (იხილე შემოკლებულნი კანონნი ვასილი დიდისა თავნი რლზ. რლთ.)

36. დღესასწაულთა შინა ქრისტესთა არაოდეს არა იარონ საეროთა სახლთა შინა სადიდებელად. საზოგადოდ არსად არა წავიდოდნენ მონასტრიდგან თვინიერ ნებართვისა წინამძღვრისა. ხოლო მიუცილებელთა საჭიროებათათვის მონასტრისათა მიხედვისაებრ წარიგზავნებოდნენ შემძლებელნი უვნებელად აღსრულებისა მინდობილთა საქმეთა და მსახურებათა.

37. მომსვლელთათვის სანახავად ეცნობებოდეს წინამძღვარსა და მიიღებოდეს მისისა განჰსჯითა და მისისა ნებართვითა.

38. ტრაპეზსა ზედა ჯერარს მოღებად შესაფერად დღისა, შემსგავსებითა ტიბიკონისაებრ ეკლესიისა, ოდესმე თევზითა, ოდესმე ზეთითა, და ოდესმე უზეთოცა, სადაგთა დღეთა შინა ორნი საჭმელნი, დღესასწაულთა შინა სამნი, ხოლო დიდთა დღესასწაულთა შინა ოთხნი.

39. ყველიერის საჭმელი გახსნილ იქმნებოდეს პატივსადებელად დიდთა ათორმეტთა დღესასწაულთა, და მათ შვიდეულთა შინა, რომელთაცა წმინდათა მამათა მიერ დადებულარს ესევითარი გახსნა, კერძოდ სადიდებელად დიდთა დღესასწაულთა, კერძოდ, წინააღმდეგად ჩვეულებისა მწვალებელთა.

40. ვითარცა თვით წინამძღვარი, ეგრეთვე ყოველნი დანი ჯერარს ცდილობდნენ მარადის იარონ საზოგადო ტრაპეზსა ზედა, გარდა პატივსადებელის მიზეზისა ანუ სნეულებისა, უძლურთა და სნეულთათვის შესაძლო არს მომზადებულ იქმნებოდეს საკუთარი საჭმელი მიხედვისაებრ წინამძღვრისა.

41. ტრაპეზსა ზედა ისხდნენ კეთილკრძალულად და ისმენდნენ კეთილკრძალულად სამღუთოსა საკითხავსა.

42. უკეთუ გამოცდითა აღმოსჩნდეს საჭიროდ იქმნას ამათ კანონთა შინა რომელიმე ცვლილება ანუ დამატება, თვინიერ დარღვევისა უპირველესისა საფუძვლისა, მაშინ წინამძღვარი თანხმობითა უხუცესთა დათა, წარმოუდგენს მას [კეთილგალვისათვის] ეპარხიის მღვდელთმთავარსა მოთხოვნითა გარდაწყვეტილებისა და კურთხევისათა.

43. ფულისა შემოსავლისა და გასავლისათვის იქმნებოდეს ჩაწერა წიგნსა შინა, რომელიცა წლის შესრულებაზედ წარსდგებოდეს ეპარხიის მღვდელთმთავართან მოხსენებისათანა კეთილმდგომარეობისათვის საზოგადო ცხოვრებისა, და მოკლე ანგარიში მდგომარეობისათვის მონასტრისა.

44. მხედველობისათვის ამის მონასტრისა შესახებელ კეთილკრძალულებისა და კეთილზნეობისა, ეპარხიის მღვდელთმთავარი განაწესებს მათ ზედა ბლაღოჩინისა მონაზონთაგან კაცსა ხნით წლოვანებისა მქონებელსა, განბრძნობილსა და გამოცდილსა ცხოვრებასა შინა სულიერსა.

45. მხედველობისათვის სასულიერო მთავრობის მხრით, დაიცვებიანა ესე კანონნი და შესაფერ არსა ესე საზოგადო ცხოვრება თვისისა დაწესებისა, დანიშნული ბლაღოჩინი ნახავდეს მას არა ნაკლებ ერთისა გზისა წელიწადსა შინა.

46. გარდა მხედველობისა მდგომარეობასა ზედა მონასტრისასა, იგი ცდილობდეს წარმატებისათვის უმეტესისა შესრულებისადმი მისა, და მისცემდეს დათა და წინამძღვარსა საჭიროთა სულიერთა რჩევათა და დარიგებათა.

47. შემდგომად თვითოეულისა ესრეთისა ნახვისა მოახსენებს იგი ეპარხიის მღვდელთმთავარსა გარემოებით თანაშთადებითა სახელობითისა სიისა დათა საზოგადო ცხოვრებისათა, თვისითა მათთვის შენიშნულობითა და მოწმობითა წინამძღვრისათა.

ARQIMANDRITI LAZARE (GAGNIZE)

SAKVIRAO QADAGEBA

არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)
რაჭის მრავალძალის წმიდა გიორგის ტაძარი.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

ჩვენთან არს ღმერთი!

„სადა იყოს საუნჯე თქვენი, მუნცა იყოს გული თქვენი“ (ლუკ. 12,34), გვმოძღვრავს სახარება და ეს ბრძნული შეგონება ეფუძნება უდავო ჭეშმარიტებას: ადამიანის გულისყური ყოველთვის იქეთაა მიდრეკილი, სადაც საუნჯეს იკრებს, იქნება ეს მატერიალური, თუ სულიერი. ამიტომ, გვირჩევს მახარებელი მათე, ნაკლებად ვიზრუნოთ ხორციელ საუნჯეზე, თუ რა ვჭამოთ და რა ვსვათ, ან რა შევიმოსოთ. ეს ყოველთვის წარმართთა და ურწმუნოთა უპირველესი საზრუნავი იყო. ჭეშმარიტი ქრისტიანის საზრუნავი მუდამ იყო და დღესაც რჩება ზრუნვა იმ საუნჯისათვის, რომელიც არასოდეს ძველდება და რომელსაც არც მპარავი მიეახლება და ვერც მღილი განრყვნის. ეს თქვენც კარგად იცით, ის საუნჯე გახლავთ, რომელიც თან მიგვყვება ჩვენ ცათა სასუფეველში. მაგრამ, დღეს ადამიანთა უმრავლესობა სხვაგვარად ფიქრობს და სხვაგვარად იღწვის.

ჩვენი წინაპრები ძირითადად იუნჯებდნენ და დღესაც ყოველი შეგნებული ადამიანი ინახავს ორ დიდ ეროვნულ საგანძურს – ეს არის მართლმადიდებლური სარწმუნოება და ჩვენი სამშობლო, რომელიც, ხატოვანი ფორმულით, ანდერძად დაუტოვა ქართველ ხალხს ილია მართალმა – „ენა, მამული, სარწმუნოება“. წმიდა ილია მართლის ჭეშმარიტ ქრისტიანულ მოძღვრებაზე დაფუძნებული ეს სწავლება დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში, ისევე აძრწუნებს და აშფოთებს ქრისტიანობის შეფარულ მტრებსა და მოწინააღმდეგეებს, როგორც მაცხოვრის მიერ აღსრულებული ყოველი სასწაული თუ ქადაგება აშფოთებდა მავანს და მავანს.

საქართველოსათვის და ქართველობისათვის დღეს გარედან მოხვეული მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ ის, რომ მეოცე საუკუნის უკანასკნელი დეკადის ქართველობამ თავის ამქვეყნიურ საუნჯედ და საგანძურად აღიარა „ენა, მამული, სარწმუნოება“, რაც უდიდესი ტკივილის ფასად უჯდება ჩვენი ერის შვილებს. ამით ქართველობამ და ჩვენმა ეკლესიამ სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაიპირისპირა მსოფლიო ანტიქრისტიანული ძალა, მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენ სწორედ რომ განსაკუთრებით გვმართებს ასე ტკივილით, ჩვენი სულიერი ვნების საფასურად, დღენიადაგ ვამრავლოთ წუთისოფელში ჩვენი სულიერი საუნჯე. სულიერი საუნჯე, ნაცვლად – ხორციელისა, დღეს წაკითხული სახარებისეული იგავის მიხედვით, ახალგაზრდა კაცი ერთი შეხედვით ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც მას სჯულის კანონი მოძღვრავდა: ლოცულობდა, მარხულობდა, იცავდა 10 მცნებას მოსესას, მაგრამ რწმენა მისი იყო

მკვდარი, რადგან ღვთივბოძებულ სიმდიდრეს, რომელსაც მან ზედმეტიც დაამატა, იგი არაფერში იყენებდა; იმ დროს, როცა ეს ზედმეტი საუნჯე, ზედმეტი ფული, მას უნდა გამოეყენებინა ღვთის სადიდებლად, კეთილი საქმეების საკეთებლად, მოწყალებისათვის, ქველმოქმედებისათვის.

„მდიდარი ძნიად შევიდეს სასუფეველსა ცათასა... უადვილეს არს აქლემი განსვლად ხურელსა ნემსისასა, ვიდრე მდიდარი შესვლად სასუფეველსა ცათასა“– (მთ. 19. 23-24) გვასწავლის უფალი ჩვენი იესო ქრისტე. როცა უფალს ეს უმკაცრესი განაჩენი გამოაქვს მდიდრის მიმართ, ჩვენ ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს უფალი ხელაღებით უარყოფს მდიდარ ადამიანებს, თითქოს მას არ უყვარდეს მდიდარი ადამიანები. არა, მაცხოვარი წინააღმდეგია მხოლოდ უქმად, უსარგებლოდ დადებული ფულისა, რომელიც მხოლოდ სულიერ სატანჯველს უმზადებს ადამიანს, რადგან ფულის მოხვეჭის, სიმდიდრის დაგროვების ავადმყოფური სენი, არც ისე იშვიათად, დანაშაულებრივი გზით მოიპოვება – სხვათა შრომის ექსპლოატაციით, სხვათა ქონების მიტაცებით, ძარცვა-გლეჯით და ა.შ; რაც, როგორც ხედავთ, ცოდვის მიზეზთა მიზეზი ხდება. ადამიანებს ეჩვენებათ ზოგჯერ, რომ რაც უფრო მეტს მოიხვეჭენ, მით უფრო ბედნიერები იქნებიან. მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი ბედნიერებაა. ცხოვრების ზენიტში ასულნი, ერთი შეხედვით, დიდებითა და პატივით მოსილნი, მატერიალურ ფუფუნებაში მსხდომნი, ქვეცნობიერად ყოველთვის გრძნობენ, რომ რაღაც აკლიათ. ეს ადამიანები ცხოვრების დასავალს იძულებულნი ხდებიან, გამოუტყდნენ საკუთარ თავს, რომ ისინი ამაოდ დაშვრნენ, მაგრამ მათ დრო აღარ რჩებათ ახლებური ცხოვრების დასაწყებად და სასოწარკვეთილებაში ჩაცვენილნი აღესრულებიან. აი, ეს არის ყველაზე მდიდარი დასავლეთის მილიარდერების, და შესაძლოა, უკანასკნელი დროის ქართული რეალობაც.

„შიშველი გამოველ მუცლისაგან დედისა ჩემისა, შიშველივე მივიქცე მუნვე ქვეყნად, უფალმანცა მომცა, უფალმანცა მიმიღო, ვითარცა უნდა, ეგრეცა ქმნა. იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ“ (ე.ი. უფალმა მომცა უფალმა წაიღოო) – აგერ უკვე სამიათასამდე წელია, ამგვარად გვმოძღვრავს მრავალჭირნახული წინასწარმეტყველი იობი. „ნუ იუნჯებთ თქვენ საუნჯეთა ქვეყანასა ზედა, სადა მღილმან და მჭამელმან განრყუნის და სადაცა მპარავთა დათხარიან და განიპარიან. ხოლო თქვენ იუნჯებდით საუნჯეთა ცათა შინა, სადა არცა მღილმან, არცა მჭამელმან განრყუნის და სადაცა არცა მპარავთა დათხარიან და განიპარიან, რამეთუ, სადაცა არს საუნჯე თქვენი, მუნცა იყოს გული თქვენი“(მათე 6, 19-21), გვმოძღვრავს სახარება; მაგრამ გული ადამიანისა გაუმაძღარია, იგი ემორჩილება ცოდვით დამძიმებული გონების კარნახს; სული ამ ადამიანებისა დამორჩილებულია ხორცს და ამგვარად ჩვენ ვაგრძელებთ ცხოვრებას ჩვეული გზით, იმ ახალგაზრდა კაცის მსგავსად, ორი ბატონის მსახურებას რომ ცდილობს ერთდროულად – ღმრთისას და მამონისას. ხოლო სახარება გვაფრთხილებს: „ვერ ხელგეწიფების ორთა უფალთა მონება... ვერ ხელგეწიფების ღვთისა მონება და მამონისა“ ე.ი. ფულისაო. მაგრამ, როგორც ზემოთაც ვთქვი, უფალი არ არის წინააღმდეგი ფულის დაგროვებისა, იგი წინააღმდეგია ზედმეტი, გამოუყენებელი ფულისა და ქონების დაგროვებისა, რაც ხრწნილების მიზეზი ხდება, და რაც სადარდებელად ექცევა ადამიანს და საზრუნავს უჩენს მას, თუ როგორ შეინარჩუნოს იგი და ამით ადამიანი სტანჯავს თავის სულს. „ხოლო თქვენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოთ თქვენ“ (მთ. 6,33), „რამეთუ იცის მამამან თქუენმან ზეცათამან რაჲ გიხმს ამათ ყოველთაგან.“(მთ. 6,32).

ღმერთმა დაგლოცოთ, ღმერთმა გაღვაწოთ სულიერი საუნჯის დასაგროვებლად და სიკეთის გასაცემად. ამინ.

TEIMURAZ I DA POEMA `WAMEBA QETEVAN DEDOF L ISA~

ქეთევან დედოფლისა და მისი შვილის, თეიმურაზ I-ის ცხოვრების პერიოდი საქართველოს ისტორიის უმძიმესი ხანაა. ეს არის საწყისი ხანა დღევანდელი აფხაზეთის პრობლემისა. ამიტომ, საჭიროება მოითხოვს, თანამედროვე ადამიანმა სწორად შეაფასოს და ჯეროვნად დააფასოს ჩვენი წინაპრების ღვაწლი.

საქართველოს ისტორიისათვის XVII საუკუნის დასაწყისის პერიოდი შეიძლება ჩაითვალოს „ქეთევან დედოფლის ეპოქად“, იმდენად დიდი და მრავლისმომცველია ჭეშმარიტად „ქართველთა დიდმოწამის“ როლი. ეს არის ის ხანა, როდესაც საფრთხის წინაშე აღმოჩნდა არა მარტო საქართველოს –

ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I

როგორც პოლიტიკური ერთეულის, არამედ ქართველი ადამიანის ფიზიკური არსებობის საკითხი. მდგომარეობა კი შემდეგი იყო: XVII ს-ის დასაწყისში, ქრისტიანული და მაჰმადიანური სამყაროს უკიდურესი დაპირისპირებულობის პერიოდში, მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად, ორი დიდი იმპერია – ირანი და ოსმალეთი ერთმანეთს ეცილებიან ქრისტიანული ქვეყნების დასაპყრობად. გეოგრაფიულად გზაჯვარედინზე მდებარე საქართველო ირან-ოსმალეთისაგან ორად გახლეჩილი აღმოჩნდა. საქართველოს მიმართ არანაკლებ ინტერესს იჩენდა ირანის ალიანსში მყოფი კათოლიკური რომი, როდესაც საქართველოს მიიჩნევდა პლაცდარმად აღმოსავლეთის ქვეყნებში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებისათვის. ამავე დროს, თავისი მომავალი დაპყრობითი ზრახვებით, საქართველოს გარშემო ატეხილ პრობლემებს გულდასმით სწავლობს მოსკოვის რუსეთი და ქმნის ხელშემშლელ პირობებს კავკასიის გაერთიანებისათვის. ამის ნათელი მაგალითია თეიმურაზ I-ის პაპის, კახეთის მეფის, ალექსანდრე I-ის მიერ რუსეთის ხელმწიფესთან დადებული ხელშეკრულება, როდესაც რუსეთის მეფე თავისთავს უკვე „ივერიის მეფედ“ აცხადებს და ეს იყო მხოლოდ 1590 წელი. „საქართველოებად“ დაყოფილ ამ აურაცხელ პრობლემებში მყოფ ქვეყანაში, კინკლაობაზე გადასულ სამეფოსამთავროებში, სამეგრელოს თავადების შეუთანხმებლობის შედეგად, ჩრდილოეთიდან ჩამოჰყავთ აფსუები და იქმნება „აფხაზეთის სამეფო“,რომლის სავალალო შედეგებს დღესაც იმკის საქართველო. ვახუშტი ბაგრატიონი XVII ს. საქართველოს აღწერისას აღნიშნავს სპარსული ყაიდისა და ცხოვრების სტილის არსებობას. სწორედ ამ დროს იკარგება უნიკალური მრავლხმიანი ქართული გალობის ჩაწერის ტრადიცია, რომელიც დღემდე ამოუცნობი რჩება. აი, ზოგადად ის ისტორიული რეალობა, რომელშიც ცხოვრობდა თეიმურაზ I, შვილი წამებული დედოფლისა.

XVII საუკუნის დასაწყისში ქეთევან დედოფლის მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავგანწირვამ გარდატეხა მოახდინა ქართველი ადამიანის აზროვნებაში. ამის ნათელი დადასტურებაა თეიმურაზ I-ის პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“. თავის მხრივ, თეიმურაზ პირველმა „წამების“ შექმნით ახალი სიტყვა შემოიტანა ქართულ მწერლობაში. უპირველეს ყოვლისა უნდა შევეხოთ იმ არასწორ განსაზღვრებას, რომელიც დამკვიდრებულია თეიმურაზ I-ის შემოქმედების მიმართ, როდესაც მას ქართულ მწერლობაში „სპარსული სკოლის“ დამამკვიდრებლად მიიჩნევენ. პოემა „წამება ქეთევან დედოფ-

ლისას“ გულდასმით შესწავლა მთლიანად აბათილებს ამ თვალსაზრისს. ამისათვის, ჩავიხედოთ საქართველოს იმ ეპოქის ისტორიულ რეალიებში, სადაც XVII ს. დასაწყისში თანაარსებობდა ერთის მხრივ მართლმადიდებელი სარწმუნოების დაცვისათვის თავგანწირვის აურაცხელი ნიმუშები და მეორეს მხრივ – სპარსული ყაიდის მოტრფიალე საზოგადოება; ასევე, დავუკვირდეთ როგორ აფასებდნენ თეიმურაზს მისი თანამედროვენი, როდესაც მას დიდი რუსთაველის ტოლფას შემოქმედად

მეფე თეიმურაზ I
მინიატურა.

მიიჩნევდნენ; მას სამჯერ უბრუნებენ კახეთის ტახტს; ასევე, საუკუნეების მანძილზე სახელმწიფოებრიობადაკარგული სომხეთის უსაყვარლესი კათალიკოსი, მოვსესი, დახმარების თხოვნით მიმართავს თეიმურაზს და სანაცვლოდ სომხეთის ტახტს ჰპირდება; აგრეთვე, რომის პაპის, ურბან VIII არაერთ წერილში გამჟღავნდა თეიმურაზის მნიშვნელობა. გარდა ამისა, უნდა იქნეს გათვალისწინებული თეიმურაზის არასწორი პოლიტიკური ნაბიჯები და ქართველ თავადებთან პირადული ამბიციით გამოწვეული მისი შეუთანხმებლობის ტრაგიკული შედეგები. მაშ რითი ავხსნათ თეიმურაზისადმი მის თანამედროვეთაგან გამოხატული განსაკუთრებული დამოკიდებულება? ეს არის – მართლმადიდებელი სარწმუნობის დაცვისათვის მისი უკომპრომისო ბრძოლა, რომელიც იმ პერიოდის საქართველოში შეფასებული იყო სახელმწიფოებრივი იდენტობის შენარჩუნებით; ასევე, მისი დაუოკებელი სწრაფვა თავისუფლებისათვის და ყველაზე მნიშვნელოვანი – თავისი დედის, წმიდა ქეთევანის, როგორც დედოფლის ბრძნული მოქმედებები და მართლმადიდებელი სარწმუნოებისათვის თავგანწირვის სამაგალითო ნიმუში.

ქართულ ლიტერატურაში თეიმურაზის პოემის „წამება ქეთევან დედოფლისა“ მნიშვნელობის განსაზღვრისათვის, უნდა გავითვალისწინოთ ზოგადად გვიანი შუა საუკუნეების ქართული მწერლობის მდგომარეობა. ქართულ მწერლობაში XIV–XVI სს. დაცემის ხანად არის მიჩნეული, რომლის დროს ჩაკვდა ელვარებით აღსავსე XI–XII სს. „ოქროს ხანის“ ტრადიციები. ამ ნიშნით, თეიმურაზ I არის ქართული ეროვნული მწერლობის გამოცოცხლების საწყისებზე მდგარი შემოქმედი, როდესაც „წამება ქეთევან დედოფლისას“ შექმნით, მან ერთგვარი გამოსაფხიზლებელი იმპულსი შემოიტანა, განსაკუთრებით, სპარსული „ტკბილხმოვანებით“ გაბრუებულ ქართულ საზოგადოებაში. უფრო მეტიც, თეიმურაზ I-მა „წამება ქეთევან დედოფლისას“ შექმნით, გზა გაუხსნა მეფე-პოეტის, არჩილის, „მართლის თქმის“ პრინციპის დანერგვას ქართულ მწერლობაში. ამდენად, თეიმურაზ I წმიდა დიდმოწამე ქეთევან დედოფლისადმი მიძღვნილ პოემას „წამება ქეთევან დედოფლისა“ ქართული ეროვნული მწერლობისათვის საეტაპო მნიშვნელობა აქვს.

თეიმურაზ I „წამების“ შექმნისას ურთულესი ამოცანის წინაშე იდგა. ისტორიულ-სარწმუნოებრივი თემის წამოწევით, მას ახალი სიტყვა უნდა ეთქვა ქართულ მწერლობაში, რომლის დროს ერთ სათქმელში უნდა ჩაეტია ის ტკივილი, რაც საკუთარი დედისა და შვილების მოწამეობრივი სიკვდილით აღსასრულით იყო გამოწვეული; ასევე, მას უნდა გადმოეცა ის დაგუბებული უსაზღვრო განცდა უსასრულობაში ჩავარდნილი რჯულის და მამულის მიმართ, რომელსაც კლავდნენ ქართველში; უნდა

მოეძებნა ის სულიერი ძალა, რომელიც მისცემდა მას უნარს, ეცხოვრა და გზა გაეგრძელებინა. ამ პირობით, პოემა მთლიანობაში წარმოადგენს უფლისადმი აღვლენილ მონანიებად თქმულ ერთგვარ აღსარებას. სწო რედ ეს ლაიტ თემა გასდევს მთელ მის პოემას, რაც მას რადიკალურად განასხვავებს არა მარტო დანარჩენ მის მიერ შექმნილი თხზულებებისაგან, არამედ XVII საუკუნის დასაწყისამდე ქართულ მწერლობაში არსებული თხზულებებისგანაც.

თეიმურაზის პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“ შინაარსობრივი სიღრმით საკმაოდ რთულად შესაცნობი, მრავალშრიანი ნაწარმოებია, პოემაში ჩართული თითოეული ეპიზოდი დიდი სიღრმეების მატარებელია. პოემაში მძაფრად გადმოცემული საქართველოზე მოწეული უბედურების ამსახველი რეალიები და დედოფლის თავგანწირვის ჩვენება, პოეტის მიერ მის თანამედროვე საზოგადოებისადმი ერთგვარი მოწოდება იყო. კერძოდ, ფაქტობრივი მონაცემების ჩვენებით, თეიმურაზი ცდილობდა, მკითხველს ჩაეხედა წარსულის სიღრმეებში და პოემის სტროფებში ჩადებული ღრმა შინაარსის გარკვევისას, მიეყვანა მკითხველი სულიერ განწმენდამდე. ამ ნიშნით, თეიმურაზის პოემის შეფასება მხოლოდ სიუჟეტური ფაბულის გადმოცემით, პოემის შინაგან არსსა და დანიშნულებას ვერ გახსნის. ამ კუთხით, თეიმურაზის „წამება“ პირველადაა წარმოდგენილი.

თეიმურაზმა „წამების“ სათაურშივე ჩადო ნაწარმოების იდეური შინაარსის ერთგვარი „გასაღები“. კერძოდ, დავუკვირდეთ სათაურის თითოეულ სიტყვას და მასში ჩადებულ ღრმა შინაარსს. პოემის სათაური ამდაგვარად იშიფრება: „წამება“, „წამება... დედოფლისა“. ქრისტიანულ ცნობიერებაში „წამება“ – მსხვერპლშეწირვა, მოწამეობრივი სიკვდილი, უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია, ხოლო ისტორიული სინამდვილის მნიშვნელობით – „წამება... დედოფლისა“ ერის მდგომარეობის ანარეკლი და ტრაგედია. პოემის საწყისი სტროფებიდანვე ავტორს მკითხველი შეჰყავს განსაკუთრებულ სამყაროში, როდესაც თეიმურაზი, აგიოგრაფი ავტორის მსგავსად, ერთგვარად ნებართვას იღებს უფლისაგან წმინდანის ცხოვრების აღსაწერად:

„ღმერთო, რომელმან განაგე საქმე სიბრძნითა შენითა,

შენ განაწესე ყოველი გული სიღრმითა თმენითა,

მზის ქეთევანის წამება ვიცოდე რა საქმენითა,

ღირსმყავ ცოდვილი მე ესე, რომ მათქმევინო ენითა“

თეიმურაზი, მეტი სიმძაფრის გადმოსაცემად, პოემაში ამბავს იწყებს მთავარი სათქმელით – ირანში ტყვედქმნილი დედოფლის ცხოვრების ბოლო ეპიზოდის ჩვენებით. კერძოდ, ავტორი დიდი დინამიზმით ერთ სათქმელში ატევს შირაზის ტყვეობაში მყოფი დედოფლისა და შაჰ აბას I მიერ 1614 წ. კახეთის აოხრების ეპიზოდებს. ნაწარმოებში ისტორიული რეალიების წარმოდგენითა და შესაბამისი განმარტებების ჩვენებით, ავტორმა პოემას ისტორიული ღირებულების დატვირთვაც შესძინა. კერძოდ, ქეთევანისა და ორი შვილიშვილის შაჰ აბასის კარზე წასვლის მიზეზის ახსნით: „რომ შეეწყნარა კახეთი, არ ექნა მასზე ძლევანი“; ასევე, ქეთევან დედოფლის დატყვევების ადგილის – განჯის დასახელებით, დედოფლის ათ წლიანი ტყვეობის – ქალაქ შირაზის აღნიშვნით, დედოფლის წამების თარიღის – „სექტემბერსა ათორმეტსა“ დასახელებით. ამ ნიშნით, თეიმურაზის პოემას ისტორიულ ჟანრადაც განსაზღვრავენ.

პოემაში, შინაარსობლივი მსვლელობისას, დინამიზმის რამდენიმე ტალღაა წარმოდგენილი, რომლითაც ავტორს მკითხველი თანდათან სულ უფრო მწარე შედეგამდე მიჰყავს – შვილიშვილების დაკარგვით სასოწარკვეთილებაში მყოფი დედოფალი ავტორს „დაწვთა ხოკვით“ ჰყავს ასახული. დედოფლის ამ უსაზღვრო ტკივილის გადმოსაცემად ავტორი გარე სამყაროს რღვევისა და გაქრობის სურათს იშველიებს:

„ვარსკლავნი უკუ ეყარნეს, მთვარე შეიქმნა ცხრომითა,

უნდოდა თუმცა ეშოვნა გზა ქვესკნელს ჩასაძრომითა...“

„აწ, წავხე, აწ დავიკარგე, პირსა სად მოველ ზღვისასა,

აჰა, ჩავარდი ჯურღმულსა, უყსა მას უფსკრულისასა“.

აქედან გამომდინარე, თეიმურაზი მწარე ისტორიული რეალობის გადმოცემისას მასში ჩადებული სიღრმეების ჩვენებით თითქოს სათქმელს კიდევ მეტად აფართოებს და ამით მას უფრო მეტ დატვირთვას ანიჭებს. ეს იქნება ადამიანის შინაგანი სიმძაფრის გადმოსაცემად ბუნების სტიქიის მოშველიება თუ თეოლოგიური სიღრმეების ჩვენება. ამ თვალსაზრისით, პოემაში შინაარსობრივ თხრობისას მასში მოხმობილი თეოლოგიური განზოგადოებები, პოემას ერთგვარ ეპიზოდებადაც კი ჰყოფს, რომლის ახსნისას წარმოჩინდება თეიმურაზის

ღრმა განსწავლულობა: მცოდნე ბიბლიისა, საღვთისმეტყველო ლიტერატურისა და ძველი ქართული მწერლობისა.

შინაარსობრივ ქარგას რომ მივყვეთ, ავტორმა,შვილიშვილების დაკარგვის შემდგომ, ქეთევანი სხვა მდგომარეობით დაგვისახა: იგი უკვე უფლის „სათნო მუშაკად“ წარმოგვიდგინა; დედოფალი სახლში ჩაიკეტება, ლოცვითა და მარხვით ემზადება უფალთან ზეასვლისათვის. ამ შემთხვევაში ავტორმა ადამიანის უფალთან მისვლის „პენეტენციალური“, განწმენდის გზის გავლის აუცილებლობა წარმოგვიდგინა. ტყვედქმნილი დედოფლის უფალთან ზეასვლისათვის „კიბის საფეხურების გავლით“ ავტორი ცდილობს, წმინ და ნი მკითხველს დაანახოს ყოველი მხრიდან. კერძოდ,დატყვევებული ქეთევანი კვიპაროსის – როგორც გარდაცვლილ სულთა მცველი, კვიპაროსის ხეზე მაღლა მდგომია და უფალთან ახლომდგომი, ქაჯეთის ციხეში მყოფი – „მზეა“ (სიკეთე). განსაცდელით, ქეთევანის არსებაში მთლიანად ხდება გარდასახვა – იგი „სათნო მუშაკად“ ყალიბდება,და განწმენდის გზის გავლით მზაობას ამჟღავნებს უფალთან ზეასვლისათვის. პოემაში აღძრული „კიბის და საფეხურების გავლის“ პრობლემა უკავშირდება ფილოსოფოსების თხზულებებს: პროკლეს (V ს.), დიონისიოს არეოპაგელს და იოანე სინელს (VI ს.). აღსანიშნავია, რომ ამ პრობლემით ქართული ფილოსოფიური სკოლის დაინტერესებას ასახავს იოანე სინელის თხზულება „კლემაქსის“ რამოდენიმე თარგმანის არსებობა. მათ შორის XII ს. ქარ თველ მა მწერალმა, იოანე პეტრიწმა იგი თარგმნა ლექსის სახით,„სათნოების კიბის“ სახელწოდებით. მასში გადმოცემულია სამყაროს იერარქიულობა ანუ უფალთან ზეასვლისას ადამიანის ცოდვებისაგან განწმენდის ერთგვარი საფეხურების გავლის პრინციპი. ამ მხრივ თეიმურაზის პოემაში აღძრულია ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი. შინაარსობრივი ფაბულის მიხედვით, უსჯულოთაგან შვილიშვილების დახოცვის შემდგომ ქეთევანი თავის სამლოცველოში ჩაიკეტება. იგი ლოცვასა და მარხვაშია. ღვთის „სათნო მუშაკად“ გარდასახული დედოფალი შეიგრძნობს „დუმილის სიბრძნეს“ ანუ საღვთისმეტყველო სიბრძნეს. ცოდვებისაგან განწმენდილი და უფლისაგან განძლიერებული დედოფალი მზად არის მოწამეობრივი სიკვდილისათვის – უფალთან ზეასვლისათვის. ქეთევან დედოფლის წამების წინარე ეპიზოდში ავტორი პოემაში ყოფით ცხოვრებაში დატრიალებული ტრაგედიის მეტად შთამბეჭდავ სურათს ხატავს. ეს არის მოწამეობრივი სიკვდილით სასჯელის გამოტანის ეპიზოდი, რომლის დროს ავტორი პოემაში, ორი კონტრასტული ქმედების ჩვენებით, განსაკუთრებულ განცდას წარმოქმნის – ერთის მხრივ, ქეთევან დედოფლის გარშემო მყოფთა წრეში ერთგვარი ქაოსური სცენის აღწერით, რომელშიც ისმის სასოწარკვეთილი თინათინის კივილი, თავგახლეჩილი გვარჯასპირელის ყვირილი და წამების წინ მღვდელ გიორგის გათათრება; ხოლო მეორეს მხრივ კი – ქეთევან დედოფლის დინჯი ქმედება,როდესაც დედოფალი ჯალათებისაგან გამოითხოვს წამების წინ ლოცვას: დედოფალი სამლოცველოში შედის, განმარტოებული, მუხლმოდრეკილი ლოცულობს და,მართლმადიდებელი მღვდლის არ ყოფნის გამო, თან წამოღებულ უფლის წმიდა ძღვენით თავადვე ეზიარება. ამ ეპიზოდში,დედოფლის მიერ უფლისადმი „ვედრების“ აღსრულების ჩანართში, გადმოცემული იქნა ნაწარმოების იდეური კონცეფცია – ქართველი დედოფლის მართლმადიდებლური რწმენისადმი ურყევი სიმტკიცე. ავტორი ქეთევანის მოწამეობრივი სიკვდილის წინარე ლოცვას ასე გადმოსცემს:

„ბევედრები სამებასა, ერთარსსა და თანაარსსა,

შენგან კიდევ საესავი არა ვიცი სხვა რა არსა,

სული ჩემი შეივედრე ხორცი უწყი განა არსა,

აწ გაბრიელ მომივლინე სულთა მცველი, განა არსა!“

ამ ეპიზოდში ჩართული ქრისტიანული რელიგიის უმთავრესი დოგმატის – უფლის სამპიროვნების: მამის,ძის და სულიწმინდის ანუ სამი ჰიპოსტასის სამება ერთარსის და თანაარსის დიდებით, თეიმურაზმა გამოხატა მართლმადიდებლური სარწმუნოების დაცვის აუცილებლობა. სიუჟეტურად, პოემაში შემდეგ აღწერილია სამლოცველოდან დედოფლის გამოსვლა და სამჯავროს წინაშე წარდგომა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მთელ პოემაში თეიმურაზმა მხოლოდ ერთ ადგილას, დასჯის ეპიზოდში, გამოიყენა სპარსული სიტყვები, ისიც საწამებელი იარაღების დასახელებისას, რითაც ავტორმა მეტად გამოავლინა წამების სისასტიკის ისტორიული რეალობა. გარდა ამისა, ამ უმძიმესი სცენის კიდევ მეტი დატვირთვისათვის, თეიმურაზმა ამ ეპიზოდში ჩართო ადამიანის ცხოვრების უდიდესი საიდუმლოების – ადამიანის

ხორციელი მოცემულობის დაშლის ანუ „ოთხთა კავშირის რღვევისა“ და „სულისა და ხორცის გაყრის“ ერთგვარი მისტერია. პოემაში საოცარი ექსპრესიითაა გადმოცემული ქეთევანის სიკვდილით დასჯის ეპიზოდში „ოთხთა კავშირის რღვევის“ ფილოსოფიური საკითხი:

„სულო, გაუშვი ალაგნი, თვალნო, დააგდენ ბუდენი,

გულო, საძირკვლით აღმოხე, მოირღვენ გარე ზღუდენი,

ტანო, ზე ნუღარ მართი ხარ, გიდის ქვე ზღვანი უდენი,

ქარო, სად მისწვდე, მიიღე ამბავი არ სამრუდენი“.

წმიდა დიდმოწამე, მნათობი საქართველოისა, კახთ დედოფალი ქეთევანი

მოცემულ სტროფში კავშირი ჩანს ბერძენი ფილოსოფოსის, ემპედოკლეს (VI ს.) მოძღვრებასთან, რომლის თანახმად, სამყაროს არსებობა ოთხ საფუძველს ემყარება: წყალს, ჰაერს, მიწასა და ცეცხლს. თეიმურაზმა პოემაში სამყაროს არსებობის ოთხი ელემენტი, ადამიანის სხეულის ოთხი ნაწილის ჩვენებაზე გადაიტანა: სულის, თვალის, გულისა და ტანის სახით. თეიმურაზის მიერ ემპედოკლეს მოძღვრების გამოყენება არ იყო შემთხვევითი მოვლენა, რადგან იგი უფრო ადრე გვხდება ნეოპლატონიკოსებთან – როგორც სამყაროს საზღვრების აღმნიშვნელი სისტემა, რომლის არეალში მიედინება ადამიანის ცხოვრება. საინტერესოა შემდეგი საკითხის გარკვევა: კერძოდ, რა დატვირთვა აქვს პოემაში აღნიშნულ სტროფს და სიკვდილის ეპიზოდში ჩართული, რისი მანიშნებელია იგი? „ოთხთა კავშირის რღვევის“ სტროფი აღმნიშვნელია ადამიანის იმ მდგომარეობისა, როდესაც იგი ვერ ეტევა თავისი ფიზიკური არსებობის საზღვრებში და გამოსავალს მხოლოდ ამ საზღვრის დატოვებაში ხედავს, თავისუფლების მოსაპოვებლად – ზეციური სასუფეველისაკენ ისწრაფის. ავტორი თითქოს ამ ემოციურ მუხტზე უნდა შეჩერებულიყო, როდესაც უკვე სულისა და ხორცის გაყრა სრულდება, დგება ხორცის კვდომა და სულის უკვდავება. მაგრამ თეიმურაზი პოემის შემდგომ სტროფებში ახდენს დედოფლის მოწამეობრივი სიკვდილის ერთგვარ შეფასებას. ამ მხრივ პოემაში აღძრულია „სულის უკვდავების“ ღვთისმეტყველების ურთულესი საკითხი, რომელშიც ჩართული იყო ასევე თეიმურაზის პიროვნული ტრაგედიაც, გამოწვეული სასუფეველში დედასთან ყოფნის შეუძლებლობის გამო. თეიმურაზს პოემის ოთხ სტროფიან ლექსში არაჩვეულებრივი მაშტაბურობით აქვს წარმოდგენილი საღვთისმეტყველო სიბრძნის ღრმა გააზრება და მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება დედის, როგორც წმინდანის მიმართ. აღნიშნული სტროფი ეხება „აპოკალიფსის“ – ქვეყნის აღსასრულის და იესო ქრისტეს გამოცხადების სიუჟეტს, რომლის დროს მთელ სამყაროში საყვირის ხმა ისმის. ავტორის მიერ წარმო დგენილი მთელი ეს ეპიზოდი იდუმალებით მოცული ადამიანის ცხოვრების დიდ საოცრებას ეხება: მკვდრეთით აღდგომას, ხორცისა და სულის შეკრებას, უკვდავი სულის სასუფეველში ზეასვლას. ხსენებულ სტროფში თეიმურაზის მიერ აღნიშნული ყველა ეს მოვლენა: როდესაც ხდება უკიდეგანო, უზარმაზარი სივრცისა და დროის – 365 დღის ხანგრძლიობის ერთ დღედ შეყრა, ყველა სულისა და ხორცის ერთად შეკრე-

ბა, საყვირის ხმაზე მთელი „სამკვდრეთის“ აყრა, ყველა ეს სასწაული არ აღმოჩნდება საკმარისი ძალის, სასუფეველში დედა-შვილის შეხვედრისათვის, რადგან ქეთევანი მისთვის მიუწვდომელი ხდება – იგი თავის თავს ღირსად არ თვლის დედას თან ერთად სასუფეველში ყოფნისა. პოემაში ამასთან დაკავშირებით ვკითხულობთ:

„სამას სამოც და ხუთი დღე რა ერთ დღედ შეიყაროსა,

საყვირთა ისმის მაშინ ხმა, სამკვდრეთი აიყაროსა,

სული ყოველი იქ შეკრბეს, სოფელმან გაიყაროსა,

სულსა რას ვაქნევ, თუ შვილსა მაშინც ვერ შეეყაროსა“.

თეიმურაზს პოემაში არაჩვეულებრივი სისავსით აქვს წარმოდგენილი მისი, როგორც შვილის დამოკიდებულება ქეთევანის „დედობრივი ბუნებისადმი“; იგი ასე მიმართავს დედოფალს:

„დედობრივისა ბუნებით თავს იდევ ესე ჭირვები,

ჰპოვე უკვდავი ცხოვრება საცვიფრო, გასაკვირვები...“

მაცხოვრის განკაცებიდან დამკვიდრდა დედობრივი სიყვარულის ღვთიური გაგების იდეა. იგი ქართულ მწერლობაში ბერძენი ღვთისმეტყველის, გრიგოლ ნოსელის (VI ს.) შემოქმედებიდან შემოვიდა. გარდა ამისა, თეიმურაზს ზუსტად აქვს გაცნობიერებული თავისი დედის თავგანწირვის მნიშვნელობა, არა მარტო საქართველოსათვის, არამედ, იმ პერიოდის ქრისტიანული და მაჰმადიანური რელიგიის უკიდურესი დაპირისპირებულობის ფონზე, მთელი ქრისტიანული – „ჯვარის მოსავთა“ სამყაროსათვისაც, მართლაღსარებისათვის, ქრისტესთან ჯვარცმისათვის, რისთვისაც – „ჯვარის მოსავთა ყოველთა, ნაწილი ენატრებოდათ“. თეიმურაზი ამგვრად გადმოსცემს წმინდანის მნიშვნელობას:

„ამან წმიდისა მუნ ზარი ყოველგან გაისმებოდა,

ჯვარის მოსავთა ყოველთა ნაწილი ენატრებოდა,

თორმეტ ათასი თუმანი ფრანგთაგან დაითვლებოდა,

არა ვის მისცა შაჰ-აბაზ, ცოდვითა აივსებოდა“.

ამდენად, თეიმურაზ პირველის პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“ უფლისადმი აღსარებად თქმული ერთგვარი „მონანიებაა“. საინტერესოა ამ მხრივ საკითხი – თუ მოიპოვებს პოეტი ნუგეშს? პოემაში ვკითხულობთ: „ვერ განვიწმინდე ცოდვანი სულთა ნუგეში ცემისა“, რადგან იგი თავის თავს „ცოდვით მოსილად“, „არ მადლით გაბრწყინებულად“ თვლის. თეიმურაზის „წამების“ ტექსტი იმდაგვარად არის აწყობილი, რომ, მსგავსად აგიოგრაფიული თხზულებისა, „წამებაში“ შინაარსობრივი ფაბულა ერთგვარად მთლიანდება, მასში ჩართული „ავტორის ხმით“, როდესაც იგი ბიბლიური გამოთქმებითა და ბიბლიიდან მოყვანილი მაგალითებით მთელი პოემის მანძილზე ესაუბრება მკითხველს თავსდატეხილ უბედურებაზე, შინაგან ტკივილზე. ამ ნიშნით, თეიმურაზ I-მა „წამება ქეთევან დედოფლისას“ შექმნით შეძლო, ლიტერატურული ენით დაენახვებინა სპარსული ზღაპრული თემების „ტკბილხმოვანებით“ გაბრუებულ მის თანამედროვე ქართული საზოგადოებისათვის რეალური სინამდვილე – თუ რას ნიშნავდა ჭეშმარიტი სამშობლოსა და სარწმუნოების ერთგულება და შეეხსენებინა, რომ მათ ჰყავდათ დიდი რუსთაველი, ჰყავდათ ბრძენი ფილოსოფოსები; თეიმურაზმა შეძლო, ელაპარაკა ქართულ აზროვნებაში არსებულ ღრმა განათლებულობის შესახებ. მან პოემა „წამება ქეთევან დედოფლისას“ შექმნით, შეიძლება ითქვას, ქართული მწერლობის ისტორიაში გზა გაუხსნა ახალ სიტყვას: მეფე-პოეტის, არჩილის, „მართლის თქმის“ პრინციპის შემოტანას ქართულ ეროვნულ მწერლობაში. აქედან გამომდინარე, თეიმურაზი გვევლინება მწერლად, რომელმაც გარდატეხა მოახდინა ქართულ აზროვნებაში და „წამება ქეთევან დედოფლისას“ შექმნით, იგი ახალი სათქმელით, შემოქმედებითი ხედვის ახლებური გადაწყვეტით შემოდის ქართულ მწერლობაში. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მწარე ისტორიული რეალობისა და მასზე თავსდატეხილი უბედურებისა, თეიმურაზი თავის პოემას ოპტიმისტური ფინალით ასრულებს. კერძოდ, ავტორი პოემას კომპოზიციურად ერთგვარად დაუსრულებელი სახით წარმოგვიდგენს, როგორც თავისებურ გზავნილს მომავალი თაობებისადმი – „ლექსთა შემამკობელების“ მიმართ, პოემის დასრულების თხოვნითა და ერთადერთი პირობის – რჯულის, მართლმადიდებლობის, დაცვის აუცილებლობით.

ფილ. მეცნ. დოქტორი
მარინე ცინცაბაძე

`XELNI CEMNI MMSAXUREBDES ME~

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მისი მწყემსმთავრობის პირველ წლებიდანვე დაიწყო საქართველოს ეკლესიის ტრადიციების აღდგენა-აღორძინება, რაც ქრისტიანული ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად,ქართულ საეკლესიო ნაქარგობასაც შეეხო. საეკლესიო ნაქარგობის აღორძინების საქმე მრავალ პრობლემას უკავშირდებოდა, რადგან ორი საუკუნის მანძილზე, ისტორიული ძნელბედობის ჟამს, ქართული საეკლესიო ნაქარგობის სკოლა მოიშალა. საეკლესიო ხელოვნების შინაარსი, ენა, იკონოგრაფია და სიმბოლიკა გაუგებრად და მოძველებულად მიიჩნეოდა.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II 1980-იანი წლების დასაწყისში ხშირად მიაქცევდა მრევლის ყურადღებას, ქადაგებებსა და პირად საუბრებშიც, ხელსაქმის მნიშვნელობაზე, გვესაუბრებოდა საეკლესიო ნაქარგობაზე და შეგვახსენებდა წმიდა გაბრიელ ქიქოძისა და წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველის გამონათქვამებს.

განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინა მისმა უწმიდესობამ ქართული საეკლესიო ნაქარგობის ტრადიციული სკოლის აღდგენა-აღორძინების საქმისადმი. მისი უწმიდესობის ღვაწლით, ჯერ კიდევ 1982 წელს დაარსდა საეკლესიო ხელსაქმის ჯგუფი ქალბატონების: ანა ღამბაშიძისა და ნინო სვანიძის ხელმძღვანელობით. ქართული ნაქარგობის ამ უძველესმა წარმომადგენლებმა თავიანთი ცოდნა და გამოცდილება გაგვიზიარეს და პირველდაწყებით საოსტატო ხელოვნებას გვაზიარეს.

სწავლის პერიოდში, თავდაპირველად, მცირე ზომის ნივთებს ვქარგავდით. მის უწმიდესობას, მადლიერების ნიშნად, ჩვენი პირველი ნაქარგი, თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი მივართვით საჩუქრად, შემდეგ – მთავარანგელოზ მიქაელის ხატი. უწმიდესმა პირველი ნამუშევარი მოგვიწონა და უფრო რთული დავალება მომცა – მარიამ დედოფლისეული (დადიანისა) გარდამოხსნის ანალოგის მოქარგვა დამავალა სიონის ტაძრისათვის (იმხანად სიონის საკათედრო ტაძარში რუსული სტილით შესრულებული კუსტარული გარდამოხსნა ესვენა). უწმიდესს შიშით და ძრწოლით მივუგე: „ – თქვენო უწმიდესობავ, ეს გარდამოხსნა დედოფლის ნაქარგია და ნუთუ ჩვენ შევძლებთ, რომ მსგავსად მოვქარგოთ?“ კათოლიკოს-პატრიარქმა გაგვამხნევა და ჩვეული სიმტკიცით მომიგო: „თქვენ განა მარიამ დედოფალზე ნაკლებები ხართ?! შეძლებთ, შეძლებთ, ღვთის შეწევნითო“. ამ

ქარგვის სახელოსნო „შროშანის“ ხელმძღვანელი ეთერ ურუტაძე

საპასუხისმგებლო საქმეში დახმარებისათვის, სახელმწიფო მუზეუმის ქსოვილებისა და ნაქარგობის განყოფილების თანამშრომლებს: მზია კეცხოველს და იზოლდა მელიქიშვილს მივაშურე. ქალბატონმა მზიამ მომისმინა და აღნიშნა: „რა დროს გარდამოხსნის მოქარგვაა, ჯერ პატრიარქი გვყავს შესამოსავი; ვერ ხედავთ, როგორი უბრალო სამოსლით გადის უცხოეთშიო?“ პატრიარქი ხომ ქვეყნის სახეა და ჩვენთან კი მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვნების ნიმუშები, სამღვდელმთავრო შესამოსლები, ინახება.

„ჯერ პატრიარქის შესამოსელი მოქარგეთ და შემდეგ – გარდამოხსნაო“. ამ წინადადებით მიაშურეს მათ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. მისმა უწმიდესობამ კი ქალბატონებს ასე უპასახა: „თქვენ იცით, რომ გარდამოხსნა მაცხოვრის სხეულის სიმბოლოა? ჩვენს ტაძრებს ან არ გააჩნიათ, ან გარდამოხსნის რუსული ნიმუშები

აქვთ. რა დროს ჩემი შესამოსელია? ჯერ გარდამოხსნები და დაფარნები მოვქარგოთ, ჯერ უფალი შევმოსოთ და მერე ჩემი შესამოსლის დროც მოვაო“. ასე დაიწყო მქარგველთა პირველმა ჯგუფმა სიონის ტაძრისათვის მგარდამოხსნის და დაფარნების ქარგვა.

მას მერე 26 წელი გავიდა. უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საეკლესიო ნაქარგობა აღორძინდა. მრავალმა შეისწავლა და დაოსტატდნენ ხელსაქმის ამ სახეობაში. ჩვენმა მოსწავლეებმა ეპარქიებში ქარგვის სკოლა-

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის **ილია II-ის** მარგალიტებით გამშვენებული სამღვდელმთავრო შესამოსელი

სახელოსნოები გახსნეს და ბევრი ტაძარი შეიმოსა საეკლესიო ნაქარგობის ნიმუშით: დაფარნებით, გარდამოხსნებით, კრეტსაბმელით. უწმიდესისათვის მოიქარგა რამოდენიმე შესამოსელი, ოქრომკედით და ვერცხლმკედის ძაფებით, რომელიც მონოზონმა ნინომ (მსხვილაძემ) და ზუგდიდის მრევლმა მოქარგა.

2006 წელს მისი უწმიდესის ლოცვა-კურთხევით, უფასო ქარგვის სკოლა გაიხსნა ყოვლადწმიდა სამების ლავრაში, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს და ყოველდღიურად 500 გოგონა ეუფლება ხელსაქმეს.

როგორც სხვა ყველა დარგში, სწრაფქმედების გაზრდის მიზნით, ტექნიკა ხელით ქარგვის ხელოვნებაშიც შემოიჭრა. მონასტრებმა პროგრამული ქარგვის მანქანები შეიძინეს და ერთხელ, კურთხევაზე პატრიარქთან მისულ დედებს მეც ვახლდი. უწმიდესმა ასეთი დარიგება მოგვცა: „ღმერთმა ხელში განსაკუთრებული მადლი ჩადო, მე მღვდლად ან დიაკვნად კურთხევის ლოცვები რომ წავუკითხო ადამიანს და თავზე ხელი არ დავადო, ნაკურთხად არ ჩაითვლება. თითოეული თქვენი ხელის დადება ქსოვილზე, მარგალიტის და ბრილიანტის დამაგრების ტოლფასია, აბა, ამას მანქანა აკეთებს?! ცოტა მოქარგეთ და ხელით! სხვები მანქანით ქარგავენ – ხელით მოქარგეთო“. ეს კურთხევა მისმა უწმიდესობამ 2010-11 წლებში სასულიერო აკადემიის ქარგვის სახელოსნოში, როდესაც სასწავლო წლის დაწყებისას მცირე გამოფენა მოვაწყე. გამოფენამ დიდად გაახარა მისი უწმიდესობა. მაშინ საჩუქრად გადავეცით მადლიერი სტუდენტების ხელით მოქარგული ენქერი, ქერუბიმების გამოსახულებითა და ლიტურგიკული წარწერით გამშვენებული, რომლითაც მისი უწმიდესობა დღემდე იმოსება.პატრიარქის შეგონება კი ხელით ქარგვის მნიშვნელობაზე, სასულიერო აკადემიის სახელოსნოში გვაქვს დღემდე გაკრული.

ხელოვნების ეროვნულ მუზეუმში დაცულია ეკატერინე ჭავჭავაძის მიერ შეკეთებული XVIII საუკუნის საეპისკოპოსო სრული შესამოსელი, რომელიც მან ანტონ დადიანს უბოძა 1847 წელს. შესამოსელის ყველა ნაწილი შესრულებულია ერთი სტილით, იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი ტექნიკით: მეწამულ ფერის ხავერდზე სხმული მარგალიტებით, მძივური ქარგვის ტექნიკით გამოყვანილია ვაზის და სამყურა ფოთლების სახეებით და სხვა... ამ სამოსის ნახვის შემდეგ გადავწყვიტე, მსგავსი შესამოსელი მომექარგა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისათვის.

2011 წელს უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-სათვის ჩემი ხელმძღვანელობით, მოიქარგა სრული ლიტურგიკული შესამოსელი: მცირე ომოფორი, ენქერი,საბუხარები და ოლარი, რაშიც ნივთიერად შეგვეწია სახელოსნო „შროშანის“ პატრონი და დამფუძნებელი ქალბატონი მარინე წიკლაური. მომქარგველნი არიან ყოვლადწმიდა სამების ტაძრის ქარგვის სასწავლებლის სტუდენტები: ნატალია და ეკატერინე კირაკოზიშვილები, ნანა ცისკარაული, თამარ ეროტაძე, ნინო ახვლედიანი, ია მაზმიშვილი.

უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის სრული შესამოსელი, რომელიც არის სულიერი მახვილი და რომლითაც „ჯერ არს რათა წინა აღუდგეს წინააღმდგომთა ურწ-

მუნოთა და უწმინდურთაცა, მან ჯერ არს განაღვიძოს მწყემსთა შორის მრჩობლი გულსმოდგინება და ძალა წინააღმდგომთა ხილულთა და უხილავთა მტერთასა“.

შესამოსელში შედის XVIII საუკუნის სიონის ენქერის მიხედვით შესრულებული ნაქარგობა, რომელიც მუზეუმშია დაცული. ენქერზე ამოვქარგეთ გაბრწყინებული და აყვავებული ჯვარი, ხოლო მის ირგვლივ გაშლილ მსხმოიარე ვაზის ლერწზე 24 მტევანი და 36 ფოთოლია გამოსახული.

ყოვლადწმიდა სამების ტაძრის ქარგვის სასწავლებლის სტუდენტები

ქართული საეკლესიო ნაქარგობის თვითმყოფადობას წარმოაჩენს არა მარტო ნემსით და ძაფით შექმნილი ნიმუშები, არამედ, ძვირფასი ქვებითა და ლითონით შემკობა-გამშვენების ტრადიცია. XVIII საუკუნის საბუხართა წყვილზე, რომლის ასლიც მოვუქარგეთ ამჟამად უწმიდესს, მთლიანად მარგალიტითაა ნაქარგი (მარგალიტი, როგორც მაცხოვრის სიმბოლო); საბუხარეებზე გამოსახულია „ჯვარი აყვავებული“ და „შენ ხარ ვენახი“. ეს თემა მინიშნებულია ვაზის რტოებითა და მტევნებით.

პატრიარქის ახალ შესამოსელში 1743-73 წლებში მოქარგული „რაჭის ეპიტრაქილად „წოდებული ნიმუშის ასლი მოვქარგეთ. მასზე, შინდისფერ მეწამული აბრეშუმის ქსოვილზე, ორ რიგად გასდევს მარგალიტებით შესრულებული აყვავებული ჯვრები და ქერუბიმები, ირგვლივ მოჩარჩოებად მაყვლის ყვავილებია გამოსახული.

ოლარისა და ომოფორის ის ნაწილი, რომელიც კისერზე გადის, ამ სამოსის თაღად ითვლება, ე.ი. მთავარ ნაწილად, სადაც, ჩვეულებრივად, იესო ქრისტეს სხვადასხვა გამოსახულებებია (პანტოკრატორი, დეისუსი, მღვდელმთავარი, დიდი ჯვარი და სხვა). ჩვენს მიერ მოქარგულ ოლარის კისერზე, თაღზე, აყვავებული ჯვარია მოქარგული...

სამღვდელმთავრო სრული შესამოსელის უმნიშვნელოვანესი დეტალია დიდი და მცირე ომოფორი, რომლის მოხატულობის ესკიზებს უწმიდესთან ვათანხმებთ. პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ომოფორზე მოქარგულია აყვავებული ჯვრები და ქერუბიმები. ქერუბიმებს სახეები ზეზით ნაქარგის ნაცვლად, მინანქრით აქვთ გამოხატული, რომელიც ოქრომჭედლის, გიგა გელოვანის მიერ არის შესრულებული. საეკლესიო ნაქარგობის აღდგენიდან 28 წლის განმავლობაში ამ შესამოსელში პირველად არის გამოყენებული ვერცხლისა და ოქროს ძაფები (ოქრომჭედელი გიორგი ჯირკმელიშვილი), მაგრამ ოქროს თმა ჯერ ვერ მივიღეთ, ზეზის მისაღებად კი ოქროს თმაა აუცილებელი. მოჩარჩოებად მაყვლის ყვავილებია შემოვლებული (ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სიმბოლო); დიდი ომოფორის წინა კალთაზე ასომთავრული შრიფტით და წვრილი მარგალიტებით ლიტურგიკული წარწერაა მოქარგული: „მხართა ზედა, ქრისტე, შეცდომილი კაცობრივი ბუნება აღიხვენ, ამაღლდი და მიჰგვარე ღმერთსა და მამასა, ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“;

როდესაც უწმიდესი შეიმოსა სრული შესამოსელით, აღნიშნა: „ეს ისტორიული მოვლენაა“. უწმიდესი და უნეტარესი ილია II მრავალს ათვალიერებინებს ქართული ნაქარგობის ტრადიციული ხელოვნებით შესრულებულ ნიმუშებს და ერთხელ, მასთან მისულმა ამერიკელმა სტუმრებმა ჩვენს ნამუშევარზე უთხრეს: „მსოფლიო მოვიარეთ და მსგავსი რამ არსად გვინახავსო“.უწმიდესმა უპასუხა (ჩვენდა სანუგეშოდ): „სხვაგან სად უნდა გენახათო?“...

დღეისათვის საეკლესიო ნაქარგობის ქართული სკოლა ღირსეულად აგრძელებს ტრადიციას და უცხოეთშიც მრავალი მიმდევარი გაიჩინა.

ეთერ ურუტაძე

„SAZEPURO INA QARTULSA“

(გამოხმაურება იღუმენია ქეთევანის
ლექსების კრებულზე)

დროდადრო მახსენდება დიდი გალაკტიონის პოეტური შეკითხვა: „რად უწოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარეს?“ რომელსაც თავად ავტორი ასე პასუხობდა: ქართველებს „უძველეს ხნიდან პოეზია სდევდა ზეპირი“, რომ „უძველეს ხნიდან დაწყებული რუსთაველამდე, რუსთაველიდან ჩვენამდე – რეკს ივერთა ჩანგი“ და „მასთან უძლური იყო ცეცხლი ასული ცამდე, ათასი ჩინგის, მაჰმადხანი და თემურლანგი“. სწორედ პოეზია იყო ის ძალა, ქართველთა მხედრობას ურიცხვი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად რომ უხმობდა,ამხნევებდა,სასიცოცხლო ძალებს უასკეცებდა და ბრძოლის უნარს ჰმატებდა; სწორედ ლექსის მადლით ცოცხლობდა ერი, ლექსის მადლითვე შრომობდა, ხარობდა, წუხდა ქართველი, ლექსის მადლით ქმნიდნენ პოეტური სიტყვის შედევრებს „ცეცხლი – აკაკი, გმირი – ვაჟა, ბრძენი – ილია“. იქნებ პოეტური სიტყვის მსახურთა სიმრავლის გამოც უწოდებდნენ ჩვენს საქართველოს მგოსანთა მხარეს.

პოეზიას (შაირობას) სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა შოთა რუსთაველი. – იოანეს სახარება გვასწავლის, რომ „პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი“ (იოანე. 1.1.). სიტყვის მსახური ღმერთის მსახურია, ღმერთის მსახური კი ერის მოძღვარი. მას, ვისაც ხელეწიფება სმენა უფლის სიტყვისა, უნდა შეეძლოს ამ სიტყვების ადამიანის გონებამდე მიტანა; უნდა შეეძლოს ადამიანის გულსა და გონებაში ღვთის სიტყვის ჩასახლება. სწორედ ამას გულისხმობდა რუსთველი, როცა წერდა: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი, კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი...“ ანუ პოეზიას მხოლოდ საღმრთო დანიშნულება როდი ჰქონია, „კაცი ვარგი“ ამქვეყნიურ სიბრძნესაც შეიმეცნებს, სათანადოდ შეისმენს.

წმიდა ილია მართლისათვის პოეტი ღმერთთან მოსაუბრეა, აკაკისათვის – „ხან უგუნური“ და „ხან ბრძენი“ „გარემოების საყვირი“, რომელსაც ძალუძს იყოს ბრძენი, შეძლოს ჩასწვდეს უფლის სიტყვის სიღრმეს და შეაცნობინოს ერს ამ სიტყვის ჭეშმარიტი არსი; ვაჟასათვის უფლის მსმენელი თვალთშეუდგამი მთის მწვერვალზე დამდგარა, თვალწინ გადაშლილ, ტურფად მიმოქარგულ მთა-ბარს გადასცქერის და ამ დროს მისთვის ერთიანდება ორივ სოფელი; გალაკტიონისათვის „მშვენიერების ლექსით მქებელთა“ როლი გამორჩეულია და უმნიშვნელოვანესია: ერის გვერდით ყოფნა, ხალხის გულში ღვთისმიერი სათნოებების თესვა და მოვლა, პასუხისმგებლობა „მწყემსი კეთილის“ წინაშე, ზრუნვა „ცხოვართათვის“. ამ მისიის ღირსეულად აღსრულება მართლაც დაგარწმუნებს ადამიანს, რომ „სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ გზის გარდა“ და ათქმევინებს:

„ამაღლდი, სულო, თეთრ აკლდამაზე,
მშვენიერების ლექსით მქებელი,
დღეს ყველგან მზეა და სილამაზე,
სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი!“

პოეზიის მუზის ქვეშევრდომთა ნაკლებობა არ ახსოვთ საქართველოში, თუმცა ეს ადვილი არასოდეს ყოფილა, მით უფრო მანდილოსანთათვის და მიუხედავად ამისა, არაერთმა ქართველმა ქალბატონმა შექმნა დასამახსოვრებელი, მრავლისმთქმელი და ბევრისთვის მეტად ძვირფასი პოეტური მემკვიდრეობა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

2010 წლის 21 სექტემბერს საკუთარ თავს დაბადების დღე იღუმენია ქეთევანის ლექსების კრებულით მივულოცე, გარეკანიდანვე რომ იქცევდა ყურადღებას შთამბეჭდავი და პოეტური სათაურით: „ივერთა მზეო, ქართველთ ლხენაო“. არ

ვიცოდი დედა ქეთევანი ლექსებს თუ წერდა, წაკითხვისთანავე მივხვდი, რომ თავი მშვენიერი საჩუქრით გავინებივრე.

ამ კრებულში ყველაფერია: წუხილი ქვეყნის ბედზე, სიამაყე – ქართველთა საგმირო საქმეების გახსენებით გამოწვეული, ხსნის გზა და იმედი მომავლისა; რაც მთავარია, აქაა პოეტური ქადაგებები, სწავლებანი. დედა ქეთევანი გვასწავლის, რა უნდა იყოს ქართველისათვის უპირატესი და რატომ; რატომ ვიწოდებით „ერად საზეპუროდ“, ეს ხოტბაა, თუ მოვალეობის მძიმე ტვირთი, რომელიც ღირსეულად უნდა ვზიდოთ.

მართლმადიდებლობა ძნელია, მაგრამ საპატიო, რწმენის ერთგულება ძნელია, მაგრამ საჭირო, ეკლესიის სიყვარული ძნელია, მაგრამ აუცილებელი. ეკლესიის საძირკველი თითოეული გულწრფელად მლოცველი მართლმადიდებელის მხარს უნდა ეყრდნობოდეს, როგორც მაცხოვარმა უთხრა პეტრე მოციქულს: „შენ ხარ კლდე და ამ კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“. მეტად ძნელია! ტვირთი მძიმეა, მხოლოდ რჩეულთათვის სატარებელი.

დედა ქეთევანი მძლავრი პოეტური სიტყვით გამოკვეთს ეკლესიის მნიშვნელობას. იგი მისთვის ერთი მხრივ „კიდობანია საწამებელი“, მეორე მხრივ „სალოცავი და სასაკმეველი“, „გოლგოთაა ღმერთის“, „წმიდანთ საძვალე“ და „სიყვარულია ღვთის და მამულის“.

„ეკლესია არს ბარძიმი უფლის,
კიდობანია საწამებელი,
მოსეს კვერთხია, ნოეს კარავი,
სალოცავი და სასაკმეველი...
ტალავარია ცხოველი რწმენის,
მართლმსაჯულება სოლომონ ბრძენის,
წმიდა ემბაზი ნათლისმცემელის,
საუფლო კვართის განსასვენები“.

ქვეყნისა და ერის გადარჩენის ერთადერთ გზად დედა ქეთევანს ეკლესიის ძლიერება, ქართველთა გულში ფესვგადგმული რწმენა, სამშობლოს გულწრფელი სამსახური და მისთვის თავდადება მიაჩნია:

„საქართველო, საქართველო,
მამულო ღვთივკურთხეულო,
ღვთისმშობლისა წილხვედრილო,
ქართლოსიანთ სიქადულო,
უფლის კვართო – მცხეთის გულო...
დედა-ენავ, საზეპურო,
მშობლიურო ტკბილ-ქართულო...
ვაგლახ ჩემო საქართველოვ,
ქრისტესავით ჯვარსგაკრულო“.

და სტკივა ქართლის ბედი; დარდობს, რომ ქვეყნის გოლგოთა ხანგრძლივი აღმოჩ-

მცხეთის სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვარი **იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი)** ყაზბეგი. დარიალის ხეობა.

ნდა; იცის, რომ უფალი განსაკუთრებულ გამოცდას უწყობს გამორჩეულად საყვარელ შვილებს და ეს სიყვარული იმითაც დასტურდება, რომ უფლის კვართთან ერთად კიდევ მრავალი სიწმიდე დაიუნჯა საქართველომ თავის წიაღში; სწამს, რომ რაც არ უნდა გახანგრძლივდეს, გოლგოთა მარადიული მაინც არაა და როცა იქნება განსრულდება ტანჯვა:

„ქართლოსიანთა, ძველ წინაპართა,
გაკვალულ გზებით,

დაწუნებული და დამცრობილი,
საზეპუროდ, ტანჯული ერი,
ქართული სულით,
ქართული ენით,
ვით ლაზარედ,
ოთხი დღის მკვდარი,
კვალად აღდგება
დიდებით, ამინ!“

როგორც ჭეშმარიტ მხევალს ღვთისას დედა ქეთევანს სიამაყეს ჰმატებს გარდასულ დღეთა გმირების გახსენება, ოდით-



კრებული „ივერთა მზეო, ქართველთ ლხენაო“

განვე ხმალშემართული რომ იბრძოდნენ ქვეყნის, სარწმუნოების, ენის, ეროვნული თვითმყოფადობის, თავისუფლების, საკუთარი ღირსების, დედათა მანდილის სიწმიდის დასაცავად. „სისხლის ფასად იუნჯებდა რწმენას, მამულს, ენას“ და არაერთგზის „ძლევაადთა საკვირველით“ მონაგებ სიმდიდრეს ისევ ღმერთსავე სწირავდა:

„ოქრო-ვერცხლით,
ძვირას თვლებით
შეამკობდა ჯვარ-ხატებსა,
ეკლესიას მიუძღვნიდა
მონაგების მეათედსა“.

მათი მსგავსი ქართველები იმკვიდრებენ ადგილს ზესთასოფლის სამოთხეში:

„წმიდა ნინოს მადლი გფენია,
სამეფო ბაღში განგისვენია,
გმირთა სიკვდილი არ უწერიათ,
მართალთა ხვედრი ცის ნათელშია“.

ეს რწმენა აძლიერებდა ერს, რადგანაც ქვეყნის მფარველად უფალს მოიაზრებდა და სიხარულით, მორჩილებით, ნებითა თვისითა, კისრულობდა მის ქვეშევრდომობას.

დღეს კი გათითოკაცებულ,დამცირებულ, დაჩოქილ საქართველოში რწმენა შესუსტდა, ღვთის იმედი გაფერმკრთალდა, მის მიერ ქმნილ სასწაულებს ხალხი ვეღარ ხედავს, რამეთუ სულიერი თვალი დაეშრიტა ერს, ხორციელ თვალს კი როდი ხელეწიფება ღვთიურ სათნოებათა ჭვრეტა:

„სადღა არსა დღეისდღესა...
წრფელი სიტყვა,
ქველი კაცი,
მოყმე ქუდ-ნამუსიანი...
ღვთისნიერი,
გულხმიერი,
ერი დიდბუნებიანი“.

ეს ისეთი ტკივილია, გულის სიღრმიდან ამომსკდარი, რომ მისი მოშუშება, ჩვეულებრივი ერისკაცისათვის, ალბათ, შეუძლებელიც იქნებოდა; მაგრამ სხვაა მხევალი ღვთისა, რომელმაც კარგად უწყის, რომ მართალია, ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ჩვენთვის, მაგრამ ჩვენც არაერთგზის ვვნებულვართ მისთვის. ვნების სურვილი სინანულს მოჰყვება, სინანულის გრძნობას ჩვენივე არასწორი ქმედების გააზრებით გამოწვეული უკმაყოფილება აჩენს, იმედდაკარგული, გაცივებული გული საბოლოოდ მაინც უბედურების მიზეზის ძებნას იწყებს, რაც ჯერ საკუთარი თავით უკმაყოფილებას იწვევს, შემდეგ სინანულს, რასაც გოლგოთისკენ, ვნებისკენ, ჯვარცმისკენ მივყავართ, ჯვარცმას კი თავისთავად მოსდევს აღდგომა, დაცემულ სულთა ამაღლება და ამაღლებულ სულთა ხსნა, დღესასწაული.

ალბათ, ამას გულისხმობს დედა ქეთევანის სიტყვები:

„ცის ქვეშეთში ყოველსაო,
თვისი დრო – ჟამი აქვსაო,
თუ ჟამს აქვს ისარიაო
შენცა იპყარ ფარიაო –
სიყვარული უფლისაო,
სიყვარული მოყვისაო“

და როცა ეს ჟამი დადგება, ქართველი გულით იგრძნობს, რომ უფლის სიყვარული უძლეველი ფარია, ქრისტიანული რწმენა საფუძველთა-საფუძველია, სული-

წმიდის მადლი ამქვეყნად უმთავრესი და უდიდესი მოსახვეჭელია.

ბედნიერია ადამიანი, თუ დღევანდელი საქართველოს შემხედვარეს ქვეყნის ფეხზე წამოდგომის იმედი აქვს, ღვთის რწმენის განმტკიცების მოლოდინი აქვს. შემთხვევით არაა, რომ ეს სურვილი სასულიერო პირის ლექსებში ამოვიკითხე, რამეთუ მჯერა: როგორიც ბერიო, ისეთი ერიო. ბერ-მონოზონთა სურვილი ერში მცხოვრებ ადამიანთა გონებას სწვდება, ჩაეწვნება და ჩაექარგება და ერთხელაც, ვინ იცის, იქნებ მართლაც გავარჩიოთ ღირებული და არაღირებული, მარადიული და წარმავალი, ჭეშმარიტი და მცდარი, იქნებ მართლაც წამოდგეს ფეხზე საქართველო და ხმამაღლა დასძახოს თავის შვილებს: ქართველნო ერთად ღვთისაკენ!!! იქნებ ოდესმე ადვილად გასაგები აღმოჩნდეს ჩვენთვის წმიდა მეფის – ვახტანგ გორგასალის ანდერძისეული სიბრძნე: ეძიებდით ქრისტესთვის სიკვდილსა. სიკვდილსა და არა ქონებასა, სიმდიდრესა, პატივსა და დიდებასა. გორგასალი გვირგვინოსანი იყო, ქონებაც ჰქონდა, არც პატივ-დიდება აკლდა, ალბათ, მაგრამ მაინც ყველაზე მნიშვნელოვანზე დაგვაფიქრა, გვასწავლა: ქრისტესთვის სიკვდილი სულის შვებაა, ეძიებდით სულის შვებასო.

ინებოს ღმერთმა და ყოველდღიური ამაო საზრუნავით გადაღლილი, დედამიწაზე სამოთხის გაშენებაზე მეოცნებე ქართველის „საჩინო“ და „უჩინო“ სასმენელს მისწვდეს ჩვენი დიდი მეფის – გორგასალის მამაშვილური რჩევა.

დედა ქეთევანის ზემოხსენებული წიგნი პირობითად შეიძლება სამ ნაწილად გაიყოს: მამული, ენა, სარწმუნოება. თითოეულ ლექსში იგრძნობა სიყვარული ჩვენი ქვეყნისა, ერთგვარი სიამაყეც კი, რამეთუ სწორედ ჩვენ გვხვდა წილად, ღვთისმშობლის კალთას შეყუჟულებს, გვედიდებინა უფალი მცხეთის კურთხეულ მიწაზე „ცადაკვართულ“ სვეტიცხოველში, სადაცაა

„კვართი უფლისა –
მხსნელის ჩვენისა,
ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა,
მარიამისა ხელით ქსოილი,
მღვდელ ელიოზის წილადხვდომილი,
ქართლს მოწევნული,
ქრისტეს სასძლოდს,
წმიდა ქალწულის
სიდონიასა მკერდსჩაკვართული,
მუნ დაკრძალული
ანგელოზთაგან ზეაღმართული
სვეტიცხოველი,
მირონმცვრეველი“.

მამული, ენა, სარწმუნოება –ამ სამ საუნჯეში, ვფიქრობ, უმნიშვნელოვანესი მისია სწორედ ენას აკისრია, რამეთუ ენით ვესაუბრებით უფალს, ენითვე ვავედრებთ მამულს, ენით ვიცნობთ და გამოვარჩევთ სხვათაგან.

იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი)
რაჭა – შოვი.

ქართული ენის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ X საუკუნეში საუბრობდა დიდი იოანე-ზოსიმე და მას „საზეპურო“ ენას უწოდებდა. დედა ქეთევანი მანდილოსნისთვის დამახასიათებელი სილბოთი და სინატიფით ეფერება ქართულ სიტყვას, ელოლიავება დახვეწილ ქართულ ფრაზას, ქმნის ფრიად შთამბეჭდავ პოეტურ სახეებს: „საზეპუროდ ენა ქართული, სიტყვა ჩუქურთმად ამოქარგული...“ „ღვთისა დიდებად აჟღერებული საგალობელი მრავალხმიანი“:

„დიდ წინაპართა, სიტყვის მგოსნების
ლამპრადანთილი ფოლიანტები,
ვაზის კოწოლში ტევნებჩაწნული,
მარგალიტებად ქარვაასხმული...
ენა ღვთიური, ენა ჯვარცმული,
ქრისტეს ბეჭედი აღუტეხელი,
კვალად აღსდგება ენა ქართული,
წმიდა სამებას მიბარებული“.

მართლაც „რა ჩუქურთმაა ამ ფსალმუნთხმაში... რა სიმთუღერაა ამ გალობაში...“

იღუმენია ქეთევანის პოეზიაში სრულიად განსაკუთრებული და დამსახურებულად საპატიო ადგილი უკავია ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობელს, ჩვენს ბრძენ, ნათელ და სათაყვანებელ დიდ მამას,ჩვენს უწმიდესსა და უნეტარესს კათოლიკოს-პატრიარქს:

„საქართველოს პატრიარქო,
უწმიდესო, მადლიანო,
ღვთივრჩეულო მწყემსმთავარო,
სიბრძნის ქნარო ტკბილხმიანო,
სულიწმიდით განბრძნობილო,
ოქროპირო, ღვთისმეტყველო,
ობოლაო მარგარიტო,
წეს-კანონო სულიერო...
წელთა ჟამი განგიმრავლდეს,
იდღეგრძელე, იმზეგრძელე...“

რამდენად მრავლისმთქმელია დედა ქეთევანის სამადლობელი:

„ვმადლობთ უფალსა,
ყოვლადწმიდასა სამებასა,
ერთარსებასა,
უზენაესსა შემოქმედს ქვეყნის
საქართველოჲს კათალიკოსის ილიაჲსა მავლინებისთვის“

მაინც როგორია დედა ქეთევანის საოცნებო და სანატრელი საქართველო? როგორადაც წარმოუდგენია მას მომავალი ჩვენი ქვეყნისა? მისი სურვილი მისივე კუთხის თანამკვიდრის – ლადო ასათიანისადმი მიძღვნილ ლექსში იკითხება:

„ხომ ლამაზია ეს საქართველო,
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ფართოდ გაშლილი და მოხატული
თამარ დედოფლის დარბაზივითა...“

...თავანკარა და თავისუფალი,
წყაროსთვალივით ლაღი და წმიდა,
ღვთისამიერი, მშვიდი, მდაბალი,
ძლევამოსილი გიორგივითა...“

დასასრულ, კიდევ ერთხელ დავსვათ გალაკტიონისეული შეკითხვა: მაშ, რად უწოდებენო საქართველოს მგოსანთა მხარეს? და ასე უნდა ვუპასუხოთ: ქართველმა კაცმა ლექსით მოაღწია დღევანდლამდე, მისთვის ლექსი სიტყვაა, სიტყვა კი ყოველთვის იყო და იქნება ღმერთი. ჩვენ გვიყვარს სიტყვა, მაშასადამე გვიყვარს ღმერთი. უბრალოდ ცოტა უნდა გავისარჯოთ და ჩვენს სულში ჩვენვე უნდა ვიპოვოთ ღმერთი.

ჩემი წერილი ისევ დედა ქეთევანის ლექსით მინდა დავასრულო:

„ღვთივკურთხეულო მამულო,
ქრისტეს ძალითა ზეობდე.
წმიდათაწმიდა საუფლოვ
იკურთხებოდე!
იბერიელთა ვენახში,
დავითის ფესვი ნერგობდეს,
ენა, მამული, რწმენაჲ
იდიდებოდეს!
სდგე საქართველო უძლეველ,
დიდება შენდა სახიერ,
ძლევაჲ შენი სუფევდეს
მრავალჟამიერ!“

თქვენი პოეზიით, დედა ქეთევან, თქვენც გვეხმარებით და ამ მნიშვნელოვან პროცესში თქვენც შეგაქვთ წვლილი. მადლობა ამისთვის!!!

ფილ. მეცნ. დოქტორი
თამარ ხვედელიანი

`XATWERA CEMTVIS LOCVAA~

(საუბარი ქართული საეკლესიო მონუმენტური მხატვრობის დიდოსტატთან ბატონ ამირან გოგლიძესთან)

მცხეთა – სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი. უწმიდესი და უნეტარესი ილია II მხატვარი ამირან გოგლიძე.

– ბატონო ამირან, დღეს ბევრს ლაპარაკობენ ქართული საეკლესიო მონუმენტური მხატვრობის აღმავლობაზე, რომელსაც თქვენს სახელთან აკავშირებენ; ამასთანავე, ხაზგასმით გამოარჩევენ თქვენს მხატვრობაში ძველი ქართული იკონოგრაფიის განახლებას. ქართული იკონოგრაფიული ტრადიციების რომელ პერიოდს და მიმართულებას ეყრდნობით?

– ქართული ფრესკული მხატვრობის ტრადიცია მრავალმხრივი და ამოუწურავია, რომელიც ძირითადად, VII-VIII საუკუნეებიდან XIX ს-მდე გრძელდება. განსაკუთრებით საინტერესოა XIV საუკუნემდე პერიოდი. ამ პერიოდში არის ხალხური სკოლა, ადრეული და შუა საუკუნეების ზოგადქრისტიანული, ძირითადად, ბიზანტიური გრაფიკული სკოლის გავლენა. ჩვენთვის საკვირველია XII საუკუნის, დავით აღმაშენებლის კარის ეკლესიის მხატვრის, თევდორეს, მხატვრობა. დღეს მსგავსი არ არსებობს, განუმეორებელია. შემდეგ საუკუნეებში განსაკუთრებული აღარაფერი გვხვდება, რადგან, ჩემი აზრით, ბიზანტიის დაცემასთან ერთად, ჩვენშიც ბევრი რამ დაიკარგა. XV საუკუნის მხატვრობიდან საინტერესოა სორის წმიდა გიორგის ეკლესია რაჭაში... სხვაც იყო კიდევ სერიოზული მხატვრების მცდელობა. XIX საუკუნიდან ევროპული სტილი შემოდის, ქართული ხასიათის მხატვრობაც მეტ-ნაკლებად იჩენს თავს; იყო ქართულ-ევროპულ სტილის ერთობლიობაც; ამავე სტილში მუშაობდნენ მამა-შვილი გეგელიძეები... ასეთსავე სტილში მუშაობდა გიგო ზაზიაშვილი... ჩვენ შეგვიძლია წიგნივით გადავფურცლოთ ეს პერიოდები და თუ რამ გემოვნება და მიმართულება გაგვაჩნია, გამოვარჩიოთ ის, რაც ჩვენშია, რაც მახლობელია და რაც მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკას ემყარება. მხატვარზეა დამოკიდებული, თუ როგორ განავითარებს შემდეგ ამ გზას და მიმართულებას. დღეს-დღეობით ძნელია რაიმე სტილის და მიმართულების გამოყოფა, რადგან საუკუნეები სჭირდება ამა თუ იმ სტილის და მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბებას.

– დღეს რომელი მხატვრული სტილია წარმმართველი საქართველოში?

– სხვადასხვაგვარად მუშაობენ, მაგრამ მაინც, ძირითადია შუა საუკუნეების კლასი-

კური სტილისა და გემოვნების მხატვრობის პერიოდი. ეს პერიოდი აღმავლობად ითვლება, სადღაც XI-XIII საუკუნეები. შეიძლება ითქვას, აღორძინება აქედან იწყება. ქართული მონუმენტური მხატვრობის საუკეთესო ნიმუშები ამ დროს არის შექმნილი.

ამას წინათ ზაზა ალექსიძესთან ვსაუბრობდით, წმიდა იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს მხატვრობასთან დაკავშირებით. მეტად გამორჩეული მხატვრობაა, ძალიან სხვა, ძალიან მაღალი დონეა...

– ანალოგი თუ შეგხვედრიათ სადმე?

– სამწუხაროდ, ეს გამოცანასავით რჩება; ძნელია თქმა, სად გაქრა, სად წავიდა ყინწვისის მომხატველი? ნუთუ შემდეგ ერთი პატარა ტაძრის კედელიც არსად მოხატა? ან რატომ აღარსად ჩანს ბეთანიის მომხატველი, ან ტიმოთესი... საოცარია, ასეთ დონეს მიაღწიო, ასეთ სიმაღლეს, ოსტატობას და მერე... ან თავიდან სად იყო? ან მერე სად გაქრა?

– საეკლესიო ხელოვნება, შემოქმედებასთან ერთად, სახე-სიმბოლოთა ეკლესიურ კანონიკას და ტრადიციას მოიცავს, თქვენს მხატვრობაში რამდენად გათავისებულია ეს ყოველივე?

– ჰო, ეგ ისედაც გამჯდარია სისხლძარღვებში და რა თქმა უნდა, ყველაფერი ისწავლება. ეს არის საეკლესიო მხატვრობა, რომელიც აუცილებლად უნდა ისწავლო, როგორც ბავშვი სწავლობს ანბანს და მერე იწყებს სიტყვის წერას, მერე – სუფთაწერას, ათი წლის შემდეგ, თუ შეძლებს – თხზულების წერას და ა.შ. აქ, ამ საქმეში კარგი, გამართული კალიგრაფიც უნდა იყო, კარგი მხატვარიც, კარგი თეოლოგიც... როგორ გითხრა?

– თანამედროვე ქართული საეკლესიო მხატვრობა აღმოსავლურ ტრადიციას ეყრდნობა?

– აღმოსავლურს. დასავლური – ეს ჩრდილსინათლიანი მხატვრობაა და ჩვეულებრივი საერო მხატვრობის სტილია.

– რა არის ის მნიშვნელოვანი რამ, რომელიც თქვენი თქმით, ვერ აღმოაჩინეთ „სიქსტის კაპელაში?“

– სულიერება. ოსტატობა დიდი კი დავინახე, მაგრამ სულიერება – ვერა...

– ხატმწერი თუ ფიქრობს, რომ ის ქადაგებს?

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა; ეს ქადაგებაა თავისთავად, რადგან ხატმწერი რომ ხატავს – ეს უფლის დიდებაა, ქადაგებაა და მასთან ერთად კიდევ... კარგი ტექნოლოგიც უნდა იყოს მხატვარი, უნდა იცოდეს რომელი საღებავით რას აკეთებს და რომელი საღებავი როგორი იყოს, ერთმანეთთან რა კავშირშია ეს საღებავები, შეიძლება თუ არა ერთმანეთთან მათი შერევა, რომელი შეიძლება რომ გამოწვა და ასე შემდეგ.

– გამორჩეულია თქვენი ფრესკების ფერთა სიმსუბუქე. რამდენად ზედმიწევნითაა წარმოდგენილი თქვენს ნახატებში ფერთა სიმბოლიკა?

– დიახ, ყველაფერს სწავლა უნდა. უნდა იცოდე, რას ნიშნავს ცალკეული ფერი და მერე ადამიანი პატარა ფრაგმენტით, ფრესკის ნაგლეჯით და მცირე დეტალითაც კი ხვდება, ვინ არის და რა არის გამოსახული კედელზე.

სამწუხაროა, რომ ქართულ ენაზე არ არსებობს იკონოგრაფიული ლექსიკონი, რომელიც მხატვრებს დაეხმარებოდა, გააცნობოდა, თუ როგორი სახება ჰქონდათ, როგორ გამოიყურებოდნენ წმინდანები, როგორი ჩაცმულობა ჰქონდათ. ამ ყველაფრის იკონოგრაფიული აღწერილობა არის გერმანულ, ფრანგულ, რუსულ ენაზე. რუსებს კალენდარიც აქვთ გამოცემული, სადაც ყველა წმინდანია გამოსახული და აღწერილი, სადაც მრავალი ქართული ნახატი აქვთ გამოყენებული. ჩვენი ხელოვნებათმცოდნეები კი ამ მხრივ მოიკოჭლებენ.

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის სატრაპეზო დარბაზის მოხატულობა
მხატვარი **ამირან გოგლიძე**

– რომელია თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნამუშევარი?

– ის, რომელსაც ვხატავ. იმიტომ, რომ ნახატის დასრულების შემდეგ შეიძლება გული დამწყდეს – რატომ სხვანაირად არ გავაკეთე? ბევრ ნაკლს ვპოულობ ხოლმე ჩემს ნამუშევარში და სიმართლე გითხრათ, ამიტომ, არც ერთი არ მომწონს.

– მაშინ ასე ვთქვათ: რომელია თქვენთვის უფრო მახლობელი ნახატი?

– ის ნახატი – ყველაზე უფრო ახლობელი და საყვარელი, ჯერ კიდევ წინ არის.

– მაშ ყველაფერი წინ ყოფილა.

როგორ დაუკავშირდით მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერს?

– უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით. უწმიდესს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერთან და სატრაპეზოს მოხატვა რომ განუზრახავთ, დედებისთვის ურჩევია, ამირან გოგლიძეს დაუკავშირდითო.

– მოქმედ მონასტერში პირველად გიწევთ მუშაობა?

– მონასტერში კი, პირველად.

– როგორია მხატვრისთვის სამონასტრო გარემო?

– ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს. ჯერ ცოტა მეშინოდა, სიმართლე გითხრათ, მონასტრისათვის მისაღებად რომ არ მოვქცეულიყავი, რაიმე რომ არ შემშლოდა... ახლა კი აქედან წასვლა აღარ მინდა და დედების მიმართ პასუხისმგებლობას ვგრძნობ... აი, ახლა უფლის კვართს ვხატავ და სხვანაირი, განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს ამის მიმართ, მეშინია კიდეც, რაღაც ისეთი ხაზი არ გავავლო, რომ... ხომ წარმოგიდგენიათ, რასაც ახლა ვხატავ? აი, დედებთან დამოკიდებულება კიდევ უფრო აძლიერებს ჩემს ამ განცდას. მათი დიდი სითბო და სიყვარული ჩემს მიმართ, პასუხისმგებლობას მიორმაგებს და მისამკეცებს. დიდი სიყვარული ვიგრძენი მათგან და მინდა იგივე გავაკეთო ჩემი მოხატულობით და მათ სული და გული გავუთბო.

– წმიდა ნინოს დედათა მონასტერში თქვენთვის ყველაზე საგულისხმოს რას გაიხსენებდით?

– თავიდან სამების დიდ ტაძარში რომ ვმუშაობდი და იქ მიჯაჭვული ვიყავი, სამთავროს მონასტერში ისე ხშირად ვერ დავდიოდი. ვშიშობდი, უპასუხისმგებლო ოსტატი ან ხელოსანი არავის ვგონებოდი და ასეთ დროს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი გახდა იღუმენია ქეთევანის ჩემს მიმართ დამოკიდებულება. დედა ქეთევანი ისე მომენდო, რომ მითხრა: „როგორც თქვენ გსურთ, როგორც თქვენ გაგიხარდებათ, ისე იმუშავეთო“. ამან იმხელა ტვირთი ამხსნა – ბევრს ეს არ ესმის; ხშირად ტაძარში მუშაობის დაწყებისთანავე გეკითხებიან: როდის დაამთავრებო? – ეს ძალიან მტკივნეული კითხვაა, რადგან ყველაფერს ფიქრი, საორგანიზაციო მხარის მოწყობა და დრო ჭირდება; ხოლო შემდეგ ყოველივეს უნდა გაშორდე, ყველაფერი უნდა ჩამოიფერთხო, რაც შენს გარშემოა და მარტო უნდა წარსდგე უფლის წინაშე და კედლის წინაშე და სთხოვო: – უფალო მომეც ძალ-ღონე, რომ ეს სირთულე დამაძლევინო, რომ შევძლო და გავაკეთო... – და ამ დროს ისეთი უსაფუძვლოა კითხვა – „როდის დაამთავრებო?“, როცა ჩვენ უფალზე ვართ მინდობილი და ყველაფერი უფლის ნებაა და როცა მომცემს საშუალებას, დავამთავრებ...

„როდის დაამთავრებ?“ – აი, ეს კითხვა არ იყო მონასტერში. დედა ქეთევანს ეს ჩემთვის არც უგრძნობინებია და არც უკითხავს. ეს იყო ყველაზე სათნო დამოკიდებულება მხატვრის მიმართ. ეს იყო კრძალვა თუ პატივი – არ ვიცი, რა დავარქვა იმ იშვიათ მიდგომას, რომელიც შეიძლება არც კი მქონდეს ვინმესგან. სამთავროს მონასტერში რაღაც სიღრმისეული გაგება იყო მხატვრობისა.

– საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მხატვართუხუცესი გიწოდათ... თქვენ რას გვეტყოდით უწმიდესზე, როგორც მხატვარზე და როგორც მოძღვარზე?

– ეს ისეთი რამ არის... საქართველოში დღეს არ მეგულება ადამიანი, რომელიც პატრიარქისგან არ გრძნობდეს სითბოს და დიდ სიყვარულს. უწმიდესმა ერთხელ ფურცელზე დაწერილი გადმომცა: „ეცადე ისე იცხოვრო, რომ ყოველი ადამიანი გლოცავდესო“. რა თქმა უნდა მე ამას ვერ

შევძლებ, მაგრამ თავად კი ნამდვილად შეძლო უწმიდესმა ის, რომ ყოველი ადამიანი ლოცავს მას.

რაც შეეხება მხატვრობას, ამ საქმისადმი განსაკუთრებული განწყობა აქვს; უწმიდესი თვითონ არის არაჩვეულებრივი მხატვარი და ისეთი განცდა და ხედვა აქვს... ჩვენ ხანგრძლივი ურთიერთობაც გვქონია, როდესაც საპატრიარქოს დარბაზში, პრაქტიკულად, ერთად ვხატავდით, როგორც იტყვიან: ფუნჯი აუღია ჩემს გვერდით მდგარა და ერთად ვხატავდით, რა თქმა უნდა იმდენხანს, რამდენი ხნის საშუალებასაც დრო აძლევდა.

გეტყვით კიდევ, არ არსებობს ტაძრის მოხატვის შემთხვევა, ბრძოლები რომ არ ახლდეს. ბოროტი განსაკუთრებით იბრძვის, როცა შენ წმიდანის სახეს უკვდავყოფ და მას ეკლესიაში ამკვიდრებ. ბრძოლა სხვადასხვა სახისაა: ვიღაც აგიხირდება: ოჯახის წევრი, გვერდით მყოფი ან მეზობელი, ან სხვა სახის განსაცდელი დაგატყდება. ხანდახან მუშაობისას არაფერი არ გამოგდის და იტყვი: ამ კედელს შევეჯახები და არ არის ეს ჩემი საქმეო; ძნელია, ძალიან ძნელია ლაკონურად გააკეთო და გადმოსცე სახარება, რომელიც უბრალოდ და გულში ჩამწვდომად არის ნათქვამი. ასეთი მხატვრობის შექმნა კი ძალიან ძნელია და ამ დროს გამოჩნდება ხოლმე უწმიდესი, შემოვა... განსაკუთრებით მაშინ შემოვიდოდა, სამების დიდ ტაძარში რომ ვმუშაობდი. ლოცვის შემდეგ შემოვიდოდა, დამადებდა თავზე ხელს და მეტყოდა: „ნუ გეშინია, ამირან, ნუ გეშინიაო“. ამას მეტყოდა და თქვენ წარმოიდგინეთ, იმხელა ძალა მოდიოდა, ეს ისე მამხნევებდა, რომ ჩემთვის, პრაქტიკულად, წინააღმდეგობა აღარ არსებობდა არანაირი. ასეთია მისი დამოკიდებულება ჩემს მიმართ და არა მარტო ჩემს მიმართ. ხშირად მეტყვის: ეს ასე კი არა, ისე ჯობს გააკეთოო. იმ წუთს არ ვეთანხმები, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ უწმიდესის შენიშვნა მართლდება. იგი უფრო შორსმჭვრეტელია და ამიტომაც მეუბნება: მოწაფეები უნდა გყავდეს, ამირან, აუცილებლად, რომ ეკლესიის წიაღში ბევრი მხატვარი დარჩესო“. მე ვიტყვი, რომ თუკი რამე შევძელი და გავაკეთე, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ეს ყველაფერი უწმიდესის დამსახურებაა.

— ბატონო ამირან, თქვენ ზემოთ აღნიშნეთ, რომ ხატმწერი რომ ხატავს, ეს უფლის დიდებაა. მაგრამ ხატმწერები კონკრეტულად რომელ ლოცვას წართქვამენ?

— რა თქმა უნდა, ხატწერა ჩემთვის ლოცვაა. უწმიდესიც ბრძანებს: შენ, ამირან, როცა ხატავ, ეს იგივე ლოცვაა შენიო და მე ჩემთვის ვფიქრობ, რაც შეიძლება მეტი მოვასწრო. უწმიდესის სიტყვები ჩემთვის შვებაა, რადგან მე ვხატავ და ეს ჩემი ლოცვაა.

ლოცვა ხატმწერებისათვის

(ამირან გოგლიძის ხელნაწერი, „მდივან-ბეგური კალიგრაფიით“ შესრულებული)



ესაუბრა **მარიამ ნიაური**

WMIDA IOANE (MAQSIMOVICI)

QRISTES EKLESIA AR DAKNINDEBA

წმიდა იოანე მაქსიმოვიჩი
(1896-1966)

ქრისტეს მიწიერი ცხოვრების დროს წმიდა მოციქული მატათა თორმეტ მოციქულთა რიცხვში არ იყო, არამედ იგი სამოცდაათ მოციქულთაგანი გახლდათ. წმიდა მატათა თორმეტ მოციქულთა დასში შეირაცხა უფლის ამღლების შემდეგ:

ერთხელ წმიდა პეტრე მოციქულმა ლოცვაზე შეკრებილი უფლის ას ოცი მოწაფის ყურადღება მიაქცია იმას, რომ მოციქულთა დასიდან განვარდა იუდა ისკარიოტელი, რომელიც იქმნა გამყიდველი და შეახსენა მათ 108-ე ფსალმუნის სიტყვები, სადაც სულიწმიდა დავით მეფსალმუნის პირით ამბობს ურჯულოზე, რომ: „ეპისკოპოსობა მისი სხვამან მიიღოს“ – ანუ მისი თანამდებობა, დაე, სხვამ მიიღოსო. ფსალმუნის ამ სიტყვების აღსასრულებლად, პეტრე მოციქულმა მათ შესთავაზა გამოერჩიათ ორი მოწაფე და ისინი წინაშე ღმრთისა წარედგინათ და რომელზეც მიანიშნებდა უფალი, ის თორმეტ მოციქულთა შორის შეერაცხათ. წილის საყრელად გამოარჩიეს მატათა და იოსები (რომელსა ერქვა ბარსაბა). წილისყრით უფალმა მატათაზე მიანიშნა, და იგი თორმეტ მოციქულთა შორის შერაცხეს.

ასე შეივსო ქრისტეს თორმეტი მოციქულის დასი და მატათამ მაცხოვრის ზეცად ამაღლების შემდგომ სხვა მოციქულების თანაბრად მიიღო მადლი და ხელმწიფება და ისიც მათსავით ქადაგებდა, სნეულებს კურნავდა, სასწაულებს აღასრულებდა და ევნო ქრისტესთვის.

ღრმად დამაფიქრებელია ჩვენთვის ეს ამბავი, რომელიც გვასწავლის, რომ ქრისტეს ეკლესია არასოდეს არ დაკნინდება და არასოდეს არ დარჩება მისთვის საჭირო მსახურთა გარეშე: „აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“ – თქვა უფალმან (მათე 16, 18).

ეკლესია არის ჭეშმარიტი სარწმუნოების ყოველთა მპყრობელთა სულიერი კავშირი, რომლის მეთაური თვით უფალი იესო ქრისტეა და რომელსაც თავისი ეკლესიის წევრთა სულიერი სრულყოფა სურს.

ეკლესიის მიწიერი, ამქვეყნიური ნაწილი, რომელიც თავის შვილებს ზეციურში გადასასვლელად ამზადებს, მიზნის მისაღწევად, სულიერ მწყემსებს და სხვა მსახურებს საჭიროებს. ეკლესია უძლეველია ჯოჯოხეთის ბჭეთაგან, მისი მადლი ულევია და არასოდეს არ მოაკლდება ის, რაც მისთვის საჭიროა.

ღმრთის დიდი მოწყალებაა მოციქულთა რიცხვში წოდებულად ყოფნა, მაგრამ ვისაც ეს მიენიჭება, ყველა არ არის ამის ღირსი და მრავალი წოდებული რჩეულად არ გამოჩნდება. მოციქულთა დასიდან მხოლოდ იუდა არ გავარდნილა. მოციქულთა მიერ დადგენილი პირველი შვიდი დიაკვანის რიცხვიდან ერთი განვარდა ეკლესიიდან – ნიკოლოზ ანტიოქიელი, რომელიც მის მიერ დაარსებული სექტის ქურუმი გახდა; სამოცდაათ მოციქულთა რიცხვიდან – ოთხი განუდგა ქრისტიანობას, მაგრამ ამის გამო ეკლესია არ დამცრობილა და დარჩა მთლიანი – დატევებულ ადგილებს სხვები, მათზე უფრო ღირსეულნი იკავებდნენ.

მიუხედავად დიაკვან ნიკოლოზის განდგომილებისა, ეკლესიაში სადიაკვნე დასი დაემყარა, აღორძინდა და დღემდე მსახურებს.

შემდგომ, გვიანდელ პერიოდში, მიუხედა-

ვად ეპისკოპოსთა, სამღვდელოთა და ეკლესიის სხვა მსახურთა განდგომილებისა, ეკლესიას ზიანი არ მიყენებია და მათ ადგილს სხვები იკავებდნენ. კონსტანტინეპოლის პატრიარქი ნესტორი მწვალებლობაში განვარდა და იგი მასზე უფრო ღირსეულმა, წმიდა ანატოლიმ შეცვალა; დიოსკორე

წმიდა მოციქული მატათა[1] – თორმეტი მოციქულის დასის აღმავსებელი; ეკლესიისგან განდგომილთა და გამცემელთა ადგილთა ღირსეულებით აღმავსებელი.

ალექსანდრიელი მონოფიზიტობაში განდგა და სხვა იერარქნი კიდევ – სხვა მწვალებლობაში, მაგრამ ეკლესია განუყოფელი რჩებოდა და განვარდნილთა ადგილს ღირსეულნი და ხშირად წმიდა მამები ენაცვლებოდნენ.

დევნულების ჟამს ქრისტეს მრავალი კლირიკოსი განუდგა და ბევრი კი მიწიერი ანგარებით ტოვებდა წმიდა ხარისხს, პირადი უძლურებით, კლირიკოსობიდან საერო მდგომარეობაში გადადიოდა. მაგრამ რა მიზეზითაც არ უნდა ექნათ ეს ეკლესიის მსახურებს, ქრისტეს სარწმუნოებას ღალატობდნენ, თუ მხოლოდ თავიანთ ხარისხს ტოვებდნენ – ამით ეკლესია არასოდეს დაკნინებულა.

ეკლესიიდან განდგომილთა ადგილებს მუდამ სხვები ავსებდნენ და ხშირად ისინი, ვისაც განდგომილნი თავის დროზე ზემოდან დასცქეროდნენ და თავის მონაცვლედ ვერც კი წარმოიდგენდნენ.

ღვთის ეკლესიას არასოდეს მოაკლდება მისთვის საჭირო მთავარეპისკოპოსთა, სამღვდელოთა, დიაკონთა, წიგნის მკითხველთა, მგალობელთა და სხვა სახის მსახურთა რიცხვი; ამიტომ იმათ, რომლებიც წოდებული არიან საკურთხეველში, ან კლიროსზე მსახურებად, უნდა გულისხმაყონ, რათა უღირსად არ გამოჩნდნენ და არ განვარდენ ეკლესიიდან. ეკლესიის ისტორია გვიჩვენებს, რომ ეკლესიაში შეუცვლელი პირები არ არსებობენ და სულიწმიდა ყოველთვის მონახავს, თუ ვისით შეავსოს უღირსი მსახურის ადგილი. დიდი მოწყალებაა ღვთისგან ეკლესიაში მსახურების მონიჭება, ქვეყნიურ ზეცაში – საკურთხეველში შესვლა, წმიდა საიდუმლოსთან მიახლება და უგალობდე, ანუ აღავლენდე საეკლესიო ლოცვებს. ამიტომ, მადლით ღირსყოფილი მსახური თავის საქმეს კრძალვით უნდა აღასრულებდეს, მას უნდა ახსოვდეს ფსალმუნთმგალობელის სიტყვები: „ჰმონეთ უფალსა შიშით და უგალობდით მას ძრწოლით“; აგრეთვე უნდა გვახსოვდეს წინასწარმეტყველური სიტყვები: „წყეულ იყავნ მოქმედნი საქმისა უფლისასა უდებებით“ (იერემია 48,10).

„ეკრძალენით, ნუუკუე ვინმე იჯმნეთ მეტყუელისა მისგან“ – ფრთხილად იყავით, ზურგს ნუ მიაქცევთ ამის მთქმელს (ებრ. 12,25); „იპყარ, რომელი ეგე გაქუს, რაითა არავინ მიგიღოს გვირგვინი“ (გამოცხ. 3.11).

საზარელია წმიდა ადგილის შეუღირსებლობა, ან ორგულებით მისი დატევება. მრავალმა, ვინც წმიდა მსახურება დაკარგა, შემდგომ გააცნობიერა თუ რას მოაკლდა და პიველ ღირსებაში დაბრუნება ისურვეს, მაგრამ კარი უკვე დაკეტილი დახვდათ, ვითარცა უგუნურ ხუთ ქალწულს.

ხსენებითა მოციქულისა მატათასი და ლოცვითა მისითა, განვძლიერდეთ უბიწოდ ღვთისმსახურებაში, რაითა არა მოვაკლდეთ ქვეყნად წმიდა ადგილს და ღირსვიყოთ ზეციურისა სასუფევლისა ღვთისა, სადაცა აწ წინაშე საყდრისა უფლისა წარდგომილ არს თორმეტ მოციქულის დასის აღმავსებელი, მოციქული მატათა.

თარგმნა **მარიამ ნიაურმა**
„Русский пастырь“ №40. 2001 წ.
9 აგვისტო 1940 წელი, შანხაი

1. დაკრძალულია საქართველოში (აჭარაში, გონიოს ციხეში)

SARMRTO SURISGEBISATVIS

ხოლო შორის იფქლთა მათ წმიდათა იპოვა ერთი ვინმე, ვითარცა ღვარძლი სარწებს აღმოცენებული, დიაკონებასა შინა და ტფილისს აღზრდილი საჰაკ ამირისა ისმაელის ძისაგან და მოციქულად მავალი აშოტ კურაპალატსა წინაშე, რომელმანცა იხილა ანჩისა ეპისკოპოსი გარდაცვალებული და მიშვებითა აღურაცხელად სულგრძელისა ღმრთისაითა, საჰაკ ამირისა მიერ მოითხოვა ანჩისა საყდარი აშოტ კურაპალატისაგან უკეთურმან მან ცქირმან. და რაჟამს მძლავრებით დაიპყრა ანჩი, კვალად შესძინა ძვირი ძვირსა მისსა ზედა მრავალი, რომლისა მოხსენება ამას წიგნსა შინა არა ჯერარს შთაწერად ყოველი.

ხოლო უწესოება მისი მრავალგზის ემხილა წმიდათა მათ პირველთა კლარჯეთის მეუდაბნოეთაგან მამათა და ყოველთა მათგან სამწყსოთა კათოლიკე ეკლესიისათა, უფროის ხოლო მამისა გრიგოლისგან, რამეთუ არქიმანდრიტი იყო იგი დიდებულთა მათ უდაბნოთა. ხოლო მან სრულიად საღმრთო შიში განაგდო ამპარტავანებისაგან ძლეულმან და ფარულად მოუწოდა ერისკაცსა ანჩელსა, ლირბსა და გლახაკსა და მაგრიად მოისარსა, და აღუთქვა მიცემად სამი გრივი ფეტვი, ხუთნი თხანი და წარავლინა ხანძთად მოკლვად მამისა გრიგოლისა. და გზას ვისგანმე ცნა, ვითარმედ არს იგი ხანძთისა აგარაკსა და დღეს მოვალს შინა. მაშინ წარვიდა მზირად ტყესა მას ხანძთისასა და მშვილდი გარდაცვმული ხელთა აქვნდა.

ხოლო ნეტარი მამა გრიგოლი თვისით აგარაკით მარტო შთამოვიდოდა ხანძთას და მგზავრ სლვასა ზეპირით წმიდისა მამისა ეფრემის თქმულთა საკითხავთა იტყოდა გოდებით ტირილსა შინა. ხოლო სულითა იხარებდა, რამეთუ ხედვიდა საღმრთოთა ხილვათა მადლითა სულისა წმიდისაითა. მაშინ საწყალობელმან მან კაცმან იხილა სასწაული დიდი წმიდასა მას ზედა ზეგარდმო, რამეთუ სვეტი ნათლისა

წმიდა მამა გრიგოლ ხანძთელი
მინიატურა

ფრიად ბწყინვალე ცად აღწევნული ჰფარვიდა მას. და იყო თავსა მისსა ჯვარი თვალთშეუდგამი გარემო მისსა ცისარტყელის სახედ, შვენიერად რაი გამოჩნდის ჟამსა წვიმისასა.

ესე დიდება მის ზედა იხილა კაცმან

მან და ფრიად ძრწოლამან შეიპყრა იგი, რამეთუ დაჰხსნდეს ძარღვნი მკლავთა მისთანი და ზარისა მისგან დიდისა დაცემული იდვა ქვეყანასა ზედა.

ჰრქვა მას ნეტარმან გრიგოლ: „ჰოი საწყალობელო, ყავ ბრძანებული მისი, რომელმან მოგავლინა შენ, რამეთუ შენ ხარ უარისმყოფელი ქრისტეანობისა, ვინაითგან უნდოისა სასყიდელისათვის უბრალოისა ბერისა კაცისა სისხლთა გარდაისხამ. ანუ არა სამისა გრივისა ფეტვისათვის და ხუთთა თხათათვის მოსრულ ხარა მოკლვად ჩემდა, ჰოი უგუნურო?“

მაშინ კაცი იგი ტირილით ევედრებოდა მას: „შემიწყალე, წმიდაო ღმრთისაო, განწირული ესე მკვლელი შენი და მივემსგავსე ქრისტესა მკვლელთა თვისთა მონანულთა შემნდობელსა, რამეთუ არა დაშთა ძალი ჩემი ჩემ თანა საშინელისა ხილვისა შენისაგან, რომელმან დამაკვეთა მე“.

მაშინ წმიდამან მან წყალობით ჯვარი დასწერა და განკურნა იგი, რამეთუ მრავალი გვემა დაცემულ იყო მის ზედა, და სიხარულით განუტევა სახიდ თვისად.

ხოლო კაცმან მან ყოველი იგი ყოფილი უთხრა ცქირსა: და იგი უფროისღა აღბორგნა და შესძინა სიბრმე სიბრმესა ზედა.

და მრავალი ბოროტი შეამთხვია მამასა გრიგოლს და მის ჟამისა წმიდათა მამათა და სხვათაცა მორწმუნეთა ერისკაცთა. და რომელნი მარადის სამართლად ამხილებდეს მას, მათვე ერთობით აუწყეს ყოველი დიდსა მას ხელმწიფესა აშოტ კურაპალატსა. და ბრძანებითა მისითა ყოველთა მათ მოწესეთა ანჩისა კათოლიკე ეკლესიისათა წიგნი მისწერეს ქართლისა კათალიკოსისა მიმართ, და მის მიერ ეპისკოპოსნი ღირსნი მოიწინეს ანჩს და მათ თანა შემოკრბეს ყოველნი იგი მეუდაბნოენი მამანი.

და სასწაულთა მოქმედი ნეტარი დედა ფებრონია მივიდა კრებასა მას წმიდასა მიმსგავსებულსა პირველთა მათ წმიდათასა და ყოველნი მღდელნი, მრემლნი ანჩისანი მათ თანა, და წინაშე ეპისკოპოსთა მათ წარმოუთხრეს ცქირისა სამართალი, უშჯულოება მისი, სარწმუნოთა მათ სასწაულთა მოქმედთა კაცთა წარმდები მიზეზი აუგთა მისთა პირისპირ.

მაშინ სარწმუნოთა მათ მღდელთმოძღვართა განკვეთეს იგი პატივისაგან მისისა. და მამამან გრიგოლ და დედამან ფებრონია შემოსილი საკურთხეველით შთამოიყვანეს და წინაშე საკურთხევლისა განძარცვეს და ყოველთა ერთობით განხადეს კათოლიკე ეკლესიით, ვითარცაღა ასო დამპალი, მწვალებელთაებრ ყოვლით-კერძოვე შჯულისა გარდამავალი განიდევნა იგი. ხოლო მას, ვითარცა განეშორა შეწევნა ღმრთისა, ღონე ყოველი დაელია და ტფილისს წარვიდა საჰაკ ამირისა, პატრონისა თვისისავე. და წყინებითა მისითა რეცა მიეშვა კურაპალატი, და კვალად მძლავრებით დაიპყრა ანჩისა საყდარი, რათამცა შურ იგო მამისა გრიგოლის ზედა.

მაშინ შეკრიბა ერი ანჩისა და წარავლინა დარღვევად ხანძთისა, და აღმოსვლასა ოდენ მზისასა მივიდეს. ჰრქვა მათ მამამან გრიგოლ: „შვილნო, დრო მეცით მე და ძმათა ჩემთა ვიდრე შუადღემდე, რათა წმიდასა ეკლესიასა ვყოთ ვედრება წინაშე ქრისტესა და შევიწიოთ წმიდა გიორგი და ყოველნი წმიდანი. და ყოს უფალმან სასწაულ კეთილ“. ხოლო მათ ისმინეს სიტყვა მოხუცებულისა მის ამისთვის, რამეთუ

ეხილვნეს მისგან სასწაულნი.

და ჟამსა მას ცრემლით ვედრებისა მათისასა ისმინა უფალმან თხოვა მათი და წმიდისა ანგელოზისა მიერ ეუწყა მათ, ვითარმედ: „საღმრთო შურისგება ეწია ბოროტსა მას მტერსა თქვენსა. და აჰა მოიწიოს ქადაგი, ვითარმედ: მოკვდა იგი, დაღაცათუ ორ დღე ცოცხალ ამისთვის არს, რათა ვერ ღირს იქმნეს დამარხვად საყდარსა საეპისკოპოსოსა. და ყოველთა ჰრწმენეს განკვეთა მისი, ხოლო გული მისი აწვე მომკვდარ არს“.

და ვითარცა ესე ხმა სიხარულისა მათისა ესმა ანგელოზისაგან ანგელოზთა სწორთა მამათა, განიხარეს ფრიად და დიდება შეწირეს ღმრთისა, რომელმან ყვის საკვირველი მხოლომან. და გულისხმაყვეს წერილისა, ვითარმედ: „უგუნური რისხვამ მოკლის“, რომელი მარადის უწესობას იწვრთიდა და მართალთა თანა შეერაცხა თავი თვისი“.

მაშინ გამოვიდა ეკლესიით მხიარული ნეტარი გრიგოლ და ჰრქვა მათ: „ნუღარა გეშინინ თქვენ მძლავრებისაგან მომავლინებელისა თქვენისა, რამეთუ უფალმან რისხვით მოკლა იგი“.

და მოხოლოიწია კაცი, რომელი ეტყოდა კაცთა მათ: „ნუღარა იკადრებთ დარღვევად დიდებულსა ხანძთასა, რამეთუ დამარღვეველი მაგისი მოკვდა“.

მაშინ განიხარეს კაცთა მათ. ხოლო მამათა ისტუმრნეს და სიხარულით წარვიდეს სახით თვისად და ადიდებდეს ღმერთსა.

ხოლო პირველსავე სიტყვასა მივიდეთ.

რამეთუ ცქირმან რაჟამს წარავლინა ერი იგი ხანძთას, მაშინ თვით წარვიდა ქორთას, რამეთუ მუნ ნამარხევი მისი იყო, რათამცა წარიღო. და გზას, ვითარცა პური ჭამეს, მიერულა და საშინელი ჩვენება იხილა, სამხილებელი ბოროტთა საქმეთა მისთა, უფროდ ხოლო ხანძთელთა ბოროტისყოფისათვის. მაშინ საღმრთო ვინმე მღდელი ანჩელი იყო მის თანა. და უფალმან გამოუცხადა ბოროტად სიკვდილი ცქირისა. და მან მღდელმან წარავლინა თვისი მოწაფე ხანძთად და დამტკიცებულად აუწყა სიკვდილი ცქირისა. და ვითარცა მიიწია ცქირი ქორთას, მოკვდა ხოლო და მუნ დაჰფლეს უფლისა მეორედ მოსვლადმდე.

და რაჟამს განქარდა განსაცდელი იგი მის ჟამისა, მაშინ წმიდამან მან საყდარმან ქირსტეს ღმრთისა ცხოველისა ხატისამან სიხარული მშვიდობის ყოფისა მიჰფინა სამწყსოთა თვისთა ზედა კეთილთა მწყემსთა გამობრწყინვებითა. ხოლო უკვანაისკნელთა ამათ ჟამთა ჩვენთა გლახაკნი იხარებენ მადლითა უფლისადთა, ოხითა საუკუნითგან წმიდათადთა და ხორციელად მოღვაწებითა მეფეთა ჩვენთა დიდებულთადთა, რომელნი იყვნეს კეთილად ღმრთისმსახურ, წმიდათა ეკლესიათა აღმაშენებელ, ბარბაროზთა ბანაკსა დამარღვეველ, ჭეშმარიტთა ქრისტეანეთა სიქადულ და მოწესეთა სიხარულ.....

გიორგი მერჩულე
„შრომა და მოღვაწეობა...
წმიდისა გრიგოლისი“

* * *

წმიდა ექვთიმე ათონელი
სამთავროს მონასტრის ძველი
ხატის ფრაგმენტი

მბრძოლი იგი წმიდათა და მოშურნე კაცთა ცხოვრებისა ბელიარი ხედვიდა რა სულიერთა ამათ წესთა, რომელ დაესხნეს მამასა ჩვენსა ეფთვიმეს, და წარმატებას ძმათასა და თარგმნასა წიგნთა საღმრთოთასა, ფრიად ელმოდა და განილეოდა შურითა. და პოვა ვინმე საწყალობელი სახითა მონაზონი და აღძრა იგი მოკლვად წმიდისა მის, რამეთუ გამოუჩნდა და ჰრქუა მას, ვითარმედ: „უკვეთუ მოჰკლა მბრძოლი ჩემი ეფთვიმე, ფრიადი კეთილი ვყო შენ თანა“. ვინაცა შეიმზადა მახვილი და ენება მოკლვა მისი, არამედ ცუდ-ყო ღმერთმან განზრახვა მისი, რამეთუ დღესა ერთსა, აღვიდა რაჲ გოდლად და დაჰხშა კარი მოწაფემან და თვით შთავიდოდა თვისსა სენაკსა. და ვითარცა მცირედ შთავლო კიბეთა გოდლისათა, შეემთხვია მას განცოფებული იგი მონაზონი და ჰრქვა, ვითარმედ: „წინაშე მამისა აღვალ და მიჟამე“. ხოლო იგი ეტყოდა, ვითარმედ: „არა ჯერარს ესრეთ უჟამოდ აღსლვა მამისა“. და იგი ეტყოდა: „შეუძლებელ არს ვითარმცა არა აღვედ!“. და ვითარცა არა უტევებდა აღსლვად სანატრელი იგი მოწაფე მამისა, მეყსეულად განცოფებულმან მან იხადა მახვილი იგი საეშმაკო და ესრეთ უწყალოდ დაჩხვეპა სანატრელი იგი ძმა და თვით ივლტოდა წარსვლად, და ვითარ იგი ივლტოდა, შეემთხვია მას სხვაცა მოწაფე მამისა და იგიცა დაჩხვეპა მახვილითა. ხოლო იქმნა რაჲ ხმა და ამბოხი, ცნა ესე წმიდამან მამამან ჩვენმან და მეყსეულად შთავიდა და სრულ ყვნა იგინი სქემითა და აზიარნა წმიდათა საიდუმლოთა. და ესრეთ გვირგვინითა წამებისაითა შემკულნი მიიცვალეს წინაშე ღმრთისა. ხოლო მედგარმან მან აღიარა მტერისა მიერი იგი აღძვრა თვისი და ღირსად უკეთურებისა თვისისა მწარედ წარჰხდა უბადრუკი იგი სული მისი.

...კვალად, სხვასა ჟამსა აღძრა ეშმაკმან მებოსტნე მონასტრისა და აზრახა მოკლვა წმიდისა მის (წმიდა ექვთიმესი – რედ.) და ვითარცა ხელყო, მეყსეულად უქმ იქმნა ხელი მისი და დაშთა ვითარცა შეშა განხმელი, ვიდრემდის აღიარა ყოველი და ლოცვითა მისითა მიიღო კურნება და ადიდებდა ღმერთსა.

გიორგი მთაწმიდელი
„ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი“

PETROS MKAWVRELISATVIS, ALAJORIS MARXVISA DA SUBSARQISISATVIS

დიდი საეკლესიო მოღვაწე ბერის, მიხეილ საბინინის წიგნში, „საქართველოს სამოთხე“, მოთხრობილია „სუბსარქისის მარხვის“, იგივე „ალაჯორის“ მარხვის შესახებ, რომელსაც სომეხი მონოფიზიტები ინახავენ მართლმადიდებელთა „მეზვერისა და ფარისევლის კვირაში“. მკითხველს მოკლედ ვაცნობთ თხზულებას ამ მარხვის შესახებ.

სომხეთის ქვეყანაში პეტროს მკაწვრელი მონოფიზიტურ მწვალებლობას ქადაგებდა; იგი ყოვლითურთ გმობდა ღმერთს და სჯულს, წმიდათა და დიდთა კრებათა და ღმერთშემოსილთა მამათაგან დამტკიცებულს. პეტროს მკაწვრელი ყოველგვარ საცთურს იქმოდა ეშმაკის მიერ და წვალებაში განსწავლიდა სომეხ ხალხს.

პეტროსს ჰყავდა გაწვრთნილი ძაღლი ალაჯა, რომელიც გრძნებით რათმე ჰყავდა განსწავლილი და ეშმაკის თანადგომით, ყოველგვარ საოცრებას იქმოდა. ერთხელ სამისნოდ წარგზავნილი ეს ძაღლი მოკლეს, ხევში ჩააგდეს და ქვა მიაყარეს. პეტროსმა ახლო-მახლო სოფლებში მძებნელი დააგზავნა და, რომ ვერსად იპოვა გრძნებით შემშჭვალული თავისი ძაღლი, იმ მხარის მოსახლეობას განუწესა, ემარხათ და ელოცათ, რათა „ღმერთს მისთვის გამოეცხადებინა“, თუ რა შეემთხვია თავის ძაღლს, ალაჯას. მაშინ ორშაბათიდან შაბათამდე იმარხა სომხეთის იმ კუთხის ყოველმა მკვიდრმა და პეტროსს, ეშმაკის მანქანებით, ეჩვენა ალაჯა ძაღლი, რომელიც მას უხმობდა: „ხევს შინა ვარ მე მკვდარიო“. პეტროსმა ხალხს აუწყა, რომ ეს „დიდი სასწაული“ იყო და სრულიად სასომხეთში ყოველი წლის იმ დროისათვის მარხვა განაწესა. ეს მარხვა არის პეტროს მკაწვრელის (მისნის) მიერ დადებული სჯული, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესიის მიერაა შეჩვენებული და წმიდა მსოფლიო კრებათა მიერ დაგმობილი. ქალკედონის IV მსოფლიო კრებამ შეაჩვენა მონოფიზიტური სწავლება „შემცა იჩვენების ყოველი მმარხველი ალაჯისათვის და სუბსარქისისათვის“[1].

ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელმაც შეაჩვენა მონოფიზიტები

მოგვიანებით, პეტროს მწვალებლის მიერ აგებულ გაიდას ტაძარში, გადმოასვენეს სომეხი ბერის სუბალ სარქისის

1. „აწინდელ სომეხთა სუბსარქისის მარხვა, ალაჯა ძაღლის მარხვა არის“ – მიქაელ საბინინი – გვ. 631; სუბსარქისის კვირა, რომელიც ფარისევლისა და მეზვერის კვირას ემთხვევა, მკვდარი ძაღლის სახელზე მარხვაა“ – „პიდალიონი“; ალაჯორის მარხვა სომხებმა დვინის საეკლესიო კრებაზე დააკანონეს –მ.ნ.

ცხედარი. იგი მონოფიზიტებმა წმიდანად გამოაცხადეს და ალაჯორის მარხვას უწოდეს „სუბსარქისის მარხვა“. მას შემდეგ სომხები სუბალ სარქისისათვის ლოცულობდნენ და ალაჯორის მარხვას ინახავდნენ; ხოლო პეტროს მკაწვრელის ყოვლადმწვალებლობა და მის მიერ სომხეთის ქვეყნის რჯულგადახდომა მთელ მართლმადიდებელ სამყაროს ეუწყა. იერუსალიმის, ანტიოქიის, ალექსანდრიის პატრიარქებმა და რომის პაპმა ჯერ კიდევ საბოლოო განხეთქილებამდელ პერიოდში შეაჩვენეს პეტროსი და ყოველი, ვინც ალაჯორის მარხვას ინახავდა, ვინც სუბსარქისისათვის ლოცულობდა და მონოფიზიტურ სჯულს მისდევდა და ყოველნი, ვინც ისმენდა მათ სწავლას და არ შეაჩვენებდა მათ სჯულს – ანათემირებულყვეს და წართქვეს: „კრულ იყავნ საუკუნოდ, რამეთუ მან, ღვთივმოძაგებულმა პეტროსმა, „სამწმიდა არსობის“ დიდებისმეტყველებას დაურთო „წმიდაო უკვდაო, რომელი ჩვენთვის ჯვარს ეცვი, შეგვიწყალენ ჩვენ“ და სომხურმა მონოფიზიტობამ „საშუალ ჯუარისა სამსჭუალისა განწონა“[2] და მანვე, პეტროსმან, დააკანონა მონათვლა ჯვარისა.

და განა ვინ უნდა იყოს ესოდენ გონებამიხდილი, რომ ზეციურ ძალთაგან მოცემული დიდებისმეტყველება წმიდა სამებისა დაუტეოს და უსჯულო პეტროსის სწავლას შეუდგეს?! – იმ პეტროსის, რომელიც წვერს ოქროსფრად იღებავდა, რომელიც წმიდა მამათაგან შეიჩვენა და განიკვეთა ანტიოქიის საყდრიდან და მანვე წყეულმან არა თქვა წირვასა შინა „უმეტესად ყოვლადწმიდისა“ და არ აღიარა ღვთისმშობლად ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი, და დაგმო, როგორც ეს მან ბილწი ნესტორისაგან ისწავლა...

ღვთისმგმობელი პეტროსი შემაღლებულ რამ საყდარზე იჯდა ბრჭყვიალა სამოსლით და გრძელ სამკლავეს (სახელოს), მაჰმადიანთა წესისამებრ, მიუგდებდა ხოლმე თაყვანისცემად მისულ სომხებს. და ისინიც, როგორც ხალიფას, ემთხვეოდნენ სახელოზე.

მონოფიზიტური მწვალებლობა საქართველოსაც მოსწვდა და პეტროს მკაწვრელმა შემოუთვალა ქართლის ეპისკოპოსს, ნეტარ მიქაელს, რათა მისი მწვალებლობის აღმსარებელი გამხდარიყო და ზიარებოდა მის სჯულს. პეტროს მკაწვრელმა ეს ყოველივე წერილობით შეუთვალა ეპისკოპოსს ქართლისას.

ხოლო მიქაელ ეპისკოპოსი შეჭურვა სულმან წმიდამან, როგორც დავითი გოლიათის წინააღმდეგ, და მცხეთიდან გავიდა სხვა ეპისკოპოსთა, მღვდელთა და მორწმუნე ერის თანხლებით. გზად ნეტარ მიქაელს ანგელოზთაგან ეუწყა ჩვენებით, რომ მათზე ძალადობას აპირებდნენ და რომ საზღვართან, სადაც პეტროსი ელოდათ, ხევში, მახვილით აღჭურვილი მტერი იდგა. ამისთვის, მიქაელ ეპისკოპოსმა ყოვლითურთ განამზადა მხლებლები. და როდესაც მართლმადიდებელი ეპისკოპოსი პეტროს მკაწვრელს მიუახლოვდა, ამ უკანასკნელმა მისებურად „შთაუგდო სახელო შესამოსელისა მის, რათა ემთხვიოს იგიც ჩვეულებისამებრ მისისა“; მაშინ ღვთივგანბრძნობილმა მიქაელმა „უპყრა მის სახელოს და შთამოზიდნა ძლიერად და შთამოითრია მიწაზე და დაანარცხა“. ხოლო ეპისკოპოს მიქაელის მხლებლებმა ქვა დაჰკრეს და „მოკლეს მგელი იგი“. იქ მყოფ პეტროსის ყოველ მიმდევარს შიშის ზარი დაეცა და ვერც ხელის განძრევა და ვერც ბრალობის სიტყვა ვერავინ შეძლო; არამედ უკვირდათ, თუ როგორ მოკვდა ასე უბრალოდ და სამარცხვინოდ მათი „დიდი მთავარი სჯულისა“ და „წინამძღვარი“ ერისა.

პეტროს მწვალებლის სჯულის მიმდევარმა მისმა ერთგულმა მოსწავლეებმა გადაწყვიტეს, იმ ღამით შეკრებილიყვნენ და ლოცვით ღამე ეთიათ „ამ წმიდა გვამის“ წინაშე და იმედოვნებდნენ, რომ ღვთის გამოცხადებას იხილავდნენ. როცა შუაღამე ჩამოდგა, მგლების სახით შეკრებილი ეშმაკები მოვიდნენ, რომლებიც პეტროსის გვამს დაჰყმუოდნენ. ხოლო ყველა იქ მყოფმა მწვალებელმა ჩათვალა, რომ „ესე ანგელოსნი არიან, რომელნი უგალობენ მას“ (პეტროსსაო) და მას შემდეგ ამ მწვალებლობის მიმდევრებმაც ამგვარი ხმით იწყეს ჟამნ-გალობა.[3]

2. ჩაარჭო – მ.ნ.

3. მ. საბინინი, „საქართველოს სამოთხე“.

თარგმანება სომეხთა წუალებათათვის

* ვითარმედ, ვითარმცა ხრწნილებისა, რომელ არს: შიმშილი, წყურვილი და სხუა კაცობრივი უხრწნელებისა არა მგონებელნი – შეიჩუენებიან.

* და ვითარცა ერთსა ბუნებასა ქრისტესსა შორის მგონებელნი მგმობელნი – შეიჩუენებიან.

* და ვითარცა ერთსა მოქმედებასა ქრისტესსა მგონებელნი და მგმობელნი – შეიჩუენებიან.

* და ვითარცა ერთსა ნებასა მის შორის ბოროტად მეჩქურენი – შეიჩუენებიან.

* და ვითარცა ქრისტეს შობისა უარისმყოფელნი – შეიჩუენებიან.

* და ვითარცა ხარებასა ღუთისმშობლისასა არა მედღესასწაულენი – შეიჩუენებიან.

* და ვითარცა ხატსა ქრისტესსა და ღუთისმშობლისასა და ყოველთა წმიდათა საიდუმლოთა არა თაყუანის მცემელნი – შეიჩუენებიან.

* და ვითარცა უცომოსა პურისა მსხუერპლად შემწირველნი – შეიჩუენებიან.

* და ვითარცა ღვინოსთანა ქრისტეს სისხლისასა წყლისა არა განმზავებელნი – შეიჩუენებიან.

* და ვითარცა სახარებისა გარდამქცეველნი – შეიჩუენებიან.

* და ვითარცა ცრუ მღუდელობისა მათისა ცხადათ განმსყიდველნი და სამთვრალოთ მყოფელნი მათისა ეკკლესიისანი, წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათა მიერ, ვითარცა სიმონიანნი – შეიჩუენებიან და იუდას თანა დაიწესებიან.

* რომელ თვინიერ მარილისა შეიქმან უცომოსა და მკუდარსა მსხუერპლსა მოცემისაებრ ებრაელთასა – შეიჩუენებიან.

* რომელ იანვრის თვის ხუთსა ყოფენ ხარებასა უწესოებით არა პატივისათვის ღუთისმშობლისა – შეიჩუენებიან.

* რომელ არა ექუსს იანვარსა დღესასწაულობენ ნათლისღებასა, არამედ განვლენ მდინარედ მაჩუენებლობით – შეიჩუენებიან.

* რომელ ნათლისღებასა ქრისტესსა, დღესასწაულობენ თორმეტსა თვის იანვრისასა, რომელიცა არს გარდაქცეულება დიდი – შეიჩუენებიან.

* რომელ არა აქუსთ მირონნი, არამედ ბალაზინისა (ბალზამის ზეთი – რედ.) ზეთსა იხმარენ – შეიჩუენებიან.

* რომელ ნათლისღებასა არა სცხებენ ზეთსა, არამედ უდებჰყოფენ – შეიჩუენებიან.

* რომელ ნათლისღებასა შინა არა იქმნების მათ მიერ შებერვა ახალ ნათელღებულთა – შეიჩუენებიან.

* რომელ არცა ერთსა რასამე, ლოცუათა შინა მათთა, დაუძსთ ჰსჯულად არა თქმად მამაო ჩუენოსა არცა იტყვიან – შეიჩუენებიან.

*რომელ დაუძსთ ჰსჯულად მამათა მათთა, ვინცა ვინ შაბათსა ანუ კვირიაკესა მარხუათა თანა აღრაცხვენ, თვინიერ ხოლო განცხადებისანი ამისთვის – შეიჩუენებიან.

* რომელ წმიდათა დიდთა მარხუათა შაბათ-კვირიაკეთა სჭამენ სძესა და კვერცხსა და ერბოსა, რომელნიმე ცხადათ, რომელნიმე ფარულად – შეიჩუენებიან.

* რომელ სახსენებელსა წმიდათასა არა აღასრულებენ, ამისთვის – შეიჩუენებიან.

* რომელ მიცუალებასა წმიდის ღუთის მშობლისასა და ამაღლებასა ჯუარისასა არა დღესასწაულობენ, შეიჩუენებიან.

* რომელ შამატეს ხმაგანსმენილობით ქადაგებული მათ მიერ მარხუა ალაჯორისა, რომელი მიიღეს უღმრთოთა მანასკერტს, ტარსუნ ქალაქსა დვინს შეკრებილთა მწუალებელთა – შეჩუენებულიმცა არიან.

* რომელ ყუელიერი, რომელი პირველად ეზოდ წმიდისა მარხვისა განაწესეს წმიდათა ღმერთშემოსილთა მამათა, ამათ შეაგინეს ხორცთა ჭამითა – შეიჩუენებიან.

* შეურაცხჰყოფენ ჟამისა წირვასა საღმრთოსა და არცა იმოსებიან თვინიერ სტიხრისა, ოლარის და ფილონისა და არა ჰსწირვენ, რომელი კანონითა დაუწესა დიდმან სილივისტროს – შეიჩუენებიან.

წმიდა დიდმოწამე ეფემია ყოვლადქებული

451 წელს ქალკედონის იმ ტაძარში, სადაც დიდმოწამე ეფემიას სასწაულებით გაბრწყინებული წმიდა ნაწილები იყო დაბრძანებული, IV მსოფლიო კრების (ხს. 16 ივლისს) სხდომები მიმდინარეობდა. ქალკედონში ადგილობრივი ქრისტიანული ეკლესიების ექვსასოცდაათმა წარმომადგენელმა მოიყარა თავი. მართლმადიდებელთა მხრიდან კრების საქმიანობაში მონაწილეობდნენ: კონსტანტინოპოლის პატრიარქი ანატოლი (ხს. 3 ივლისს), იერუსალიმელი მღვდელმთავარი იუბენალი (ხს. 2 ივლისს) და რომის პაპის, ლეონის (ხს. 18 თებერვალს) წარმომადგენლები. მონოფიზიტები ალექსანდრიელი პატრიარქის, დიოსკორესა და კონსტანტინოპოლელი არქიმანდრიტის, ევტიქის, წინამძღვრობით მრავლად იყვნენ შეკრებილნი.

ხანგრძლივი ბჭობის მიუხედავად, მხარეებმა ერთობლივი დადგენილება ვერ მიიღეს. მაშინ კონსტანტინოპოლელმა პატრიარქმა ანატოლიმ კრებას შესთავაზა, საეკლესიო განხეთქილების მოგვარება სულიწმიდისთვის მიენდოთ, მისი რჩეული ჭურჭლის – ეფემია ყოვლადქებულის მეოხებით; რომლის წმიდა ნეშტთანაც მიმდინარეობდა კამათი. ცალკე მართლმადიდებელმა მწყემსმთავრებმა და ცალკე მათმა მოწინააღმდეგეებმა დაწერეს თავიანთი სარწმუნოების აღსარება და საკუთარი ბეჭდებით დაბეჭდეს, იმპერატორ მარკიანეს (450-457) თანდასწრებით, ნეტარი დიდმოწამის ლუსკუმა გახსნეს და ორივე გრაგნილი მკერდზე დაადეს, შემდეგ კუბო იმპერატორის ბეჭდით დალუქეს და ირგვლივ მცველები დაუყენეს. ორივე მხარე გაძლიერებულ მარხვასა და ლოცვას მიეცა. სამი დღის თავზე პატრიარქმა და იმპერატორმა, კრების მონაწილეთა თანდასწრებით, გახსნეს ლუსკუმა: გრაგნილი მართლმადიდებლური მრწამსით ეფემიას მარჯვენა ხელში ეპყრა, ერეტიკოსთა ხელნაწერი კი მის ფეხებთან ეგდო. წმიდანმა ცოცხალივით ასწია ხელი და უცდომელი მრწამსის შემცველი ნუსხა პატრიარქს გაუწოდა.

* რომელ ჟამის წირვის ჟამსა რამდენნი პირნი იქმნებიან მწირველნი, ერთის მეტი ვერ მიიღებს საიდუმლოს – შეიჩუენებიან.

* რომელ დიდსა ხუთშაბათსა სერობასა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა, ოდეს ყოველნი ქრისტეანენი ეზიარებიან, ყოვლად არა აღასრულებენ, არამედ სრულიად უგულებელჰყოფენ – შეიჩუენებიან.

* რომელ კნინღა დაურთავსვე და ზრახვენ იგინიცა რაჟამს გარდაიხდიდნენ პასექსა აღვსებისასა წელიწდეულთა კრავთა და ჰსცხებენ სისხლთა მათთა წუერთილთა დასაცველად თავთა თვისთა შერაცხვენ – შეიჩუენებიან.

* რომელ სჯულისამებრ ურიათასა ამას ესე ვითარსა საძაგელსა მსხუერპლსა, რა

მოიყუანებენ ხარსა და ვერძსა და შეამკობენ მათ ღებილითა ძოწეულითა და შორის რათა მათთა დამოჰკიდებენ ხილისა თითო ფერსა და მოიყუანებენ მათ კართა თანა ეკკლესიისათა და სახელჰსდებენ მსხუერპლად სამეუფოდ, ესე იგი არს მატლად – შეჩუენებულმცა არს ხსენება მათი.

* რომელ უგულისხმო და უცნობელ არიან ურწმუნოებით ამისი, ვითარმედ სისხლი ქრისტესი დაითხია საცხოვრებელად სოფლისა და იტყვიან, ვითარმე უკეთუ არა იქმნას დაკულვა და დათხევა სისხლისა ზროხისა ანუ ცხვრისა, რაჟამს ყოფდენ ჟამის წირვასა მიცუალებულის არა იქმნების განსუენება სულისა მათისა – შეიჩუენებიან.

* რომელ გარდამაქცეველთა წმიდისა სახარებისათა აღმოუხოციან, რამეთუ დაუდუმებლად ყოველნი ქრისტეს განხორციელებისა საიდუმლონი განგებულებანი, ვითარ იგი მლოცველისა ოფლი ქრისტესი და შეძრწუნებულ არს სული ჩემი, დამიხსენ მე ჟამისა ამისგან – შეიჩუენებიან.

* რომელ არა იმარხვენ მარხუათა ქრისტეს შობისათა, რომელი წმიდათა მოციქულთა განაწესეს ორმეოცი დღე, არცა კუალად წმიდათა მოციქულთასა, არცა ღუთისმშობლისათა მიცუალებისათა, არამედ აქუნ მათ მარხუანი უცხონი სჯულისაგან და წესისა ქრისტიანეთასა, ვითარ იგი იმარხვენ იონნას ზედ ქალაქისათვის ნინევისა და ელიასთვის და გრიგორისათვის, დიდისა სომხითის ეპისკოპოსისა და სუბსარქისისათვის, შეიჩუენებიან.

* რომელ სახე წმიდისა იოანე ნათლისმცემლისა შეაგინეს და ნიში პატიოსნისა სქემისა შეამწიკვლნეს, უსჯულოებითა მონაზონთა მათთა ერისკაცებრ ჭამითა, შეიჩუენებიან.

* რომელ განაკლებენ საშუალ ჯუარისასა სამსჭუალსა რკინისა, ქვისა იყოს ჯუარი ანუ თუ ძელისა და სცხებენ ზეთსა ქუნჯუთისასა (სურნელოვანი მცენარე – რედ.), წესისამებრ ახალ ნათელღებულთასა და ეგრეთღა თაყუანსა სცემენ, შეიჩუენებიან.

* რომელ განადგინეს ყოველი სომხითი ბერძენთა მთავრობისაგან და თანაშემწე ექმნეს სპარსთა და მომადლებისა მათისათვის მოიხვნეს ხალიფასაგან წესნი და ჰსჯულნი სრულიად ქრისტიანეთგან, ანუ გარე კიდე განბნეულნი მათნი, ესე იგი არიან წინა დაცუეთა სამღუდელოჲსა ვისა ნაწილისაგანთა ჟამსა კურთხევისასა და ღორის ხორცისა არა ჭამითა და ნაცვლად ფაყვითა მანდილითა და ბურვილობისა ქედთა მათთა ზედა ტვირთველობა მანდილითა და რათა შემდგომად ჩამოლოცვისა არა იტყვიან, ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, არამედ იგინი ჯუარის წერით ოდენ ჰყოფენ ერსა მთხვეველთა ხელთა მათთა.

* და წირვასა შინა ორთა ქუდთა დაიბურავენ და სახარებასა წარიკითხვენ სამხრით კერძო და მუნით ილოცვენ წესისამებრ მუსალიმისათა.

* და რასა მღუდელნი და მონოზონნი მათნი ზრახვიდენ, ამის უკუე და ესე ვითართათვის, რომელი ითქმიან, დაიწერა არა ღირს არიან, განგდებასა მათ და განკიდგანებს წმიდა ეკკლესია და ესოდენ უკუე, ვითარცა ღუთის მბრძოლნი შეიჩუენებიან და ეშმაკისად მიცემულნი.

* მთავართა თანა მათთა და მოძღუართა მრავლისა თანა მათისა ბოროტად მადიდებლობისათა.

* და მერმეცა ყოველთა ქრისტიანეთა მიერ, შეიჩუენებიან.

* ვითარ კუალად ქრისტიანეთა შესარაცხელ არიან და არა უფროსდა ვითარცა ქრისტეს მბრძოლნი და ქრისტეს უარის მყოფელნი, განა ვითარ ნათლისღება მათი, კეთილ შეწყნარებულ არს და ანუ სარწმუნოებაჲ მათი შეწყნარებულ იყვნენ.

* არამედ დაიყავნ უგუნურთა მათ არა წმიდათა, არა წმიდანი პირნი მათნი, ჭეშმარიტად ქრისტიანეთა ამაოდ სახელისმდებელნი მათნი და ნათლისღებაც მათსა კეთილ შემწყნარებელად მეტყუელნი.

* ხოლო უკუეთუ მათნი წიგნნი წარიკითხეს, რომელნიმე განხორციელებისათვის ქრისტესისა და სახარებისა და წმიდათა მამათათვის აღუწერიათ, ვითარ ურიათა და მანიქეველთაგან.

მიხეილ საბინინი „საქართველოს
სამოთხე“, 1882 წ.
მოამზადა მარიამ ნიაურმა

WMIDA MRVDELMOWAME SIMONI (MWEDLIZE)
(1865-1924)

წმიდა მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძე

საქართველოს ისტორიამ ქრისტიანული რჯულისათვის წამებულთა არაერთი სახელი შემოგვინახა. ღვთის განგებით გამორჩეული ეს მოწამენი სწორედ ისეთ დროს მოევლინებოდნენ ხოლმე ერს, როდესაც იგი სულიერ შეჭირვებას განიცდიდა და დაცემის გზაზე იდგა, როდესაც ამა თუ იმ დროის საჭეთმპყრობელნი „მრავალთა აცთუნებდენ და გარდასდრეკდენ გზისაგან სიმართლისა და ჭეშმარიტებასა ქრისტეს სახარებისასა, ზოგს – მძლავრებით, ზოგს – შეტყუვილით, რომელთამე –სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელთამე – მზაკუვარებით, მანქანებითა მით საცთურებისაჲ“... სწორედ ესევითარსა ჟამსა შინა გამოჩნდებოდნენ ხოლმე ახოვნად წმიდა მოწამენი, რომელთა თავგანწირვა სულიერად განამტკიცებდა და განაცხოველებდა „მძლავრებასა ქუეშე დამონებულ, სიგლახაკითა შეკრულ, ხარკსა ქუეშე გუემულსა და შიშით განლეულსა“ და ლერწამივით მერყევ ერს...

ჩვენ ვიცით მათი სახელები, არაბთა, მონღოლთა, სპარსთა თუ თურქთა ბატონობის ხანაში წამებულთა... მაგრამ, სამწუხაროდ, არ ვიცოდით ჩვენი დროის ახალმოწამეთა სახელები, რომელთა მოწამებრივ აღსასრულს სულ 90 წელი თუ გვაშორებს. ამ ღირსი მამების ღვაწლის, ეკლესიისა და სამშობლოს წინაშე მოხდილი ვალის მოხსენება კი გვმართებს, არა იმდენად მათთვის სათანადო პატივის მისაგებად (რასაც მათი ქრისტიანული თავმდაბლობა სრულიად გამორიცხავდა), არამედ უფრო ჩვენი რწმენადაკარგული და ცოდვებით დამძიმებული საზოგადოების, ჩვენი მშფოთვარე, გზააბნეული ახალგაზრდობის სულის გასაცხოველებლად და აღსაზრდელად.

იმ თაობის ბევრმა ცნობილმა მოღვაწემ რწმენის უარყოფის, კონფორმიზმისა და კომპრომისების გზით (რაც მათთვის, ალბათ, არანაკლებ მძიმე ჯვარი იყო) სიცოცხლე შეინარჩუნა და ამ ქვეყნად დამსახურებული პატივიც მოიპოვა, გაწეული ღვაწლისათვის, რადგანაც დიდი მეცნიერული მემკვიდრეობა დატოვა, რომელზედაც თაობები გაიზარდნენ და გაიზრდებიან. ჩვენ, ამგვარი კომპრომისების მაგალითზე გაზრდილებმა, სამწუხაროდ, არაფერი ვიცოდით იმათზე, ვინც სხვა გზა, რწმენისათვის მოწამებრივი სიკვდილის გზა, ქეთევან წამებულის გზა გაიარა. იმათზე, რომელთაც არა მარტო სიცოცხლე გასწირეს, არამედ ის შესაძლებლობანიც და მომავალი დიდი საქმენიც, წინ რომ ელოდათ, რომელთა გასაკეთებლადაც ძალი შესწევდათ... სამწუხაროდ, ქართველმა ერმა ვერ გაიგო და ვერ გაიცნობიერა მათი მოწამებრივი აღსასრულის მნიშვნელობა: ერთი იმიტომ, რომ ეს მხარე მისთვის დიდხანს, წლების მანძილზე დაფარული იყო და საიდუმლოებით მოცული. მეორეც – ამ გზის მნიშვნელობის გაცნობიერებას დრო და მანძილი სჭირდებოდა...

და ეს მაშინ, როდესაც სწორედ ამ მოწამებრივი გზის მნიშვნელობის გაცნობიერებაა ერის, საზოგადოების სულიერი და ზნეობრივი გადარჩენისა და ხსნის ერთადერთი სწორი ორიენტირი. ეს ორიენტირი კი დაიკარგა ჩვენი ბოლოდროინდელი ისტორიის მანძილზე და სწორედ ამან მიიყვანა ჩვენი

საზოგადოება ზნეობრივ დაცემამდე. მაგრამ ეს ზნეობრივი დაღმასვლა 90 წლის წინ არ დაწყებულა. უფრო შორს რომ არ წავიდეთ, XX საუკუნის დასაწყისში ათეიზმით დაავადებული ქართველი საზოგადოების სულიერი მდგომარეობის წარმოსადგენად, 1907 წელს ილია ჭავჭავაძის საზარელი მკვლელობის ფაქტიც კმარა.

და შემთხვევითი არ არის, რომ ილიას მკვლელობიდან რამდენიმე თვის შემდეგ, გაბრიელ ეპისკოპოსისაგან ხელდასხმული მღვდელი, სიმონ მჭედლიძე, ქუთაისში, სადაც მაშინ დუღდა კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრება, აარსებს სარწმუნოებრივ-ზნეობრივ გაზეთს, რომელიც აგრძელებს ილიას გზას და მიზნად ისახავს რწმენადაკარგული, დაბნეული და პარტიებად დაქსაქსული საზოგადოების სულიერსა და ზნეობრივს აღზრდას, ქართველთაგან თითქმის მივიწყებული და უგულვებელყოფილი ქრისტეს სჯულისა და მცნებების, ქრისტიანული ზნეობის კვალად-გებასა და აღდგინებას. არც ის არის შემთხვევითი, რომ ამ გაზეთის რედაქტორი, სიმონ მჭედლიძე, დახვრიტეს ილიას მკვლელობიდან 17 წლის შემდეგ, მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავასთან და სამღვდელო კრებულთან ერთად, ესენი იყვნენ: მღვდელი გერმანე ჯაჯანიძე, იეროთეოზ (ირათეოზ) ნიკოლაძე და პროტოდიაკვანი ბესარიონ კუხიანიძე.

დახვრეტის დღეს, გადმოცემით, წმიდა მღვდელმოწამეებს უკურთხებიათ როდინოულის ეკლესია და სადღესასწაულო წირვის შემდეგ იქვე, ერთ ოჯახში დარჩენილან ღამის გასათევად; რადგანაც გაუფრთხილებიათ, რომ სახლებში დაბრუნების შემთხვევაში, დაპატიმრება ელოდათ; მაგრამ წმიდა მამებს იქაც მიაკვლიეს ათეისტმა სოციალ-დემოკრატებმა, რომელთაც სიტყვითა და კალმით ებრძოდა სიმონ მჭედლიძე და მისი გაზეთი... დასცემიან მძინარეებს, მიტროპოლიტი ნაზარი ურემზე დაუკრავთ, დანარჩენები თოკებით გადაუბამთ, წაუყვანიათ საფიჩხიას ტყეში და, თუ საუკუნის დასაწყისში წმიდა ილია მართალი მალვით მოკლეს, ეკლესიის მამები, ქრისტეს სჯულის მქადაგებლები, ილიას ეროვნული გზის გამგრძელებლები, ილიას მკვლელების შთამომავლებმა უკვე აშკარად, ოფიციალური ბრალდებით დახოცეს „აგვისტოს ავანტიურაში მონაწილეობისათვის“... და თოკებით გადაბმული, შეურაცხყოფილი სულიერი მოძღვრები, ალიონზე, საფიჩხიაზე, ებრაელთა სასაფლაოს ბოლოში დამარხეს. ეს მღვდელმოწამენი, როგორც „სრულიად საიდუმლო“ სიიდან ირკვევა, დაიხვრიტნენ საქართველოს უშიშროების მიერ 1924 წლის აგვისტოს „ავანტიურაში მონაწილეობისათვის“ რომელთა შორის იყვნენ: მღვდელი ნაზარი ლეჟავა, მღვდელი გერმანე ჯაჯანიძე, მღვდელი ირათეოზი ნიკოლაძე, მღვდელი სიმონ მჭედლიძე, მთავარდიაკვანი ბესარიონ კუხიანიძე...

წმიდა მღვდელმოწამე სიმონის სასულიერო-საგანმანათლებლო მოღვაწეობა

მღვდელმოწამე სიმონი (მჭედლიძე) სასულიერო გვარის შთამომავალი იყო. მჭედლიძეები სოფ. ბოსლევიდან იყვნენ, მაგრამ მათი ერთი შტო სოფელ სვირში დასახლებულა: ეს იყო მღვდელი სიმონ მჭედლიძე, რომლის უფროსი ვაჟი, დეკანოზი მიხეილი, იმერეთის ეპარქიის ბლაღოჩინი გახლდათ (სოფ. სვირში დღესაც არის მისი აშენებული წყარო, რომელსაც „ბლაღოჩინის წყაროს“ ეძახიან. გადმოცემით, მას თავის საბლაღოჩინო ოლქში ბევრი ეკლესია აღუდგენია). უმცროსი ვაჟი კი ცნობილი პუბლიცისტი,ევსტათი მჭედლიძე – ბოსლეველი, რომელიც გაბრიელ ეპისკოპოსმა თავისი ეპარქიის კანცელარიის მდივნად დანიშნა და, რომელიც სრულიად ახალგაზრდა, მოკლეს 1885 წლის 20 მაისს ბაგრატის ტაძრისაკენ მიმავალ აღმართზე, სადაც ეპარქიის კანცელარია მდებარეობდა.

ბლაღოჩინ მიხეილ მჭედლიძის უმცროსი ვაჟი, პაპის თანამოსახლე, სიმონი, დაიბადა 1865 წელს. იგი თავისი წინაპრების კვალს გაჰყვა. 1888 წელს დაამთავრა სტავროპოლის სასულიერო სემინარია. 1889-91 წლებში,ძველი სენაკის სააზნაურო სკოლაში ასწავლიდა. 1991 წელს ჯვარი დაიწერა თავად (გენერალ) ბესარიონ დგებუაძის ასულზე, ეკატერინეზე და გადავიდა ქ. ქუთაისში, სადაც გახსნა კერძო პანსიონი, პროგიმნაზია.

1894 წლის 7 მაისს სიმონ მჭედლიძე გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ ხელდასხმულ იქნა დიაკვნად, ხოლო იმავე წლის 23 მაისს – მღვდლად, სოფ. სვირის წმიდა თომას ეკლესიაში. 1902 წლიდან იგი სვირის წმიდა გიორგის ეკლესიაშია წინამძღვრად.

საეკლესიო მოღვაწეობასთან ერთად, მღვდელი სიმონ მჭედლიძე ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა: 1896-1905 წლებში იყო იმერეთის ეპარქიის სასწავლებელთა საბჭოს შორაპნის განყოფილების წევრი,1898-1905 წლებში – შორაპნის მაზრის საეკლესიო სკოლების ზედამხედველი, 1901 წელს დაინიშნა იმერეთის ეპარქიის საეკლესიო სკოლების მასწავლებელთა კურსების ზედამხედველად, ხოლო 1902 წელს კი იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიის საეკლესიო სკოლების ადგილობრივი პედაგოგების კურსების სანიმუშო სკოლის ხელმძღვანელად. 1905 წელს იგი იმერეთის ეპარქიის სასწავლებელთა საბჭოს წევრია და ამავე წელს ინიშნება იმერეთის საეპარქიო საბჭოს საქმის მწარმოებლად. 1902-1905 წლებში იყო IV თანრიგის საგამომცდელო კომისიის თავმჯდომარე.

მღვდელმოწამე მამა სიმონი დიდი ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობდა იმერეთის ეპარქიაში, რაც ჩანს იქიდან, რომ იგი 1894-1905 წლებში იყო დეპუტატი სვირის საბლაღოჩინო ოლქიდან, 1900-03 წლებში კი იყო იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების მე-40, 41-ე და 43-ე ყრილობების თავმჯდომარე. 1903 წელს იგი აირჩიეს სასულიერო წოდების სრულუფლებიან წარმომადგენლად კავკასიის ქვანახშირის მრეწველთა მეხუთე ყრილობაზე. ქუთაისის სახ. არქივის მასალებიდან ირკვევა, რომ იგი დაჯილდოვებული იყო საგვერდულით („ნაბედრენნიკით“), სკუფიითა და კამილავკათი. სამწუხაროდ, აქ წყდება მისი საარქივო მონაცენები. თბილისის ცენტრ. არქივში დაცულია მხოლოდ ორი ბარათი კარტოთეკისა ფ 300, № 2864 და ფ287, №2 ფ.3, სადაც აღნიშნულია შემდეგი:

„Мчедлидзе Симон Михайлович, 1865г. сел. Свири, Лаше-Гверкис высш. нач. уч-ще, Заведыв., националист.

Принимал участие в августовской авантюре.“ (როგორც ჩანს, ეს არის სახ. განათლების კომისარიატის კარტოთეკა). თვით საბუთები კი ადგილზე არ აღმოჩნდა. მაგრამ სიმონ მჭედლიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის თვალის მიდევნება მისი ჟურნალ-გაზეთებში პუბლიკაციებისა და იმ ნაშრომების მიხედვით შეიძლება, რომლებიც ბოლო დრომდე აკრძალული ლიტერატურის ფონდებში ინახებოდა არქივებისა და ბიბლიოთეკების სარდაფებში (ბევრი მათგანი ჯერ კიდევ არ არის მიკვლეული).

მღვდელი სიმონ მჭედლიძე ნაყოფიერად უთავსებდა ერთმანეთს სამოძღვრო-საეკლესიო, სასულიერო-პედაგოგიურსა და საზოგადოებრივ-პუბლიცისტურ მოღვაწეობას. წიგნში „ქართული სტამბები 1627-1916 წწ“ ზაქარია ჭიჭინაძე ცალკე თავს უძღვნის მღვდელ სიმონ მჭედლიძეს და მის სტამბას ქუთაისში: „მას ქუთაისში აქვს საკუთარი შესაფერი სტამბა, თვით აწარმოებს ამ სტამბას და მის საქმიანობას უძღვება

თავის შესაფერისად. ამას გარდა, იგი ცნობილი მუშაკი გახლავთ ქართული სასულიერო და საერო მწერლობისა. იგი ბეჭდავს სხვადასხვა ისტორიულ წიგნებს, ამასთანავე, გახლავთ რედაქტორი სასულიერო და სამოქალაქო გაზეთ „შინაური საქმეებისა."

სიმონ მჭედლიძის მიერ დაარსებული ამ გაზეთის მიზანდასახულება ქვესათაურშივე იყო გაცხადებული: „სარწმუნოებრივ-ზნეობრივ-საზოგადოებრივი გაზეთი." ამ ყოველკვირეული გაზეთის (რომელმაც თექვსმეტგვერდიანი ჟურნალის სახე მიიღო) დანიშნულებას მისი რედაქტორი ხედავდა საზოგადოების სულიერსა და ზნეობრივს აღზრდასა და მოძღვრობაში. მისი აზრით, გაზეთმა ჭეშმარიტი მოძღვრის როლი უნდა შეასრულოს, მან ხელი უნდა შეუწყოს ერის სულიერი კრიზისიდან გამოყვანას ჭეშმარიტი გზის ჩვენებით, დრომ მოიტანა და გაზეთი ეკლესიას უნდა დაეხმაროს ხალხის ღვთისაკენ მობრუნებაში: ჭეშმარიტი სჯულის ქადაგების მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ამ ახალი, უჩვეულო ფორმის გამოყენების აუცილებლობა გამოიწვია იმან, რომ XX საუკუნის დასაწყისი საქართველოში აღინიშნებოდა ათეისტური აზროვნების გავრცელება-დამკვიდრებითა და რწმენასა და ეკლესიასთან სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლით. ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლისას მისი მოწინააღმდეგენი ფართოდ იყენებდნენ იმ დროისათვის უკვე საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარ და პოპულარულ საშუალებას, ბეჭდვით სიტყვას: „ერმა ღვთის სახლის და ეკლესიის გზა დაივიწყა და ცრუმოძღვართა გავლენის ქვეშ მოექცა... სასწრაფოდ შეითვისა მან გარედან მონაბერი ღვთის საუარმყოფო მოძღვრებანი" („შინ. საქ."). მოზღვავდა „გარედან მონაბერი" ათეისტური ლიტერატურის თარგმანები, ლიტერატურისა, რომელიც ურაყოფდა ღმერთს, უარყოფდა სამყაროს ღვთაებრივი შესაქმის ჭეშმარიტებას, ქრისტეს მოძღვრების წილ ხალხს სთავაზობდა მატერიალისტურ-ევოლუციონისტურ მოძღვრებებსა და სულიერებისაგან დაცლილ ლოზუნგებს. მატერიალური თანდათან სდევნიდა სულიერს და პრაგმატიზმი თელავდა ზნეობას. საქართველოს სამღვდელოებას დუმილი უნდა დაერღვია, პასუხი უნდა გაეცა ამ მძლავრი და დაუნდობელი შემოტევებისათვის. მწვავედ დადგა საკითხი ქრისტიანული მოძღვრების ქადაგებისა ეკლესიის გარეთაც, საქართველოს სამღვდელოების საკუთარი გამოცემის, საკუთარი გაზეთის საშუალებით: „იმედი უნდა გვქონდეს, რომ ჩვენს გამოცემას, თუ იგი მოსამსახურე იქნება ადამიანის დანიშნულებისა, და მის მისაღწევ საშუალებათა გზის მაჩვენებელი, მკითხველი ეყოლება"– წერს სიმონ მჭედლიძე სტატიაში „სამღვდელოების მომავალი კრების საყურადღებოდ": „თქმა არ უნდა, ყოველი ახალი დაწყებულება, რაც უნდა ჭეშმარიტ გზას ადგეს იგი, ეჩოთირება უჩვევ საზოგადოებას. მით უფრო საჩოთირო და ძნელად გასაგები იქნება იგი ეხლა, როცა სხვადასხვა ცრუ მოძღვართა და ცრუ წინამძღვართა დაიჭირეს საპატიო ადგილი... ხალხს მოძღვარი ეჭირვება. უამისოდ მას არ უცხოვრია და ვერც იცხოვრებს, რაც უნდა მაღალი შეიქმნეს მისი კულტურა. ამიტომ, როცა ჭეშმარიტი მოძღვარი და წინამძღვარი არ არის, ცრუ მოძღვარნი იჭერენ მის ადგილს და ხალხიც მათ ემონება. სადაც ქრისტე არ არის, იქ მაჰმადია, იქ ბუდაა, იქ ზოროასტრია. როცა ჩვენს დროს ჭეშმარიტი ქრისტეს მოძღვარნი შემცირდნენ, მათი ადგილი ბებელებმა და გომართელებმა დაიჭირეს. საკმარისია აღდგნენ ჭეშმარიტი თავდადებულნი მოძღვარნი, რომ ცრუ მოძღვრებანი დაეცნენ... მაგრამ შეგვიძლია კი ხალხს მოძღვრობა გავუწიოთ გაზეთის საშუალებით? შეგვწევს თუ არა იმდენი ღონე, რომ ძლევამოსილად გავუმკლავდეთ თანამედროვე ბნელ ძალებს? გვყვანან თუ არა ასეთი მებრძოლები? („შინ. საქ.", 1908, №5). ასეთი ჭეშმარიტი მოძღვარნი და თანამებრძოლნი საკმაოდ გამოუჩნდა გაზეთს. ესენი იყვნენ: მომავალი პატრიარქები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, კირიონ II (საძაგლიშვილი), ლეონიდე (ოქროპირიძე), დეკანოზი კალისტრატე (ცინცაძე), არქიმანდრიტი ნესტორ ყუბანეიშვილი, მღვდელი მელიტონ კელენჯერიძე, ალექსი ბერი (შუშანია)... და სხვა მრავალი, ქრისტეს ვენახის ჭეშმარიტ მუშაკთა ჩვენთვის უცნობი სახელები, რადგან ბევრი მათგანი ფსევდონიმით ბეჭდავდა... თვით რედაქტორიც სიმონ მჭედლიძე, უფრო ხშირად სხვადასხვა ფსევდონიმით აქვეყნებდა თავის წერილებს: საღვთისმეტყველო-სასულიერო ხასიათისას – „სანმანიანის" ფსევდო- ნიმ-

ით, საზოგადოებრივ-პოლიტიკურს – „ბოსლეველის“ ზედწოდებით (რომელიც მან თავისი ბიძის, ცნობილი პუბლიცისტის, ესტატე მჭედლიძისაგნ აიღო მისი მკვლელობის შემდეგ), პუბლიცისტურ-პოლემიკურს – „ხელისა“ და სხვ.

„გამოვედით, მუშაკნო ვენახისანო,“ მოუწოდეს მათ ქართველ სამღვდელოებას „შინაური საქმეების“ ფურცლებიდან და ასე შეიქმნა XX საუკუნის ქართული აპოლოგეტური თხზულებების მთელი რიგი, როგორიცაა: „სახარება, როგორც ცხოვრებისა და ცივილიზაციის საფუძველი“, „ქრისტიანული აღზრდა ნებისა“, „რა მოაქვს უღვთოებას“, „საჭიროა თუ არა კაცისათვის რელიგია“, „სარწმუნოება და მისი უარისმყოფელნი ჩვენში“, „სჯული ბუნებრივი და სჯული განცხადებული“... სერია წერილებისა, „სახარება, როგორც ცხოვრების საფუძველი“, მკითხველს სთავაზობდა ბიბლიურ მოთხრობებს ზოგჯერ ალეგორია-სიმბოლოების განმარტებითურთ. რეგულარულად ქვეყნდებოდა საღვთო წერილისადმი მიძღვნილი სტატიები, ფართოდ შუქდებოდა ქრისტიანული რელიგიის საკითხები. ამ სტატიების გამოქვეყნება დიდ სარგებლობას მოუტანდა თანამედროვე გზააბნეულ საზოგადოებასაც, რადგანაც იმ დროისათვის ნიშანდობლივია არა მარტო ათეისტური ლიტერატურის მოძალება,არამედ სხვადასხვა რელიგიურ მოძღვრებათა, ოკულტისტურ და სექტანტურ მიმდინარეობათა პროპაგანდისტული ლიტერატურის გავრცელებაც, რაც ასე მოზღვავდა დღესაც.

გაზეთი მკვეთრად გამოხატული ეროვნული მიმართულებისაა. მის თემატიკაში გამოკვეთილია ღრმა ეროვნული მნიშვნელობის საკითხები, დასავლეთის ეპარქიის ყოველდღიური ჭირ-ვარამისა და ავ-კარგის ამსახველი ცოცხალი პუბლიკაციები სამეგრელოს, სვანეთის, გურიის იმერეთის სოფლებიდან... ქართულ საეკლესიო გალობასთან დაკავშირებული პუბლიკაციები. დღევანდელი გადასახედიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გაზეთში სპეციალური წერილები ეძღვნებოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებს.

ისტ. მეცნ. დოქტორი
დამანა მელიქიშვილი

WMIDA MRVDELMOWAME SIMONI (MWEDLIZE)

RIA WERILI SAQARTVELOS SAMRVDELOEBAS

(1908 წ. 13 აპრილი, № 1)

უკანასკნელმა ეგრეთ წოდებულმა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ არ დასტოვა ჩვენს ცხოვრებაში ისეთი კუთხე, რომელსაც არ შეხებოდეს. მან შეარყია მთელი ჩვენი საზოგადო, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა. იგი შეეხო სარწმუნოებასაც, გამოაცხადა ცრუმორწმუნეობად, მისი მსახურნი კი მატყუარებად და მუქთახორებად. ახალმა თაობამ ომი გამოუცხადა ყველაფერს, რასაც კი სარწმუნოების ბეჭედი აზის. იგი არ ფარავდა და არც ფარავს თავის ზიზღს ტაძრებისა და სამღვდელოებისადმი. მან უარყო ნათესაობა (გენეტიკა) და საქვეყნოდ აღიარა, რომ ადამიანი იგივე ცხოველია, რომ მისი ცხოვრება აქ, ამ ქვეყნად იწყება და აქვე თავდება, რომ მისი მიზანი არის კუჭი, რომ ამ უკანასკნელის დაკმაყოფილება შეადგენს მის დანიშულებას, არ არის არავითარი მომავალი ცხოვრება და არც საჭიროა იყოსო.

კაცი სიგლახეს, სიბოროტეს უფრო ადვილად ითვისებს და ამიტომ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამგვარმა ქადაგებამ ღრმა ფესვები გაიდგა საზოგადოებაში და შესაფერი ნაყოფიც გამოიღო. ამას, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ იგინი, ვინც ვალდებულნი

იყვნენ, ეზრუნათ სარწმუნოების დასაცავად, სდუმდნენ და არაფერს ამბობდნენ. ეს დუმილი ხალხმა თანხმობის ნიშნად მიიღო და ამას მოჰყვა ის გარემოება, რომ მან უარჰყო სამღვდელოება, მოუსპო მას ცხოვრების სახსარი, აიგდო აბუჩად და, ვისაც გუშინ სულიერ მამას ეძახოდა, დღეს უბრალო მატყუარად დასახა.

ჩვენი სამშობლო ეკლესიის სამღვდელოება „მოძრაობის“ წინაც არ იდგა შესაფერ სიმაღლეზე,რასაც აშკარად გვიმტკიცებს სიღატაკე ჩვენი (თანამედროვე) საღვთისმეტყველო ლიტერატურისა: არა თუ ორიგინალური ვერაფერი შევქმენით, ჩვენი მდიდარი ძველი საღვთისმეტყველო ლიტერატურითაც ვერ ვისარგებლეთ. ვერ ვისარგებლეთ, ვერც ჩვენი თანამორწმუნე და სხვა ქრისტიანების ღვთისმეტყველებით.

საეკლესიო ისტორია? სადა გვაქვს იგი? ვითომ არ უცხოვრნია ივერიის ეკლესიას ამ ცხრამეტი საუკუნის განმავლობაში? ვითომ ახლა დაიწყო ჩვენში ქრისტიანობა? როდის მივეცით ჩვენს ხალხს ისტორიული მაგალითები სარწმუნოების მტკიცე დაცვისა,როდის მოვაგონეთ მისთვის თავგანწირულნი ქართველნი მოძღვარნი და მოღვაწენი? ამას მიუმატეთ ისიც,რომ არც ჩვენ წარმოვადგენთ სარწმუნოებისათვის თავგანწირულ ცოცხალ მაგალითებს და ამის შემდეგ რად უნდა გვიკვირდეს, რომ ასეთი სამღვდელოება ხალხმა უარჰყო?

იმ დროს, როცა თითოეული ჯგუფი, თითოეული პარტია თავის საქმეს აწყობდა, ზეპირად თუ წერილობით თავის აზრებს უზიარებდა საზოგადოებას, ჩვენ, მთელი საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებს, ერთი თვიური ჟურნალიც არ გაგვაჩნდა, რომ ჩვენი ამბავი ერთმანეთისთვის შეგვეტყობინებია და საკუთარი აზრი გამოგვეთქვა „მოძრაობის“ მიერ წაომყენებულ სხვადასხვა კითხვებზე. ამ მხრივაც ჩვენი დუმილი ხალხის მჩაგვრელთა მომხრეობად ჩამოგვერთვა და სრულებით დაიკარგა ჩვენი ავტორიტეტი არ თუ როგორც სარწმუნოების წარმომადგენლებისა, არამედ როგორც მოქალაქეებისაც.

ამიტომ, ჯერ სანამ გვიან არ არის, საჭიროა ხელი მივყოთ ჩვენი მოვალეობის შესრულებას, საჭიროა ვიქონიოთ თავდაპირველად ერთი დამოუკიდებელი ორგანო, რომლის საშუალებითაც უნდა ვატყობინებდეთ საზოგადოებას ჩვენს ვინაობას და ვასწავლიდეთ იმას, რის სწავლებადაც ვართ მოწოდებული. ყოველმა ეკლესიის მსახურმა სავალდებულოდ მივიჩნიოთ ერთმანეთის გაცნობა და დაახლოვება, ხალხის ნამდვილი ძარღვისცემის, მისი სურვილებისა და მისწრაფებების შეტყობა და მათი სასიკეთოდ წარმართება. მიზეზი შეგვაერთებს ჩვენ, გაგვიჩენს საერთო მიზანს, შექმნის ჩვენში ერთსულოვნებას, რომელსაც ვერ სძლევენ „ბჭენი ჯოჯოხეთისანი.“ ბევრი საკითხავები გადმოგვცა ჩვენ ახლო წარსულმა,რომელთა დაუკმაყოფილებლობა ჩვენი სიკვდილის ნიშანი იქნება, და რომელთა ასე თუ ისე დაკმაყოფილება, მხოლოდ გამოცემის საშუალებით შეგვიძლია. იმედი გვაქვს, მთელი ივერიის სამღვდელოება თანაგრძნობით მიეგებება საკუთარი ორგანოს გამოცემას და არ დაზოგავს თავის წვლილს,როგორც ზნეობრივის, ისე ქონებრივი შემწეობის აღმოსაჩენად.

მონოზვნის აღთქმა

კითხვა-მიგება

უკეთუ მხრულხარ წინაშე ღუთისა, გკითხე ხიშვედით
და მომიგე ზუენ ყოელითა კრძალულებითა:
კითხვა: რაისათვეს მხრულხარ, ძმაო, შეერდომით, წმდასა
ამასა მხეკრბლის შეწირვასა და წმდათა ამათ კრებულთა?
მიგება: მნებავს განმარტებაი ხოელისაგან, მაცნობანო მამათ.
კითხვა: ნებითა შენითა ღირს იქმნებიარ ანგელოზებრივსა ამას ხასხასა
და წესსა გუნდთა მონოზონთასა?
მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, მაცნობანო მამათ.
წინამძღუარმან: ხოლო რაკამს აღგირწმეეს ქითილი და ხანაცრელი ესე
საქმეი, უკეთუ გნებავს განსრულებაი ქითილისა საქმისა,
შრომითა, რეკუნებითა და ტკიელითა განსრულდების.
კითხვა: ნებსით გონებითა შენითა მოხუალი წინაშე უფლისა?
მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, მაცნობანო მამათ.
კითხვა: დაცაცვა ქალწულებისა შენსა ყოელითა გონებითა და ხასოებითა?
მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, მაცნობანო მამათ.
კითხვა: ცხოვრებისა შინა შენსა ვიდრე სიკვდილამდე ჰფოფა
მორწმელებასა უფრთხილასა, და ყოველთა ქრისტეს მიერ ძმათასა?
მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, მაცნობანო მამათ.
კითხვა: დათმენა ყოველსა ძეირისხილვასა, იწრთებასა, ბოროტთა
მიერ აღძრულსა მზაკვრებასა, სასუფეველისათვეს ცათასა?
მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, მაცნობანო მამათ.

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი
მადლობას უხდის და ლოცავს
გამომცემლობა „შარავანდის" ხელმძღვანელს
ბ-ნ თამაზ შარიქაძეს

ხუთშაბათობით, 14 საათზე
სამთავროს ფერისცვალების ტაძარში
ივერიის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედ ხატთან
მონასტრის მოძღვარი, არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე),
აღასრულებს პარაკლისს მძიმე სნეულთათვის.